გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 დეკემბერი **შაბათი** 2010
№ 304 (13292) ფასი 60 თეთრი

ინტერვიუ
დავით ზირაქაშვილთან



# პროფესიონალი ნაკრებში უფრო უნდა იყო

13

საახალწლო სიურპრიზი
ლელოს ამ ნომერთან ერთად
25-დან 31 დეკემბრამდე




სპეცფასი 10 ლარი
წიგნი და DVD ერთად

# ყატარი, არაბული ზღაპარი



8-9

## აგენტურული ქსელი

4

აქ ამბებია...



6

## პრანდელიმ იტალია შეაფასა და კასანო დააფასა

## წრის ფინალი

11



ბათუმმა არც აცია...
სენსაცია

10



## ოქრუაშვილმა ისევ იფალავნა

## ექსპრესინფორმაცია: ინტერში ლეონარდო დაინიშნა

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# ტატანაშვილმა მთავარი დაინახა

## ქეცბაიამ ჩვენს ჩემპიონატს ღირსება დაუბრუნა: საქართველოს ნაკრებში მოხვედრა საქართველოდანაც შეიძლება



**ჩეხეთის „პლზენსა“ და „კლადნოში“ თამაშის შემდეგ დიმიტრი ტატანაშვილი უკრაინულ პრემიერლიგაში გამოჩნდა. 27 წლის თავდამსხმელმა ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ თამაშისას ორი გოლი გაიტანა. ტრავმის შემდეგ ტატანაშვილი ისევ მწყობრშია, თუმცა მისი „მეტალურგი“ აუტსაიდერია და შესაძლოა, მან კვლავ შეიცვალოს გუნდი. მით უმეტეს, ვარიანტებიც აქვს. ტატანაშვილი ამჟამად თბილისშია და არჩევანის წინაშე დგას. ამასთან, ნაკრებში მოხვედრასაც უმიზნებს.**

- ჩეხეთში თამაშის შემდეგ უკრაინულ პრემიერლიგაზე არცთუ ურიგო შთაბეჭდილება შემექმნა, კარგი დონის ჩემპიონატია. თუმცა ჩემი გუნდის, ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ შედეგებზე კარგს ნამდვილად ვერ ვიტყვი. მეორე წრის ოთხი მატჩი უკვე ვითამაშეთ და სეზონის დასრულებამდე 11 ტურით ადრე ბოლო ადგილზე ვართ. ცხრილში უახლოეს მეზობლებს, „სევასტოპოლს“, „ილიჩევეცს“ და „კრივბასს“, შესაბამისად, ოთხი და რვა-რვა ქულით ჩამოვრჩებით. ასე რომ, პრემიერლიგაში დარჩენისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს.

**- უკრაინის ვიშა ლიგაში სადებიუტო სეზონი გაქვთ. საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- ტრავმებმა შემიშალა ხელი და 19 მატჩიდან მხოლოდ ათში ვითამაშე. თითო ბურთი გავიტანე ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. აშკარად მეტის გატანა შემეძლო, მაგრამ ტრავმებმა არ მომცა საშუალება... ჩემპიონატის ერთი გოლი კი დონეცკის „მეტალურგს“ მე-18 წუთზე გავუტანე. იმ თამაშს ვიგებდით, მაგრამ საბოლოოდ 1:2 წავაგეთ.

**- თასის მერვედფინალში ზაპოროჟიელები თქვენი გოლით გავიდნენ, თანაც გიორგი გაბედავას „ილიჩევეცი“ გამოთიშეთ გათამაშებიდან. თუმცა მერე დონეცკელებთან დამარცხდით.**

- ის მატჩი 1:0 მოვიგეთ, მეტოქე გუნდში გიორგი გაბედავა თამაშობდა, ორივე გუნდის კარს ქართველები ვუტევდით. გაბედავასაც ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა იმ შეხვედრაში.

**- რა ამპლუაში გათამაშებდნენ - ცენტრფორვარდად თუ ფლანგზე?**

- ცენტრალურ თავდამსხმელად, უმეტესად ერთი ფორვარდით გვიწევდა თამაში. მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ლუტკოვმა კარგად შეისწავლა ჩემი მანერა და მენდობოდა კიდეც.

**- თქვენი კონტრაქტის ფორმულირება ასეთია, ექვსი თვე პლუს ორნახევარი წელიწადი. სწორედ ზამთრის შესვენებისას უნდა გადაწყვიტოთ, დარჩებით თუ არა ზაპოროჟიეს „მეტალურგში. რას აპირებთ?**

- მართალია, მოსამზადებელი შეკრების დაწყებამდე უნდა გადავწყვიტო, დავრჩები თუ წავალ. ზამთრის არდადეგებია, სამშობლოში ვარ, ჯერ კიდევ ვფიქრობ, გადაწყვეტილება არ მიმიღია. დრო კიდევ მაქვს და არ მინდა, ვიჩქარო.

**- რადგან ფიქრობთ, ესე იგი, წინადადებებიც გაქვთ. რომელი კლუბებიდან?**

- დასამალი არაფერია, ჩემ მიმართ მართლაც არის ინტერესი უკრაინის, ჩეხეთის, პოლონეთის, აზერბაიჯანის კლუბებიდან.

**- გავიგეთ, რომ უკრაინაში „სევასტოპოლსა“ და „ზარიას“ სურთ თქვენი დამატება. სხვა რომელი გუნდებია?**

- ამ ორი კლუბის გარდა, „ტავრიაც“ არის ჩემით დაინტერესებული. სხვა გუნდებს ჯერ ვერ დავაკონკრეტებ.

**- გავიგეთ ისიც, რომ ქართული კლუბებიდანაც შეგეხმიანენ...**

- ესეც მართალია, ეს გუნდები ცხრილის სათავეში არიან, ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- ანუ საქართველოში დაბრუნებასაც არ გამორიცხავთ?**

- ამ ბოლო ხანს ჩემზე უკეთესი ფეხბურთელები დაბრუნდნენ საქართველოს ჩემპიონატში და ჩემი აქ თამაშიც არ უნდა იყოს გასაკვირი. მით უმეტეს, ჩემი მიზანი მხოლოდ კლუბში თამაში არ არის. ეროვნულ გუნდში ორი მატჩი ვითამაშე და მინდა, ჩემით ნაკრების მწვრთნელებიც დავაინტერესო. თანაც, ვიცი, რომ თემურ ქეცბაია საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ხშირად ესწრება და ქართული კლუბებიდან ეროვნულში არაერთი ფეხბურთელი გამოიძახა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, აქ მოთამაშე ფეხბურთელებს მეტი ინტერესი ექნებათ და ჩვენი ჩემპიონატის დონეც ამაღლდება

**- ეროვნულში ნათამაშები ორი მატჩი გაიხსენეთ...**

- ორივე თამაში ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დამთავრდა - უკრაინასთან თბილისში და ამხანაგური მატჩი აზერბაიჯანთან სტუმრად. ბაქოში გოლი გავიტანე. ორ თამაშში ერთი ბურთი ცუდი შედეგი არ არის, მაგრამ მას მერე ეროვნულში აღარ მიძახებდნენ, რაც დღემდე ვერ ამიხსნია.

**- საბოლოოდ უფრო რომლისკენ იხრებით, რომელიმე ქართულ გუნდში გიხილავთ თუ ისევ ლეგიონერის ამპლუაში?**

- ვნახოთ, რამდენად რეალურია ჩვენი გუნდების ინტერესი. რა თქმა უნდა, უცხოეთში, მაღალ დონეზე თამაში უკეთესია, მაგრამ ქართული კლუბების წინადადებებსაც სერიოზულად განვიხილავ. ვფიქრობ, ლიდერ ქართულ გუნდში შედეგიანი თამაშით ეროვნულ ნაკრებში გამოძახების მეტი შანსი მექნება.

**- ზაპოროჟიელებთან კონტრაქტის პირობები როგორია - უსასყიდლოდ დაგთმობენ?**

- ხელშეკრულების მიხედვით, ჩემი გადასაწყვეტია, ზაპოროჟიელთა გუნდში დავრჩები თუ არა. თუკი წასვლას მოვინდომებ, ვფიქრობ, კლუბთან მოლაპარაკებით, ისიც შესაძლებელი იქნება, რომ თანხის გადაუხდელად გადავიდე სხვა გუნდში.

**- საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დრო როდემდე გაქვთ?**

- სამ იანვარს ზაპოროჟიეში ვიკრიბებით, ხუთიდან კი მოსამზადებელ შეკრებას დავიწყებთ. ასე რომ, მანამდე უნდა გადავწყვიტო, „მეტალურგში“ დავრჩები თუ სხვა გუნდში გადავალ.

**დავით ცაბაძე**




სავარაუდო ტრანსფერი



ბაჩანა არაბული

# ბაჩანას თვალი კიევიდან დაადგეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი **ბაჩანა არაბული** კიევის “დინამოს” დუბლებში მიიწვიეს.

*“არაბულით უკრაინელები მართლაც დაინტერესდნენ და კიევში დღეს მივემგ ზავრებით. ბაჩანას კიევის “დინამოს“ დუბლებში გასინჯავენ. ამის თაობაზე საფეხბურთო აკადემია “ოლიმპში” ოფიციალური მიწვევაც გამოაგ ზავნეს. უკრაინელებმა მეორე წრისთვის მომზადება 23 დეკემბერს დაიწყეს და არაბულის ნახვა სურთ”,* - გვითხრა საფეხბურთო აკადემია “ოლიმპის” გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

შეგახსენებთ, რომ 16 წლის თავდამსხმელი **კობა ჟორჟიკაშვილის** 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. მისმა კარგმა თამაშმაც განაპირობა ოქტომბერში თბილისში გამართული შესარჩევი ციკლის მატჩებში გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის საგზური რომ მოიპოვა.

ბაჩანა რუსთავის “ოლიმპის” დუბლშემადგენლობაშიც გამოდიოდა, მაგრამ იურიდიულად საფეხბურთო აკადემია “ოლიმპს” ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ აკადემიის გუნდი დუბლშემადგენლობების პირველობაზე “ოლიმპთან” შეთანხმების საფუძველზე ამ კლუბის სახელით თამაშობდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონის მეპატრონე **ჯოზეფ კეიმ** აკადემიასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. სავარაუდოდ, რუსთავის “ოლიმპის” დუბლებს **გუბაზ დოლიძე** ჩაიბარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ასაკობრივი ნაკრებები

# ასაკობრივი ნაკრებები

# უმცროსებს უფროსები დაუნიშნეს



გოჩა ტყებუჩავა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები დაასახელა.

**ოთარ გაბელიას** ხელმძღვანელობით ახალგაზრდულ ნაკრებში კვლავ ძველი შტაბი იმუშავებს.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები **გიორგი დევდარიანს** ჩააბარეს, რომელიც 18-წლამდელებს თავკაცობდა. ევროელიტრაუნდისთვის 17-წლამდელთა გუნდს **კობა ჟორჟიკაშვილი** მოამზადებს, 17-წლიანთა მომდევნო თაობას კი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები 2011 წლის ოქტომბერში ელის - **ვასილ მაისურაძე**. 16-წლიანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად **გელა შეყილაძე** დაინიშნა, U15-ში - **ნოდარ აკობია**, U14 –ში - **გოჩა ტყებუჩავა**. ერთადერთი სიახლე ამ უკანასკნელის დანიშვნაა. ძველი მწვრთნელებიდან მხოლოდ **ვლადიმერ გუცაევი** აღარ დაამტკიცეს, რომლის 19-წლამდელებმაც შემოდგომაზე პორტუგალიაში შესარჩევი ციკლი ჩააგდეს. ამის შემდეგ გუცაევი თავად გადადგა. გოჩა ტყებუჩავას ნაკრებში მუშაობის გამოცდილება აქვს, ის 2005-დან 2006 წლამდე საქართველოს ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა, ბოლო ორი წელი კი ესპანეთში ცხოვრობდა.

ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, დასახელებულ მწვრთნელებთან კონტრაქტები 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **ოთარ გაბელიასთან** და მისი სამწვრთნელო შტაბის წევრებთან (**ზაურ სვანაძე, გელა ინალიშვილი, დავით გვარამაძე**) კონტრაქტები ორი წლით გაფორმდა - 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.** ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

# კვირკველიების თათრული ამბავი

## საბას რუბინი: 60/40

**საბა კვირკველია** ახალი სეზონიდან ყაზანის "რუბინში" ივარჯიშებს. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი ერთი წელი რუსეთის ჩემპიონ პეტერბურგის "ზენიტში" ვარჯიშობდა და დუბლებში თამაშობდა, სეზონის დასრულების შემდეგ კი **მერაბ ჟორდანიას** "ვიტესსა" და ყაზანის "რუბინში" მიიწვიეს.

საბა დაინტერესებულ კლუბებთან მენეჯერ **რევაზ ჩელებაძის** მოლაპარაკებების დასრულებას ელოდა და საბოლოო გადაწყვეტილება, რომ მოსამზადებელ ეტაპს ყაზანის "რუბინში" დაიწყებს, "ლელოს" გაუმხილა.


საბა კვირკველია

*"ჩელებაძე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ყაზანის "რუბინს" მოელაპარაკა და 5 იანვარს კლუბს ან ანთალიაში წავყვები, ან ყაზანში ჩავალ და იქ ვივარჯიშებ. გააჩნია, სად დაიწყებს გუნდი მომზადებას. ახლა კი თბილისში ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვემზადები, ახალი წლის დღეებში კი ქობულეთში ზღვის პირას ერთი კვირა ვივარჯიშებ"*, - გვითხრა კვირკველიამ და დააკონკრეტა, რომ "რუბინის" ძირითად შემადგენლობასთან ერთად მოემზადება და არა დუბლებთან.

ალსანიშნავია, რომ ეს არ იქნება გასინჯვა:*"ჩემს გამგზავრებას სინჯებსაც არ დავარქმევ, რადგან ბერდიევის მოწონება "ზენიტი"-"რუბინის" დუბლების მატჩისას დავიმსახურე, რომლის შემდეგაც თავად დამიკავშირდა და ყაზანში გადასვლა შემომთავაზა. ალბათ, კონტრაქტის ამბავი შეკრების შემდეგ, თებერვლისთვის გადაწყდება. დღევანდელი გადასახედიდან კი, ხელშეკრულების გაფორმების შანსი 60/40-ზეა".*

რატომ გამოირიცხა პეტერბურგის "ზენიტი" და "ვიტესი"? კვირკველია ამბობს, რომ კლუბებთან დალაპარაკების შემდეგ მენეჯერმა მისთვის უკეთესი ვარიანტი შეარჩია. მართალია, „ზენიტი" რუსეთის უმდიდრესი კლუბია და პრემიერლიგის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ კვირკველიას წამოსვლის მიზეზი ჰქონდა – მას პეტერბურგელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ მისცეს და ამიტომაც ამჯობინა "რუბინი", სადაც მთავარ მწვრთნელ ყურბან ბერდიევს მოსწონს და ძირითადში მოხვედრით აიმედებს.

მოკლედ, ყაზანის "რუბინში" ერთ კვირკველიას (დავითს) მეორე (საბა) შეცვლის. იმედია, უფრო გამოცდილი მოგვარისგან განსხვავებით, საბა მაინც მოახერხებს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# მაღაროელებმა პროფესია შეიცვალეს: გავეტერინარდნენ

ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებით სხვა გუნდები ალბათ კიდევ ერთხელ გაძლიერდებიან. **ჯაბა ლიპარტიას** აზერბაიჯანულ „ყარაბახში" ვოიაჟზე უკვე ვწერდით. ეს გუნდი ქართველ თავდამსხმელს იანვრის დასაწყისში ანთალიურ შეკრებაზე ელის და ალბათ კონტრაქტსაც გაუფორმებს. „ვეტერინარები" ჯაბას გარდა კიდევ ერთი ლიდერის, **ირაკლი კლიმიაშვილის** წასვლასაც ელიან. ამ შემტევი ნახევარმცველის გადაბირება ჩვენი ჩემპიონატის ლიდერთა ორ გუნდსაც უნდა, თასის ნახევარფინალისტ ქუთაისის „ტორპედოსაც" და უცხოურ კლუბებსაც - ერთი ბელგიურია, ერთი უკრაინული და ორიც რუსული (ერთი პრემიერლიგისაა, მეორე პირველი დივიზიონის).

შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ კლიმიაშვილი სეზონს „ვიტ ჯორჯიაში" აღარ გააგრძელებს. აქედან გამომდინარე, „ვიტელთა" შემტევ პოტენციალს გაძლიერება სჭირდება და კლუბის მესვეურებმა ამაზე უკვე იზრუნეს.

გუშინ გაცხადდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ" პირველ ლიგაში მოასპარეზე ტყიბულის „მეშახტედან" ორი თავდამსხმელი დაიმატა - 21 წლის **ლაშა გაბრიჭიძე** და 19 წლის **გიგა ჯულელი**. ალსანიშნავია, რომ ტყიბულელთა გუნდის მიერ გატანილი 21 გოლიდან 18 ამ ორ ფორვარდზე მოდის - გაბრიჭიძემ თერთმეტი ბურთი გაიტანა, ჯულელმა კი - შვიდი. მათ „ვიტ ჯორჯიასთან" სამწლიანი კონტრაქტები უკვე გააფორმეს.

**დავით ცაბაძე**

ქველმოქმედება

# ყველაზე დიდი კაპიტალი გახარებული ბავშვის თვალები

ეროვნული ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** საქველმოქმედო საქმიანობას აგრძელებს. „ჯენოას" ქართველი მცველის ფონდი „კალა კაპიტალი" ახლახან ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის 30 პაციენტ ბავშვს გარკვეული თანხით დაეხმარა. მორიგ საქველმოქმედო აქციას „კალა კაპიტალი" დღეს, კახას მშობლიურ ქალაქ სამტრედიაში ჩაატარებს. კალაძე ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე, სამტრედიის საფეხბურთო სკოლის 9-16 წლის ასაკის ას ბავშვსა და მოზარდს, ასევე მათ მწვრთნელებს იტალიური კომპანია ERREA-ს წარმოების სპორტული ეკიპირების სრულ კომპლექტსა და სხვა საჩუქრებს გადასცემს. ცნობისათვის, ამ ფირმის ფორმით თამაშობენ „ბარი", „ატალანტა", „პარმა" და სხვა ევროპული ქვეყნების გუნდები.



**დავით ცაბაძე**

პრო-გრესი



კახა ცხადაძე და შოთა არველაძე პროლიცენზია მიიღეს

# მწვრთნელობა... ქართველებსაც სცოდნიათ

..ალარც გვახსოვს მსგავსი პრეცედენტი, როცა საქართველოში წლის საუკეთესო მწვრთნელად... ფეხბურთის სპეციალისტს ასახელებდნენ; და აი, ორი დღის წინ, სწორედ ასე მოხდა: 2010 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად **თემურ ქეცბაია** დაასახელეს! იმედია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს არჩევანი საკამათო არავისთვის იქნებოდა: იმის გარდა, რომ ქეცბაიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა ნაკრებმა 2010 წელი წაუგებლად დაასრულა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, როცა ფეხბურთის ქართველ ქომაგს იმედი დაუბრუნდა. ქეცბაიას წარმატებულმა მოღვაწეობამ ერთგვარი „მითიც" დაამსხვრია: არცთუ შორეულ წარსულში ხომ მუდამ იმას „გვიმტკიცებდნენ", რომ ქართული ფეხბურთის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ... უცხოელი მწვრთნელების აქ ჩამოყვანა იქნებოდა. ჰოდა, ყოველივე ამან რა შედეგიც მოგვიტანა, იმედია არავის დაავიწყდება: ფართოდ რეკლამირებული და მალალანაზღაურებადი უცხოელი მწვრთნელების (**კლაუს ტოპმიოლერი, ექტორ კუპერი**) ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგშიც უკან და უკან მიდიოდა და ბოლოს უკვე, ლამის 3 წლის განმავლობაში შესარჩევ ციკლში ერთი მოგებული მატჩიც სანატრელი გვქონდა. ალარაფერს ვამბობთ ერთობ საეჭვო კვალიფიკაციის იმ უცხოელ მწვრთნელებზე, ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები საექსპერიმენტო პოლიგონად თუ შემოსავლის წყაროდ რომ აქციეს (აბა, შედეგს ვინ მოსთხოვდათ): **ჰაინც ტოპმიოლერზე, პეტარ შეგრტზე, რალფ მინგესა** თუ **ჰერბერტ ცანკერზე**. არადა, დრომ გვიჩვენა, რომ ქეცბაიას მსგავსად, თურმე სხვა ქართველ მწვრთნელებსაც „შესძლებიათ" უცხოელ კოლეგებთან შედარებით ბევრად უკეთესი შედეგების ჩვენება, -**კობა ჟორჟიკაშვილს, ოთარ გაბელიასა** და **გიორგი დევდარიანს** ვგულისხმობთ, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში მართლაც ნაყოფიერად რომ მუშაობენ. სასიხარულოა, რომ ქართული სამწვრთნელო სკოლის წარმომადგენლები ამ ბოლო დროს გარკვეულ კი არა, მართლაც თვალსაჩინო წარმატებებს რომ აღწევენ საკლუბო დონეზე, - **შოთა არველაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ჩიხრაძე, თამაზ პერტია**; ნურც **ომარ თეთრაძეს** დავივიწყებთ, ქართული ფეხბურთის აღზრდილს, ვინც ზედიზედ მეორედ მოახერხა თავისი გაწვრთნილი გუნდების რუსულ პრემიერლიგაში აღზევება. სხვათა შორის, გუშინ ორ ქართველ ლეგიონერ მწვრთნელს „ჩვეულებრივი დღე" ნამდვილად არ ჰქონია: შოთა არველაძემ და კახა ცხადაძემ გამოცდა წარმატებით ჩააბარეს და პრო-კატეგორიის ლიცენზიაც მიიღეს! ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში პროლიცენზიის მქონე სპეციალისტთა რიცხვი კიდევ გაიზარდა: არველაძისა და ცხადაძის გარდა, ამ უმაღლეს სამწვრთნელო კატეგორიას თემურ ქეცბაია, გიორგი ჩიხრაძე, **რევაზ ძოძუაშვილი, გია გეგუჩაძე** და **ვლადიმერ ხაჩიძე** ფლობენ.

...თემურ ქეცბაიამ, შოთა არველაძემ და კახა ცხადაძემ კიდევ ერთი „მითი" დაამსხვრიეს: არაერთხელ უთქვამთ, რომ კარგი ფეხბურთელობა მომავალში... კარგ მწვრთნელობას არ ნიშნავსო. ამ შემთხვევაში კი, მართლაც სასიამოვნო გამონაკლისთან გვაქვს საქმე და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის სამივე გამორჩეული ფეხბურთელი დღესდღეობით უკვე წარმატებულ მწვრთნელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. 2010 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელზე თემურ ქეცბაიაზე საუბარს... ახლო მომავლისთვის „გადავდებთ"; აი, რაც შეეხება ახლადმიღებული პროლიცენზიის მფლობელ არველაძესა და ცხადაძეს, მათ სამწვრთნელო კარიერაზე მოკლედ შევჩერდებით. ვიდრე მეზობელ აზერბაიჯანში სამუშაოდ წავიდოდა, ცხადაძემ ორ გუნდთან („დინამო", „სიონი") ერთად საქართველოს ჩემპიონობა იზეიმა, 2010 წელს კი ბაქოს „ინტერის" მწვრთნელის რანგში აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა. „ინტერი" მიმდინარე სეზონში „აზალთან" ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს და, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს პირველ ექვსეულში მოხვედრა (მეორე ეტაპის დაწყებამდე სამი ტურილაა დარჩენილი); ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ყველაზე ქართული გუნდი ამჯერადაც მედლებისათვის იბრძოლებს. ამას გარდა, „ინტერი" აზერბაიჯანის თასის მეოთხედფინალშია გასული და რაც მთავარია, სულ მალე, დსთ-ს თასზეც მიემგზავრება (სხვათა შორის, ერთ-ერთი ფავორიტის რანგში).

შოთა არველაძის სამწვრთნელო კარიერა სულ ახლახან დაიწყო: ორი წელი ჰოლანდიურ „ალკმაარში" ასისტენტად მუშაობდა (**ლუის ვან გაალთან, რონალდ კუმანთან, დიკ ადვოკაატთან**), ამ სეზონის დაწყების წინ კი დამოუკიდებლად მოღვაწეობა გადაწყვიტა და თურქული „ქაისერი" ჩაიბარა. შორს წაგვიყვანს იმაზე ლაპარაკი, თუ რას ნიშნავს ძმები არველაძეებისთვის თურქული ფეხბურთი; ჰოდა, 13-15 წლის წინათ ამ ქვეყანაში არველაძე-ფეხბურთელის პოპულარობა თუ პიკს აღწევდა, ჩვენებური ამჯერად უკვე წარმატებებს მწვრთნელის რანგში აღწევს. თან, გუნდსაც ხომ გააჩნია: პროვინციული „ქაისერის" ისტორიაში საუკეთესო შედეგი ჩემპიონატში მეხუთე ადგილის დაკავებაა (2006, 2007 და 208 წლებში). ჰოდა, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ სწორედ ქართველი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მიაღწიოს „ქაისერმა" ისტორიაში საუკეთესო შედეგს. ამჟამად თურქეთის ჩემპიონატშიც შესვენებაა და მეოთხე ადგილზე მყოფი „ქაისერი" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება „ფენერბახჩეს". სხვათა შორის, შოთა არველაძის თავკაცობით მოასპარეზე „ქაისერმა" ყველა თურქული გრანდის გამწარება მოასწრო: „ფენერბახჩესა" და „ბეშიქთაშს" მოუგო, „გალათასარაისთან" და „ტრაბზონსპორთან" კი ფრედ ითამაშა.

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ვისზე მუშაობს

# აგენტების გაშიფრული სია

## რა აკავშირებთ კალაძეს და მატერაცის?

**თემურ ქეცბაიას** ხუმრობა საფეხბურთო ანეკდოტად იქცა, უმენეჯეროდ კვიპროსიდან ინგლისში გადავედი, მენეჯერმა კი კვიპროსში დამაბრუნაო.

საფეხბურთო აგენტები - საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა. სატრანსფერო ბაზარი უზარმაზარი თანხების სამყაროა, სადაც უცებ შეიძლება გამდიდრება და გაკოტრება, სადაც "გადაგდება", "შავი ფული" და სიბინძურე ყოველდღიური ამბავია. იყო ასეთი ფაქტიც: ქართველი ფეხბურთელის მოსაწყობად ერთ-ერთი ცნობილი ევროპული კლუბის მწვრთნელმა 900 ათასი დოლარი აილო. სხვაგვარად იმ (ინკოგნიტოდ დავტოვოთ) ფეხბურთელს არ ათამაშებდა, მარადონაც რომ ყოფილიყო. ეს ერთი შემთხვევაა, რომელიც ჩვენ ვიცით, მაგრამ რამდენი ასეთი ხდება მსოფლიო ფეხბურთში, ღმერთმა უწყის. მაგრამ ყველა მენეჯერს ხაზს არ გადავუსვამთ - საფეხბურთო მენეჯერებში დამკვიდრებული კრიმინალურ-მაფიოზური მენტალიტეტით ყველა არ დაავადებულა.

ფიფას მონაცემებით, დღეისთვის საქართველოში აგენტებად ოფიციალურად საქმიანობენ: **ბესო აბაშიძე, დავით ახალკაცი, მამუკა ამიროვი, რევაზ ჩელებაძე, გიორგი გახოკიძე, ლევან ღვაბერიძე, გურამ კაჭახიძე, გია გურული, სოფიო კეჩხოშვილი, მამუკა კელაურაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, გიორგი ქინქლაძე, რეზო კუხალეიშვილი, ჰამლეტ კვარაცხელია, ირაკლი მეძმარიაშვილი, გიორგი ნემსაძე, გიორგი ნიკურაძე, ასტამურ სიჭინავა, უჩა მალაზონია, ლევან ზუხბაია.**

2009 წელს კიევში გარდაიცვალა გავლენიანი მენეჯერი **აკა ტონია**, რომელმაც საქართველოში საინტერესო ფეხბურთელების მთელი ჯგუფი ჩამოიყვანა – **ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, ილია სპასოევიჩი...** მწვრთნელები **დუშან უჰრინი, რაინერ ცობელი** და **ექტორ რაულ კუპერი. გიორგი ნემსაძე** საკრებულოში აირჩიეს და დეპუტატობის პერიოდში საქმიანობის უფლება შეუჩერდა. სიაში ქალბატონიცაა - სოფიო კეჩხოშვილი. ნუსხა ვრცელია, მაგრამ აქტიური საქმიანობით ბევრი აგენტი არ გამოირჩევა, ერთი მათგანი კი, თავს ტაქსაობით ირჩენს და სერიოზული ტრანსფერი დიდი ხანია, აღარ განუხორციელებია.

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებში მენეჯერი მხოლოდ **მალხაზ ასათიანს** არ ჰყავს, რადგან მათ სამსახურზე პრინციპულ უარს ამბობს.

დღეს საქართველოს სატრანსფერო ბაზარზე დამკვიდრებულ ყველაზე გავლენიან აგენტებსა და სამენეჯერო კომპანიებს გაგაცნობთ. წინასწარ გეტყვით, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ერთდროულად ორ სააგენტოსთან თანამშრომლობს.



გიორგი გახოკიძე

### მამუკა ჯუღელი

საქართველოსა და რუსეთის მოქალაქე **მამუკა ჯუღელი** თბილისის "დინამოსა" და რუსეთის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **ახრიკ ცვეიბასთან** ერთად ნაკრების რამდენიმე წევრის მენეჯერია: **ნუკრი რევიშვილის** ("ანჟი", რუსეთი), **ლაშა სალუქვაძის, დავით კვირკველიას** (ორივე "რუბინი", რუსეთი), **ოთარ მარცვალაძისა** ("ვოლგა", რუსეთი) და **გოგიტა გოგუასი** ("სპარტაკი", ნალჩიკი). მათ გარდა, რუსულ კლუბებში ჯუღელმა მოაწყო **გიორგი ილურიძე, ზურაბ არზიანი** ("ანჟი", რუსეთი), **გოჩა ხოჯავა, გიორგი ნავალოვსკი, ედიკ საჯაია** (ყველა "ვოლგა", რუსეთი). იყო დრო, ჯუღელი ქართული ბაზრის ყველაზე გავლენიანი მენეჯერი გახლდათ და ამჟამადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ ყველაზე გავლენიანი აღარაა.



რევაზ ჩელებაძე

### რევაზ ჩელებაძე

ქართული ფეხბურთის ვეტერანმა რუსეთსა და უკრაინაში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი წაიყვანა: ჯანო ანანიძე (მოსკოვის "სპარტაკი"), **საბა კვირკველია** ("ზენიტი 2", რუსეთი), **ავთანდილ ბრაჭული** ("რუბინი 2", რუსეთი), **გიორგი ჩელებაძე** ("ჩერნომორეცი", უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა მოსკოვი, რუსეთი). ერთი წლის წინ კი 13 წლის უნიჭიერესი **კობახიძე** "ბარსელონას" საფეხბურთო სკოლაში მიიყვანა და იმედოვნებს, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ვარსკვლავი იზრდება.

თავის დროზე ჩელებაძე ქართველებით კიევის "დინამოს" ამარაგებდა – **ოთარ მარცვალაძე, დათო იმედაშვილი, კახა ალადაშვილი.** "ჩელე" უკრაინის ბაზარის ყველაზე გავლენიანი ქართველი მენეჯერი იყო, მაგრამ **ჯანო ანანიძის** მოსკოვის "სპარტაკში" გადაყვანით ყველაფერი არია – ნიჭიერი ქართველის კიევის "დინამოდან" წასვლამ უკრაინელები გააღიზიანა და ბატონმა რეზომ რუსეთის ბაზარზე გადაინაცვლა, სადაც ნელ-ნელა წამყვან პოზიციებს იმკვიდრებს. ჩელებაძის საკადრო პოლიტიკა მომგებიანია, რადგან ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენასა და წაყვანაზე მუშაობს, რაც სამომავლოდ უფრო მეტ მოგებას უქადის, ჯუღელი კი ჩამოყალიბებულ მოთამაშეებთან თანამშრომლობს.

### Swallowsport Managment
### ლევან ზუხბაია და მიხეილ ხუციშვილი

ფიფას აგენტი ლევან ზუხბაია და სერბულ კლუბ "ვოივოდინას" მენეჯერი მიხეილ ხუციშვილი თბილისის "დინამოს" ტრანსფერებს ამ კომპანიისა და სერბი კოლეგების დახმარებით ახორციელებდნენ. ისინი ნაკრებში გამოძახებული **გიორგი ლორიას, ალეკო კოშკაძის** და დინამოელების უმრავლესობის მენეჯერები არიან: პორტუგალიელი **ედნილსონის, ლევან ხმალაძის,** კამერუნელი **დონალდ ჯუსის,** ბრაზილიელი **რობერტიონიოს, ზვიად ქანთარიას, გიორგი თექთურმანიძის, გიორგი მამუჩაშვილის,** აგრეთვე "ვოივოდინას" ფეხბურთელების, **გიორგი მერებაშვილის,** ჩერნოგორიელი **იანკო ტუმბაჩევიჩის,** შვეიცარიელი **ბობან მაქსიმოვიჩის,** ბაქოს "ინტერის" მეკარე **გიორგი ლომაიასი** და ნახევარმცველ **დათო ოდიკაძის.**

### Pro Sport Managment International
### (უკრაინა-საქართველო)

უკრაინულ-ქართული სააგენტო Pro Sport Managment International-ს უკრაინაში აფრიკელი და ქართველი ფეხბურთელები ჩაჰყავს – საქართველოც ხომ აფრიკასავით იაფი მუშახელით არის ცნობილი.

სააგენტოს თავკაცები უკრაინელი **ივან ძუძელია** და თბილისელი **მამუკა ამიროვი** არიან. მათი კლიენტების დიდი ნაწილი ქართველია და გათვლა მომავალზეა გაკეთებული – უმრავლესობა პერსპექტიული ფეხბურთელია, რომლებსაც უახლოეს პერიოდში ეროვნულ ნაკრებში წამყვანი პოზიციების დაკავება შეეძლებათ: **უჩა ლობჟანიძე** ("დნიპრო", დნეპროპეტროვსკი, უკრაინა), **გიორგი ხიდეშელი, მურთაზ დაუშვილი, ნიკა გელაშვილი, ალექსი ბენაშვილი, გიორგი ცხადაია** (ყველა "ზესტაფონი"), **ბექა გოცირიძე** ("კრივბასი", უკრაინა), **თორნიკე ოქრიაშვილი** ("შახტარი" დონეცკი, უკრაინა), **გიორგი გაბედავა** ("ილიჩივეცი", მარიუპოლი, უკრაინა), **ბაქარ მირცხულავა** ("ბენფიკა 2", ლისაბონი, პორტუგალია).

### საფეხბურთო ტრანსფერის სააგენტო
### (საქართველო)

"საფეხბურთო ტრანსფერის სააგენტო" ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაციაა, რომელიც წამყვან ევროპულ სააგენტოებთან თანამშრომლობს. საერთაშორისო სატრანსფერო ინტერნეტ-პორტალს თუ დავუჯერებთ, ქართველების პარტნიორი კომპანიის კლიენტი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე **იკერ კასილიასია.**

ეს სააგენტო ცნობილმა ფეხბურთელებმა **გიორგი ქინქლაძემ** და **გიორგი გახოკიძემ** ერთად ჩამოაყალიბეს – მათი კლიენტები არიან ეროვნული ნაკრების დღევანდელი (**ვლადიმერ დვალიშვილი, ალეკო ამისულაშვილი, გურამ კაშია**) და ყოფილი წევრები (**გიორგი სეთურიძე, დავით ოდიკაძე**), აგრეთვე **თორნიკე თარხნიშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, შოთა კაშია** და **ლაშა თოთაძე.**

### Soccertalk Sportmanagement
### (გერმანია)

გერმანული სააგენტოს კლიენტია ეროვნული ნაკრების სამი წევრი: **ლევან ყენია, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი.**

### Soccer Sportmarketing
### (გერმანია)

გერმანულ კომპანიასთან მხოლოდ ორი ქართველი თანამშრომლობს: **დავით სირაძე** (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთი) **და გიორგი ფოფხაძე** ("ვიბორგი", დანია).

### FIMO

იტალიური კომპანია "ფიმოს" კლიენტი ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძეა.** კომპანიასთან თანამშრომლობენ **დეიან სტანკოვიჩი, მარკო მატერაცი** ("ინტერი"), **კრისტიან აბიატი** ("მილანი"), **იესპერ გრონკიაერი** ("კოპენჰაგენი") და სხვანი. კახა ამ კომპანიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული "პროდუქტი" გახლდათ, რომლის "აქციებზე" ფასი "მილანში" ორწლიანი უქმობის გამო მნიშვნელოვნად დაეცა – დღეს საქართველოს ნაკრების კაპიტნის ტრანსფერი მხოლოდ 1,5 მილიონი ევრო ღირს.

### Euro Connections ASP
### (ავსტრია)

**ივან ბენეშის** კომპანია „ევრო ქონექშენთან" **ზურაბ ხიზანიშვილი** და დანიური "ორჰუსის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** თანამშრომლობენ. ორი წლის წინ ხიზანიშვილი სააგენტოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ამჟამად მისი სატრანსფერო ფასი 750 ათას ევრომდე შემცირდა. იყო დრო, ბენეში ქართველთა "დასავლეთის ფანჯარა" იყო, მაგრამ დრონი მეფობენ...

### ... და სხვები

საქართველოში უცხოური "პროდუქციის" მთავარი იმპორტიორები **გია გურული** და **მამუკა წერეთელი** იყვნენ. გურულმა საქართველოში გაბონის ნაკრების წევრები ჩამოიყვანა – **დიდიე ოვონო, ერნესტ აკუასაგა, პოლ კესანი, ჯორჯ აკირემი,** აგრეთვე **ერიკ რომეო ჩასემი, ფრიდოლინ ბოიომო, ტიერი კლოვისი.** თუმცა გაბონის ნაკრები ფიფას რეიტინგში მნიშვნელოვნად დაწინაურდა, აფრიკელთა ფასი გაიზარდა და საქართველოში ჩამოსვლას აღარ კადრულობენ.

ბრაზილიიდან ქართულ კლუბებს **გოჩა ალადაშვილი** ამარაგებდა: **კარლოსი, აკინო, ფრაგა, ვიერა, სანტოსი, ჯონატასი** მისი მონაწილეობით მოხვდნენ „დინამოსა" და „ზესტაფონში".

წერეთელი რუსთავის "ოლიმპთან" პარტნიორობდა, რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი ჩამოიყვანა, ახლა კი ჰოლანდიელ პარტნიორთან ერთად, აზიური ბაზრის ათვისებას ცდილობს, სადაც სოლიდური თანხები ტრიალებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლეგიონერების ჩამოყვანას ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ბრძანებულება უშლის ხელს – კლუბმა ფედერაციას ერთი ლეგიონერის სანაცვლოდ 15 ათასი ლარი უნდა გადაუხადოს, ამის საშუალება კი საქართველოში თითქმის არც ერთ კლუბს არ აქვს.

**გოჩა თამაზაშვილს, მალხაზ მუსერიძეს, დავით ქარაულს, ბესო აბაშიძეს** და **გიორგი ნიკურაძეს** ქართველი ახალგაზრდები ევროპაში – ფინეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, დანიაში მიჰყავთ. თუმცა, ქართული ფეხბურთისადმი ინტერესის კლებამ მათ შემოსავლის წყარო შეუმცირა. ახლა მენეჯერთა სიას საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **ლევან სილაგაძეც** დაემატა.

სომხეთის მიმართულებით მუშაობს **რომან რამიშვილი**, აზერბაიჯანში - **დავით გენძეხაძე** ("სიმურგში" ქართველები მისი გადაყვანილია), **გია ხურციძე** ("თურანის" პარტნიორია, სადაც 23 დეკემბრამდე მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** იყო), **ვასილ ჭეიშვილი.** ყაზახეთ-უზბეკეთში კი ფეხბურთელები ხშირად საკუთარი კავშირებით მიდიან.

ცნობილი ქართველი ფეხბურთელი და საფეხბურთო აგენტი გოგა გახოკიძე ამბობს, რომ ურთულეს სფეროში მოხვდა: *"ტრანსფერზე მოლაპარაკება რთული არ არის, თუ კარგი კავშირები გაგაჩნია და გენდობიან. ნდობა ჩვენს სფეროში განსაკუთრებით ფასობს. ორი წელია, ვმენეჯერობ და მიკვირს, ისეთი ბინძური ამბები ხდება, აქ 70-80 პროცენტი იტყუება. ერთ-ერთი ფეხბურთელისთვის კლუბი მოვნახე, კონტრაქტის დეტალებიც შევათანხმე და ბოლოს გაირკვა, რომ ეს მოთამაშე ტრანსფერზე სხვა აგენტთანაც შეთანხმებულიყო. ამიტომ მეგობრულ შეთანხმებას ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება სჯობია, როდესაც ყველაფერი გარკვეულია და იურიდიულად არის განმტკიცებული.*

*სახელს თუ გაიტეხ, მერე ამ სფეროს უნდა დაემშვიდობო. ამიტომ ვცდილობთ, არავისთან შევრცხვეთ და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი პრობლემა არასდროს შეგვქმნია. ფეხბურთელთან მართალი უნდა იყო და ორივესთვის მომგებიან ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება.*

*ჩვენი სააგენტოდან ფეხბურთელები ნაკლებანაზღაურებად, მაგრამ უფრო პერსპექტიულ ევროპულ კლუბებში მიგვყავს, რადგან იქ გაზრდის მეტი საშუალებაა. თუმცა მიულებელი არც ფეხბურთელის რუსეთის ძლიერ კლუბში გადასვლაა. მთავარია, გუნდი კარგად შეურჩიო და ფულს არ დახარბდე".*

უეფაში კარგად იციან, აგენტებში რა ფული ტრიალებს, მოძრაობს და კლუბებმა უფრო რომ იხეირონ, ოფიციალური დადგენილება მიიღეს, რომელიც 26 ოქტომბერს „ლოკომოტივის" სტადიონზე ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების განყოფილების ხელმძღვანელმა **ბაქარ ჟორდანიამ** უმაღლესი და პირველი ლიგების წარმომადგენლებს გააცნო - უეფა კლუბისგან ტრანსფერებზე პასუხისმგებელი პირის შტატის დაწესებას ითხოვს, ეს პუნქტი ძალაში 2011 წლიდან შედის.

ოფიციალურად, მენეჯერს ტრანსფერიდან თანხის 10 პროცენტი ეკუთვნის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც 10 პროცენტი ფეხბურთელს და კლუბს დარჩენიათ, მენეჯერს კი - 90 პროცენტი. უეფას დადგენილებაც ამან განაპირობა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ქინქლაძე


დიდიე დროგბა - არსენალის თავისტკივილი

● ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის წინ

# ცაგეტი...

| ხვალ | |
|---|---|
| ფულჰემი-ვესტ ჰემი | 16:00 |
| ბლექბერნი-სტოკი | 19:00 |
| ბლექპული-ლივერპული | 19:00 |
| ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 19:00 |
| ევერტონი-ბირმინგემი | 19:00 |
| მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი | 19:00 |
| ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი | 19:00 |
| ვულვერჰემპტონი-უიგანი | 19:00 |
| ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 21:30 |
| **ზეგ** | |
| არსენალი-ჩელსი | 24:00 |

ვინაიდან წინა ტურში „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა 1 მარტამდე გადაიდო, მომავალი ორშაბათის მატჩმა იმავე „ჩელსისა" და „არსენალს" შორის საგანგებო მნიშვნელობა შეიძინა. ლონდონური დერბის მასპინძლები „მეთოფეები" არიან, მაგრამ თუ სტუმრები გაიმარჯვებენ, დიდი შანსია, **არსენ ვენგერსა** და მის ფეხბურთელებს ტიტულზე ოცნებასთან გამოთხოვება მოუხდეთ. ყოველ შემთხვევაში, „ჩელსის" მოგება „არსენალისთვის" დიდი დარტყმა იქნება.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში დასავლეთლონდონელები ცუდად თამაშობენ, მაგრამ ჩრდილოეთუბნელებთან დაპირისპირებათა სტატისტიკა მათ სასარგებლოდ მეტყველებს: ბოლო სამ შეხვედრაში „არსენალს" „ჩელსისთვის" ერთი გოლიც კი არ გაუტანია. ვენგერის გუნდმა „ლურჯებს" ბოლოს 2008 წლის ნოემბერში მოუგო და ვერც **დიდიე დროგბას** უხერხებს რამეს – აფრიკელ თავდამსხმელს „არსენალის" წინააღმდეგ 13-ჯერ უთამაშია და 13 გოლი აქვს გატანილი. „ჩელსიმ" „არსენალს" ერთხელ უკვე ამ სეზონშიც მოუგო, 2:0.

ინგლისში საფეხბურთო საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია „არსენალის" კაპიტნის **სესკ ფაბრეგასის** ნათქვამს, რომ მის თანაგუნდელებს დიდ მატჩებში დამარცხების შიში ეუფლებათ და ეს გუნდის თამაშს თავისებურ ელფერს აძლევს. ისევ სტატისტიკოსებს დავესეხოთ: ვენგერის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ჩელსისთან" ბოლო 18 შეხვედრიდან 14 წააგო!

თუმცა, ზემოთ „ჩელსის" ცუდი ფორმაც ვახსენეთ. „ლურჯებმა" პრემიერლიგაში ბოლო სამი შეხვედრა 1:1 დაასრულეს. უფრო მეტყველი ის არის, რომ ნოემბერსა და დეკემბერში **კარლო ანჩელოტის** გუნდმა ერთადერთხელ გაიმარჯვა - „ფულჰემთან", 1:0.

რასაკვირველია, ორშაბათის დაპირისპირებას თავისი ვარსკვლავებიც ეყოლება. წინასწარ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „არსენალის" მხრიდან ეს ბოლო დროს შესანიშნავად ათამაშებული **სამირ ნასრი** უნდა იყოს, „ჩელსის" მხრიდან კი **დიდიე დროგბა**. ნასრის მართლაც შესანიშნავი პერიოდი უდგას, ჩინებულ ფორმაშია და 8 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახლავთ. რაც შეეხება დროგბას, მას ამ შემოდგომაზე მალარიაც კი შეეყარა, მაგრამ რა გინდა უქნა „მეთოფეთა" კარში გატანილ იმ 13 გოლს, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ?

მანამდე კი საკრივო დღეებია", შობის მეორე დღე, როდესაც ინგლისში ტრადიციულად სპორტული შეჯიბრებები და სანახაობები იმართება. ჰოდა, პრემიერლიგის ტურზე მეტი სანახაობა რაღა გინდა? ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი" „სანდერლენდს" მასპინძლობს. მანჩესტერელებს, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ და განა მარტო იმიტომ, რომ ისინი ზოგადად თამაშობენ „სანდერლენდზე" უკეთ, არამედ იმიტომ, რომ სანდერლენდელთა თავკაც **სტივ ბრუსს** შემადგენლობის პრობლემა აქვს – შვიდი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. კაპიტანი **ლი კატერმოული** დისკვალიფიცირებულია, რადგან ამ სეზონში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო. ყველაზე საინტერესო მიზეზი აქვს თავდამსხმელ **დენი უილბეკს**, რომელიც იურიდიულად „მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა და ხელშეკრულებაში უწერია, რომ ამ გუნდის წინააღმდეგ არ უნდა ითამაშოს. „იუნაიტედში" კი საქმე ასეა: **ნემანია ვიდიჩსა** და **ანდერსონს** გრიპი შეეყარათ, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონი** იმედოვნებს, რომ ისინი მაინც შეძლებენ თამაშს.

„მანჩესტერ სიტი" ნიუკასლში მიდის, სადაც თავის ყოფილ გუნდს **ჯოი ბარტონი** დახვდება – **ალან პერდიუ** მას აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. 28 წლის „შერეკილი" „სენტ ჯეიმს პარკზე" 2007 წელს სწორედ ისტლენდიდან გადავიდა. მაშინ „ნიუკასლმა" მასში 5,8 მილიონი ფუნტი გადაიხადა. საინტერესოა, რომ დღეს ალან პერდიუ, ამინდის მიუხედავად თავის ბიჭებს სწორედ „სენტ ჯეიმსზე" ავარჯიშებს, რამაც სტადიონის ავან-ჩავანთა მხრიდან დიდი სიხარული არ გამოიწვია.

*„ჩვენი მოედნის მომვლელი ძალიან უკმაყოფილო დარჩა. მას არ მოეწონა, რომ ჩვენ შობა საღამოს ვვარჯიშობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ოჯახს ვერ შეუერთდება, რადგან გუნდის წასვლის შემდეგ მოედანი ექნება მოსაწესრიგებელი, მაგრამ რას ვიზამთ. ბოდიშს ვუხდით მას".*

„ტოტენჰემი" ბირმინგემს მიემგზავრება „ასტონ ვილასთან" სათამაშოდ. როგორი განწყობაა ლონდონელთა გუნდში ამ შეხვედრის წინ? ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი **რაფაელ ვან დერ ვაართმა** გასცა: *„იმისათვის, რომ ზედა ოთხეულში შევიდეთ, უნდა მოვიგოთ. ვიცით, რომ ეს ძნელია, რადგან გარშემო ბევრი კარგი გუნდია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. მარტო დიდ გუნდებთან თავის გამოჩენასაქმეს ვერ უშველის, საჭიროა, შედარებით სუსტებთანაც არ დავკარგოთ ქულები".*

„ასტონ ვილა" 20-გუნდიან ცხრილში მე-15 ადგილზეა, ასე რომ, ჰა ბურთი და ჰა მოედანი.

და „ლივერპული"? ის ცხრილში თავის მეზობელ „ბლექპულს" სტუმრობს. რა დრო დაუდგა?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 16 | 9 | 7 | 0 | 36:16 | 34 |
| 2. არსენალი | 17 | 10 | 2 | 5 | 34:19 | 32 |
| 3. სიტი | 18 | 9 | 5 | 4 | 25:15 | 32 |
| 4. ჩელსი | 17 | 9 | 4 | 4 | 31:12 | 31 |
| 5. ტოტენჰემი | 17 | 7 | 6 | 4 | 25:22 | 27 |
| 6. სანდერლენდი | 18 | 6 | 9 | 3 | 21:18 | 27 |
| 7. ბოლტონი | 18 | 6 | 8 | 4 | 30:25 | 26 |
| 8. ნიუკასლი | 17 | 6 | 4 | 7 | 27:26 | 22 |
| 9. ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:22 | 22 |
| 10. ბლექპული | 16 | 6 | 4 | 6 | 24:29 | 22 |
| 11. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:29 | 22 |
| 12. ბლექბერნი | 18 | 6 | 4 | 8 | 23:28 | 22 |
| 13. სტოკ სიტი | 17 | 6 | 3 | 8 | 21:22 | 21 |
| 14. ევერტონი | 18 | 4 | 9 | 5 | 20:21 | 21 |
| 15. ასტონ ვილა | 17 | 5 | 5 | 7 | 19:28 | 20 |
| 16. ბირმინგემი | 17 | 3 | 9 | 5 | 17:20 | 18 |
| 17. ფულჰემი | 17 | 2 | 10 | 5 | 16:20 | 16 |
| 18. უიგანი | 17 | 3 | 7 | 7 | 13:28 | 16 |
| 19. ვულვზი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:30 | 15 |
| 20. ვესტ ჰემი | 18 | 2 | 7 | 9 | 16:31 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 – ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 – ტევესი (მანჩესტერ სიტი), ქეროლი (ნიუკასლი), კეჰილი (ევერტონი); 8 –ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), ნოლანი (ნიუკასლი); 7 – ბენტი (სანდერლენდი), შამახი (არსენალი), დროგბა (ჩელსი), მალუდა (ჩელსი); 6 – დევისი (ბოლტონი), კალუ (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი).

● არსენალის გეგმები

# ხუთი წააგე, შეგერგება...

შარშან, შარშანწინ ან უფრო ადრე „არსენალს" შობის დადგომამდე 5 თამაში რომ წაეგო, ჩემპიონობაზე ფიქრსაც ვეღარ გაბედავდა, მაგრამ დღეს ინგლისში სხვა მდგომარეობაა. მერე რა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ჯერ ერთხელაც არ წაუგია, ხოლო მისი პორტუგალიელი ნახევარმცველი **ნანი** მთავარ ბრძოლას „ჩელსისთან" ელის. ჩახედეთ ცხრილს – ლიდერთაგან შანსი ყველას აქვს.

*„ყველას თავისი აზრი აქვს, წინასწარმეტყველი კი არავინ არის,* – ღიმილით პასუხობს ნანის „მეთოფეთა" თავკაცი **არსენ ვენგერი.** – *პირადად მე ფეხბურთში ჭიპი მაქვს მოჭრილი, მწვრთნელის რანგში 1600 თამაში ჩამიტარებია და არ ვიცი, ვინ გახდება ჩემპიონი. იმისათვის, რომ იცოდეს, ნანი ჩემზე 1600-ჯერ ჭკვიანი უნდა იყოს".*

„მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" ორი კვირის წინ „ოლდ ტრეფორდზე" უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა მანჩესტერის გუნდმა. ის, რომ „იუნაიტედს" ერთხელაც არ წაუგია, ხოლო „არსენალმა" ხუთი მარცხი იწვნია, ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ცხრილში მათ შორის მხოლოდ ორქულიანი განსხვავებაა. აი, ასე ხვდება ჩრდილოლონდონელთა გუნდი „საკრივო დღეებს", უფრო სწორედ კი ორშაბათს, როდესაც „ემირეიტ სთედიუმზე" ჩემპიონი „ჩელსი" ესტუმრება. დაამატეთ ამას, რომ გამოჯანმრთელდა კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი**, რომელმაც ორთავა კუნთი მოირჩინა, ხოლო **რობინ ვან პერსი** დაამებული კოჭით თანდათან უკეთ და უკეთ თამაშობს.

ვენგერი ამბობს: *„გაოცებული ვარ, 5 თამაში რომ წავაგეთ, აქედან სამჯერ შინ და თან ისეთ გუნდებთან, რომლებიც ჩვეულებრივ ჩემპიონობისთვის არ იბრძვიან და, ამის მიუხედავად, კვლავ ფავორიტთა შორის ვართ. არ დავსჯილვართ. ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ვითამაშებთ საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტების წინააღმდეგ".*

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში „არსენალი" უკვე ეთამაშა „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსის", „მანჩესტერ სიტისა" და „ლივერპულს". ამ შეხვედრებიდან „მეთოფეებმა" მხოლოდ ერთი მოიგეს – ისტლენდზე „სიტისთან" 3:0. დაგვეთანხმებით, სახარბიელო შედეგი არ არის, მაგრამ ვენგერს სწამს, რომ მას და მის ბიჭებს მაინც შეუძლიათ, 2004 წლის შემდეგ პირველად გახდნენ ჩემპიონები, თუმცა, ამისათვის შინ თამაში მართლაც გასაუმჯობესებელია. „არსენალი" „ემირეით სთედიუმზე" „ნიუკასლთან", „ტოტენჰემთან" და „ვესტ ბრომვიჩთან" დამარცხდა.

*„როდესაც „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" დავმარცხდით, ვგრძნობდით, რომ მეტოქეს თამაშით არ ჩამოვუვარდებოდით. გარდა ამისა, მწამს, რომ პერსპექტივა ჩვენ უფრო მეტი გვაქვს, რადგან ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს. ერთადერთი, რაც ჩვენ გვჭირდება, საკუთარი თავის რწმენაა. რასაკვირველია, კარგია, როდესაც ხედავ, რომ მეტოქეს თამაშის ხარისხით არ ჩამოუვარდები, მაგრამ უმჯობესია, ის დაამარცხო. საამისოდ, ჩვენს ფეხბურთს ცივი, განონასწორებული ელემენტი უნდა დავამატოთ.*

*დიდი ამოცანის წინაშე ვდგავართ. საკუთარ თავს მიზნად დინამიზმით აღსავსე, ჭკვიანური ფეხბურთის თამაში დავუსახეთ. „ჩელსი" უძლიერესი გუნდია, რომლისგან სისუსტეს არც ერთ ასპექტში არ ველით. მის წინააღმდეგ უმაღლესი დონის ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და დავამტკიცოთ, რომ შინ ძალიან ძლიერები ვართ.*

*დღეს „არსენალისთვის" უმნიშვნელოვანესი პერიოდი დგას. იანვარი გადამწყვეტი თვეა, რადგან უამრავი თამაში გვიწევს როგორც პრემიერლიგაში ასევე „ქარლინგისა" და ფეხბურთის ასოციაციის თასებზე. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი ყურადღებითა და მობილიზებით ჩავატარებთ ამ შეხვედრებს".*


არსენალს შანსი კიდევ აქვს

● სიტის პრობლემები

# ზარმაცი და მოღუშული ბალოტელი

**როპერტო მანჩინიმ მარიო ბალოტელი** სიზარმაცისა და უვარგისობის გამო გათათხა. მოგეხსენებათ, ორშაბათს „მანჩესტერ სიტიმ" „ევერტონს" უმასპინძლა და 2:1 წააგო. აფროიტალიელმა ბალოტელიმ ამ შეხვედრაში მოედანზე 83 წუთი დაყო, მაგრამ საშინლად ითამაშა. მანჩინის, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსო. მწვრთნელმა თქვა:


მარიო ბალოტელი

*„როდესაც მარიო თამაშის ღირსი იქნება, მე მას ვათამაშებ. როდესაც ის ამას არ დაიმსახურებს მოედანზე ფეხს არ შევადგმევინებ. და კიდევ, ის ითამაშებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუხლჩაუხრელად იმუშავებს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ მარიო ტექნიკური, კარგი ფეხბურთელია. თუ ჩვენ გვინდა წარმატებებს მივაღწიოთ, „სიტის" ყოველმა წევრმა 200 პროცენტით უნდა მოინდომოს. ბალოტელი საგანგებო ნიჭით დაჭილდოებული ადამიანია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საქმეს გულისა და ღონის დატანება სჭირდება".*

20 წლის მარიო ბალოტელი „მანჩესტერ სიტის" ბოლო 6 შეხვედრიდან ხუთში ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ „ნიუკასლ იუნაიტედთან" შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე იჯდება. მიმდინარე სეზონში მან 9 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო, თუმცა, ერთხელ მსაჯს თავიც გააგდებინა და, რაც მთავარია, სულ ისე იქცევა, გეგონება „მანჩესტერ სიტისთან" დაკავშირებული არაფერი სიამოვნებს. მანჩინის რწმენით, ბალოტელის პოტენციურად შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიც კი გახდეს, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამჯერად მწვრთნელს ნერვებმა უმტყუნა.

*„მან დღევანდელი მდგომარეობა უნდა გამოასწოროს და გაიღიმოს. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არის მუდამ უკმაყოფილო. მანჩესტერი მილანისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ ამას ვერაფერს მოუხერხებს და უნდა შეეგუოს".*

შეგახსენებთ, რომ მანჩინიმ ბალოტელი გასულ ზაფხულს „ინტერისგან" 24 მილიონ ფუნტად იყიდა. მწვრთნელისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელი უცხო არ იყო – ის 2004-08 წლებში თავად გახლდათ „ინტერის" თავკაცი და ბალოტელი მის ხელში იზრდებოდა. მანჩინიმ თქვა:

*„ჩვენ, რასაკვირველია, კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მარიო ვალდებულია, კარგად ითამაშოს. მან დანარჩენი ფეხბურთელებივით ყოველდღე დაუზარლად უნდა ივარჯიშოს".*

ბალოტელის გარდა, იტალიელი მწვრთნელი **კარლოს ტევესის** საკითხსაც შეეხო და მიანიშნა, რომ არგენტინელი ფორვარდი ფანებს ბოდიშს მოუხდის. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთკვირიანი დაძაბულობის შემდეგ ტევესმა „მანჩესტერ სიტის" ოფისში შეტანილი განცხადება კლუბიდან გაშვებასთან დაკავშირებით, გაიტანა.

*„არ ვიცი, იქნებ, კარლოსი ბოდიშის მოხდასაც აპირებს. მთავარია, მან კარგად ითამაშოს და გოლები გაიტანოს. გარწმუნებთ, აქ, ისტლენდზე, ფანებს ის კვლავ უყვართ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ინტერვიუ. ჩეზარე პრანდელი



ჩეზარე პრანდელი

# პრანდელის რჩეულები და წლის შეჯამება

2010 წელი იტალიური ფეხბურთისთვის მაინცდამაინც წარმატებული არ გამოდგა. მართალია, მილანის „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგა და საკლუბო მუნდიალი მოიგო, მაგრამ რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე შერცხვნენ აპენინელები. სამხრეთ აფრიკაში გამართულ მუნდიალზე იტალიის ეროვნული ნაკრები ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა. თანაც, ჯგუფიც არის და ჯგუფიც - „სკუადრა აძურა“ პარაგვაის, სლოვაკეთის და ახალი ზელანდიის ნაკრებებთან პაექრობაში შერცხვა. აფრიკაში განცდილ ფიასკოს მარჩელო ლიპის სკამი შეეწირა, მისი ადგილი კი ჩეზარე პრანდელიმ დაიკავა. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი „აძურამ“ კარგად დაიწყო, ჯგუფში პირველ ადგილზეა, თუმცა ვერც იმას დავიჩემებთ, რომ გუნდი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. პრანდელი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და იმ ბირთვს არჩევს, რომელსაც სამომავლოდ დაეყრდნობა. როგორ აფასებს სინიორ ჩეზარე განვლილ წელიწადს და რა შეხედულებები აქვს იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზე? - ამ ყველაფერზე მან „სქაი იტალიასთან“ ისაუბრა, რასაც ქვემოთ, ინტერვიუს სახით გთავაზობთ.

**- ვის დაასახელებდით წლის საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად?**

- ჩემი რჩეულია ანტონიო კასანო. ის, რომ გასულ სეზონში „სამპდორიამ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, დიდწილად სწორედ კასანოს დამსახურებაა. სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერავინ გამოიჩინა თავი და იძულებულნი ვართ, საკლუბო დონეზე თავგამოჩენილებში გავაკეთოთ არჩევანი. მე სწორედ კასანოს მივანიჭებდი უპირატესობას, იტალიური ფეხბურთისთვის ის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა.

**- აქვე ვთქვათ, ვინ გაგიცრუათ ყველაზე მეტად იმედები?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, რადგან იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და შეიძლება ეს არასწორად გაიგონ. როგორც ნებისმიერმა რიგითმა იტალიელმა, ყველაზე დიდი იმედგაცრუება მსოფლიოს ჩემპიონატზე მივიღე. ჩვენი ნაკრებისგან გაცილებით მეტს ველოდი და ძალიან მეწყინა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ჩავრჩით.

**- მუნდიალზე ნაკრების ასპარეზობა იტალიურ ფეხბურთში არსებული კრიზისის ნათელი დადასტურებაა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ასე მარტივად არ არის საქმე. იტალიურ ფეხბურთში მწვავე კრიზისი იყო, როდესაც 2006 წელს „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. პრობლემა ძალიან ბევრია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნულმა გუნდმა წარუმატებლად იასპარეზოს. არ მახსოვს პერიოდი, როდესაც ჩვენს ფეხბურთში პრობლემები არ ყოფილიყოს, ამიტომ, უნდა მოვეშვათ წუწუნს და საქმე ვაკეთოთ.

**- როგორ შეაფასებთ თქვენს მუშაობას ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად და როგორი იქნება „სკუადრა აძურა“ 2011 წელს?**

- ჩემი მოლოდინი გამართლდა, ნაკრების გაწვრთნა ძალიან საინტერესოა და ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. განვლილ სამუშაოს დადებითად შევაფასებ, რადგან არაერთი ახალი ფეხბურთელი ვნახეთ საქმეში და რაც მთავარია, შედეგი გვაქვს დადებითი. ჩვენი მთავარი მიზანი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა და თუ ასე გავაგრძელეთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, რევოლუციურ ცვლილებებს ნამდვილად არ ვაპირებ.

**- გინდათ თქვათ, რომ ბირთვი უკვე შეარჩიეთ?**

- ჯერ ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, რომ ბირთვი შერჩეულია, მაგრამ დროა, გუნდის ჩამოყალიბებაზე და ფეხბურთელთა შეთამაშებაზე ვიზრუნოთ. ერთი სული მაქვს, როდის დაუბრუნდება მოედანს ანტონიო კასანო, რათა თავდასხმაში მარიო ბალოტელის შევუწყვილო. ვფიქრობ, ორივე უდიდესი შესაძლებლობების ფეხბურთელია და მათი ტანდემი ნებისმიერი გუნდის დაცვის ხაზს შეუქმნის პრობლემებს. სამწუხაროდ, აქამდე ძირითადად ისე ხდებოდა, რომ ან ერთი იყო ტრავმირებული, ან მეორე... კასანო სულაც გუნდიდან მოკვეთეს და ოპტიმალური კონდიციისგან შორს არის.

**- როგორ ფიქრობთ, სად ჯობია გააგრძელოს კარიერა კასანომ, „მილანში“ თუ „სამპდორიაში?**

- იქ, სადაც მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. მისი შესაძლებლობების ფეხბურთელს ეს არც „სამპაში“ უჭირდა და წესით, არც „მილანში“ უნდა გაუჭირდეს. ამიტომ, არა მგონია ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. მთავარია, ჭკვიანად იყოს და მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე მოახდინოს კონცენტრაცია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ანტონიო იტალიურ ფეხბურთს ძალიან სჭირდება.

**- ცნობილია, რომ ფრანჩესკო ტოტისთან ახლო მეგობრობა გაკავშირებთ...**

- გასაგებია კითხვის ქვეტექსტი... ვადასტურებ, რომ ტოტი ჩემი ძალიან ახლო მეგობარია და მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. თუმცა, მეგობრობის ხათრით ეროვნულ ნაკრებში ვერავის გამოვიძახებ. ფრანჩესკო რომ ოპტიმალურ ფორმაში იყოს და ისე თამაშობდეს, როგორც ხუთი წლის წინ, ერთ წუთსაც არ დავფიქრდებოდი, ისე გამოვიძახებდი ეროვნულ ნაკრებში. ამ ეტაპზე, მისი საჭიროება არ დგას და თუ მეორე ახალგაზრდობა გაიხსენა, რატომაც არა, აუცილებლად გამოვიძახებ.

**- სერია A-ზე გადავიდეთ. რამდენად კანონზომიერია „მილანის“ ლიდერობა?**

- სატურნირო ცხრილი არასდროს ტყუის, რადგან იქ იმას ენიჭება უპირატესობა, ვისაც მეტი ქულა აქვს. რადგან „მილანმა“ ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, ე.ი. იმსახურებს კიდეც ლიდერის პოზიციას. ვფიქრობ, „როსონერი“ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და ეს გუნდი კიდევ მოუმატებს. კომპლიმენტები მინდა ვუძღვნა მასიმილიანო ალეგრის, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს და შესაბამისად, შედეგიც აქვს. ვფიქრობ, „მილანის“ მიმართ არ უნდა ვიყოთ ძალიან მომთხოვნი, ახალი მწვრთნელის ხელში გუნდმა ერთი ტროფეიც რომ მოიგოს, ეს უკვე დიდი წარმატება იქნება.

**- იქნებ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ სხვა გუნდებზეც გვითხრათ თქვენი აზრი...**

- სადაც ალეგრი შევაქე, იქაც ედუარდო რეია და ვალტერ მაძარი უნდა ვახსენო. შესანიშნავად მუშაობენ და ის, რომ მათი გუნდები მეორე-მესამე ადგილზე არიან, სწორედ მწვრთნელთა დამსახურებაა. ძალიან მომწონს „იუვენტუსი“, ტურინელები სწორი გზით მიდიან და აუცილებლად მიაღწევენ სანადელს. მიმდინარე სეზონში ეს შეიძლება ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა იყოს, ან სულაც სკუდეტო. ბოლო თამაშებში „რომაც“ შესანიშნავად გაისარჯა და ვფიქრობ, ეს გუნდიც ლიდერთა მარაქაში იქნება. აი, რაც შეეხება „ინტერს“, ერთი ღმერთმა იცის, როგორ დასრულდება სეზონი ამ გუნდისთვის. ჯერ ხომ ისიც კი არ ვიცით, ვინ შეცვლის რაფაელ ბენიტესს. აქვე ვიტყვი „ფიორენტინას“ შესახებ და გამოვთქვამ იმედს, რომ „ვიოლა“ სეზონის მეორე ეტაპზე გაცილებით უკეთეს ფეხბურთს გვაჩვენებს. ამ გუნდს შესწევს უნარი, ევროსაგზურისთვის იბრძოლოს.

**- მწვრთნელები ახსენეთ და გვითხარით, ვინ არის 2010 წლის საუკეთესო იტალიელი სპეციალისტი?**

- ჩემი აზრით, საუკეთესო კარლო ანჩელოტი გახლავთ. ინგლისის პრემიერლიგას შესანიშნავად მოერგო, ჩემპიონი გახდა და დაგვანახვა, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია. ამაში ბევრს ეპარებოდა ეჭვი და ეს მიუხედავად იმისა, რომ „მილანთან“ ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მართალია, ბოლო პერიოდში „ჩელსის“ ჩავარდნა დაეწყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არისტოკრატები სიძნელეებს მალე დაძლევენ. ამ ყველაფერს იმიტომ არ ვამბობ, რომ კარლეტო ჩემი მეგობარია, ის ობიექტურად საუკეთესოა და დარწმუნებული ვარ, პოზიციებს არც სამომავლოდ დათმობს.

**- ბოლოს, რამდენიმე შეკითხვა, რომელზეც მოკლედ გაგვეცით პასუხი: წლის საუკეთესო ლეგიონერი სერია A-ში?**

- ედისონ კავანი, ჯერ „პალერმოში“ და ახლა უკვე „ნაპოლიში“ შესანიშნავი ასპარეზობიდან გამომდინარე.

**- წლის საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი უცხოეთში?**

- ჯუზეპე როსი, მას ვერავინ შეედრება.

**- წლის საუკეთესო იტალიელი მეკარე?**

- ერთის გამორჩევა გამიჭირდება, ისინი, ვისაც ეროვნულ ნაკრებში ვიძახებ.

**- წლის ადამიანი იტალიურ ფეხბურთში?**

- ჟოზე მოურინიო. მართალია, იტალიელი არ არის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი თავკაცობით „ინტერმა“ ყველაფერი მოიგო.

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

## დემიკელისი გახარებულია

„მალაგას“ ახალწვეული **მარტინ დემიკელისი** კლუბისა და გარემოს გამოცვლით უზომოდ გახარებულია. იანვრიდან არგენტინელი მცველი „ბაიერნს“ 6 თვით დაემშვიდობება და იჯარის წესით ანდალუსიურ კლუბში ითამაშებს. სეზონის ბოლოს კი „მალაგას“ აქვს უფლება, 3 მილიონი ევროს საფასურად გამოისყიდოს დემიკელისის დარჩენილი კონტრაქტი ბავარიულ კლუბში, რომელიც 2012 წლის ზაფხულში სრულდება.

*„ბაიერნში“ შვიდი დაუვიწყარი სეზონი გავატარე და ახლა შობის შემდეგ „მალაგაში“ გადავალ. ბრწყინვალე ტრანსფერია“*, - უთხრა „ბილდს“ არგენტინელმა, რომელიც **მანუელ პელეგრინის** გუნდს პრიმერადივიზიონში დარჩენაში დაეხმარება.

## კანალესი, არა?

„არსენალის“ ხელმძღვანელობამ უარყო ხმები, თითქოს, გუნდი ზამთრის სატრანსფერო სეზონში მადრიდის „რეალიდან“ ვუნდერკინდ **სერხიო კანალესის** იჯარით წაყვანას აპირებს. კანალესმა ჟოზე მოურინიოს ხელში ვერ გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები და „რეალში“ დამკვიდრება გაუჭირდა, ამას დაერთო ტრავმებიც. კატალონიური „სპორტი“ წერდა, რომ სწორედ ამის გამო 19 წლის ფეხბურთელი მზად იყო ლონდონურ კლუბს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში დახმარებოდა, მაგრამ „არსენალში“ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერს „სამეფო კლუბთან“ 6-წლიანი ხელშეკრულება აკავშირებს და მის გაყიდვას არ აპირებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# აფელაიმ მოაწერა

გუშინ, ადგილობრივი დროით 11 საათზე „ბარსელონამ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჰოლანდიელმა **იბრაჰიმ აფელაიმ** წარმატებით გაიარა სამედიცინო ტესტირება და „ეინდჰოვენის“ ყოფილმა ფეხბურთელმა საზეიმო ვითარებაში მოაწერა კონტრაქტს ხელი კლუბის პრეზიდენტ **სანდრო როსელის** თანდასწრებით. ხელშეკრულება 4 წელზეა გათვლილი და ძალაში იანვრიდან შევა. აფელაიმ კლუბის სამედიცინო ცენტრში ყველანაირი ტესტირება გაიარა, სხვადასხვაგვარი დასხივება, კუნთოვანი სხეულის შემოწმება, პოდოლოგია და ექოგრაფია. 24 წლის ჰოლანდიელი ჯანსაღია და მას თავისუფლად შეუძლია ემსახუროს „ბარსას“.

*„მას უნაკლოდ ჯანსაღი ორგანიზმი აქვს. დღეისათვის მას არ აქვს არანაირი ტრავმა, თუნდაც სულ მცირე მასშტაბის. აფელაის გამძლეობა მაღალი დონისაა. წარსულში არ გადაუტანია რაიმე სერიოზული დაზიანება“*, - ეს არის „ბარსელონას“ ექიმთა ჯგუფის ოფიციალური დასკვნა.

ამიერიდან, ვინც აფელაის ყიდვას მოინდომებს, „ბარსელონასთან“ მოლაპარაკება 100 მილიონი ევროდან უნდა დაიწყოს. „ბარსელონამ“ პსვ-ს აფელაის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაუხადა და, თუკი ჰოლანდიელს გაყიდის, ეინდჰოველები თავის წილს მიიღებენ. „ბარსელონა“ ვალდებულია 2013 წელს პსვ-ს საუკუნოვან იუბილეზე ესტუმროს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ალეგრიმ კასანო დაადასტურა

მართალია, **ანტონიო კასანოს** ჯერ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ ის „მილანში“ გააგრძელებს კარიერას. ამის შესახებ იტალიურ პრესაში აქტიურად იწერება და უკვე აღარავინ მალავს, რომ მხარეებს შორის ყველა დეტალი შეთანხმდა. „მილანის“ მთავარი მწვრთნელის, **მასიმილიანო ალეგრის** კომენტარი ამის ნათელი დადასტურებაა:

*„ძალიან მიხარია, რომ კასანოსთან მუშაობის საშუალება მომეცემა. ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელსაც მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. რა პოზიციაზე ვათამაშებ? - სეზონის მეორე ნახევარში გუნდი 4-3-1-2 ტაქტიკით ითამაშებს და კასანო, სავარაუდოდ, სუფთა თავდამსხმელი იქნება. გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში, მაგრამ ვფიქრობ, უფრო ნაყოფიერი სწორედ შეტევის წინა ხაზზე იქნება. სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ ვაპირებთ, კასანო ჩვენი ერთადერთი შენაძენი იქნება. „მილანი“ კარგად არის დაკომპლექტებული და რაც მთავარია, გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა“.*

**ლაშა ნიკლაური**




კასანოს მალე შავ-წითელ მაისურში ვიხილავთ

ვოლფსბურგი

# სტივი რჩება, აკაკი გოგია პირველ გუნდში!

## მაკლარენი წარმოშობით ქართველ, ისე კი გერმანიის 23-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელს შეკრებაზე წაიყვანს

„ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა კიდევ ერთი არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღეს: მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ექსჩემპიონმა ბუნდესლიგის პირველი წრე მისთვის სამარცხვინო, მე-13 ადგილზე დაასრულა, ოთხშაბათს კი გერმანიის თასიდან გავარდა (1:3 მეორე-ბუნდესლიგელ „კოტბუსთან", მერვედფინალში), შეფებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** პოსტზე დატოვეს - ინგლისელი სპეციალისტი, რომელიც გერმანიაში უკვე ხელმოცარულ მწვრთნელად მიიჩნევა, „მგლებს" მეორე წრეშიც უხელმძღვანელებს. ეს გადაწყვეტილება „ვოლფსბურგის" ბოსების რამდენიმესაათიანი სხდომის შედეგია, რომელიც ხუთშაბათს შედგა. გერმანიაში აბსოლუტურად ყველა ფიქრობდა, რომ დირექტორთა საბჭო მაკლარენს გაათავისუფლებდა. რაკი სტივი პოსტზე რჩება, გამოდის, რომ „ვოლფსბურგში" საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდოთ. ფაქტი ერთია: გუნდში რალაც უნდა შეიცვალოს.

რამდენიმესაათიან სხდომას ხელმძღვანელების გარდა (მენეჯერ **დიტერ ჰიონესის** თაოსნობით), თვითონ მაკლარენი და ფეხბურთელები ესწრებოდნენ. დასკვნა: *„გუნდში ყველაფერს დავალაგებთ. იქნება ცვლილებები როგორც შემადგენლობაში, ისე სამწვრთნელო შტაბშიც. ფაქტია, რომ ასეთი წყობითა და შემადგენლობით წარმატებებს ველარ მივაღწევთ,"* - განუცხადა ჰიონესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ამრიგად, როცა მაკლარენი 2 იანვარს შეგირდებს შეკრებს და მეორე წრისთვის მზადებას დაიწყებს, „მგლებში" სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

### ზიანი და კაიუბი მეორე გუნდში, გოგია და კომპანია - პირველში

ჰიონესმა და მაკლარენმა ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს. დღეიდან **ქარიმ ზიანი** და **კაიუბი** „ვოლფსბურგის" ბუნდესლიგის განაცხადში ალარ არიან - მაკლარენმა ორივე ფეხბურთელი მეორე, მოყვარულთა გუნდში გადაისროლა. სამაგიეროდ, სტივმა მეორე გუნდიდან ძირითადში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაიყვანა, რომლებიც „ვოლფსბურგს" მოსამზადებელ შეკრებაზეც გაჰყვებიან.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაკლარენმა სხვებთან ერთად, ძირითად გუნდში წარმოშობით ქართველი ფეხბურთელი, **აკაკი გოგიაც** გადაიყვანა, რომელიც გერმანიის 23-წლამდელთა ნაკრების წევრია და უჩნდება შანსი, მწვრთნელს შეკრებაზე თავისი შესაძლებლობები დაუმტკიცოს. გამორიცხული არაა, რომ ბუნდესლიგის მეორე წრეში გოგია „ვოლფების" საბუნდესლიგო განაცხადში ვიხილოთ. გოგიას ბედი **კევინ ვოლცემ, მიხაელ შულცემ** და გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრმა **ფლორიან ჰართერცმაც** გაიზიარეს.

*„გუნდში უკვე იწყება დიდი საკადრო ცვლილებები. ამიერიდან ჩვენ აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გავაკეთებთ. ზამთარში კარდინალური ცვლილებების განხორციელება რთულია, სამაგიეროდ, ზაფხულშია ადვილი, მაგრამ პირველ ნაბიჯებს ახლავე გადავდგამთ,"* - აცხადებს ჰიონესი.

ფაქტია, რომ კიდევ დიდხანს არ გაირკვევა **ედინ ჯეკოს** საკითხი, რომელსაც მთხოვნელების უდიდესი რიგი უდგას. რაკი „ვოლფსბურგმა" მაკლარენს ნდობა გამოუცხადა, ბოსნიელი გოლეადორის გუნდიდან წასვლა კიდევ უფრო რეალური გახდა, რადგან ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ჯეკოს და მაკლარენს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ.

აქვე შეგახსენებთ, რომ 49 წლის მაკლარენს „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული და წელიწადში 3 მილიონ ევროს უხდიან. სტივი „მგლების" დამრიგებლად ზაფხულში დაინიშნა, მანამდე კი „ტვენტე" ჰოლანდიის ჩემპიონი გახადა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელებმა გუნდი გაუძლიერეს (შენაძენები: **დიეგო, კიაერი, მანჯუკიჩი, სისერო**), „ვოლფსბურგმა" პირველი წრე საშინლად ჩაატარა (მე-13 ადგილი).



სტივ მაკლარენი ვოლფსბურგის მთავარი მწვრთნელის პოსტზე რჩება. იანვარში ინგლისელი სპეციალისტი აკაკი გოგიას მეორე წრის მოსამზადებელ შეკრებაზე წაიყვანს

შალკე

# მთავარია გქონდეს ფული!

## ფელიქს მაგათმა ზაფხულის მერე შალკეს 32 მილიონი აშოვნინა

მართალია, „შალკემ" ბუნდესლიგის პირველი წრე მე-10 ადგილზე დაასრულა. ეს გელზენკირხენული კლუბისთვის ძალიან ცუდი შედეგია თუნდაც იმიტომ, რომ წინა სეზონში „ხუმარები" გერმანიის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, სამაგიეროდ, **ფელიქს მაგათის** გუნდი გერმანიის თასის მეოთხედფინალშია და ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ასპარეზობს (ჯგუფიდან გავიდა). ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „შალკემ" მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში ძალიან ბევრი ფული გამოიმუშავა - უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 32 მილიონი ევრო!



ფელიქს მაგათმა ზაფხულში დახარჯული ფული უკვე ამოილო

შემოსავლის უდიდესი ნაწილი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დაძლევაზე მოდის. ჯგუფში მოხვედრის გამო მიღებული ფული, პრემიები თითოეულ მოპოვებულ ქულაზე, მარკეტინგ-შემოსავლები, გაყიდული ბილეთებიდან აღებული თანხა და პრემიები პირადი სპონსორებისგან (გაზპრომი, ადიდასი) - ეს ყველაფერი სულ 30 მილიონ ევროს შეადგენს.

ჩემპიონთა ლიგიდან მიღებულ ფულთან შედარებით, გერმანიის თასზე აღებული შემოსავალი სასაცილოა - 2 მილიონი ევრო. ეს თანხა „შალკემ" გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან, ტელეკომპანიებისგან და გაყიდული ბილეთებით „შეაკოწიწა".

*„ფეხბურთელებისთვის საუკეთესო მწვრთნელი ყოველთვის ისაა, ვის ხელშიც მოთამაშეები ყველაზე მეტ ფულს შოულობენ,"* - აცხადებს თვითკმაყოფილი მაგათი და უნდა ვთქვათ, რომ მას ნამდვილად აქვს ამის მიზეზი, რადგან გელზენკირხენული კლუბი ვალებშია ჩაფლული, რის გამოც გუნდისთვის თითოეულ მილიონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საკმარისია, „შალკემ" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ესპანური „ვალენსია" გააგდოს, რომ გუნდი კიდევ 5 მილიონს მიიღებს და თუ „ხუმარები" გერმანიის თასის მეოთხედფინალურ ეტაპსაც გადალახავენ, სადაც „ოფენბახს" ან „ნიურნბერგს" უნდა დაუპირისპირდნენ, ბიუჯეტს კიდევ 2 მილიონით შეავსებენ.

ფული „შალკესთვის" დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გელზენკირხენელებმა ზაფხულში **კლაას-იან ჰუნტელაარში** 14 მილიონი გადაიხადეს, **მანუელ ხურადოში** კი 13 მილიონი (ალარაფერს ვამბობთ სხვა, წვრილ-წვრილ ტრანსფერებზე) და თუ გახსოვთ, „შალკე" ზაფხულის სატრანსფერო სეზონამდეც ყელამდე ვალებში იყო. ტრანსფერებისთვის ის 30 მილიონიც ძლივს გამოიყო, მაგრამ როგორც ხედავთ, მაგათმა ზაფხულში დახარჯული ფული უკვე ამოილო.

აღიარება

# წლის ჟესტი შვაინისაა!

## გერმანია ბასტიანით ამაყობს

წლის ბოლოს გერმანიის საფეხბურთო კავშირი ფეარ პლეის ჯილდოს ახალ კავალერს გამოუძებნის, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი გამარჯვებული უკვე გამოავლინეს - **ბასტიან შვაინშტაიგერი!**

გერმანიის თასის მერვედფინალურ მატჩში (შტუტგარტი-ბაიერნი 3:6), რომელიც ოთხშაბათს გაიმართა, შვაბების მცველი **ხალიდ ბულარუზი** შვაინშტაიგერს ფეხებში ჩაუვარდა. მთავარმა მსაჯმა **ფლორიან მაიერმა** „შტუტგარტის" ჰოლანდიელ მცველს მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალა და შესაბამისად, მოედნიდან გააძევა. იმ დროს, როცა მიუნხენური კლუბის სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელები ბულარუზის გაძევებას მოითხოვდნენ, შვაინშტაიგერი მსაჯთან მივიდა და ეუბნებოდა, ბულარუზი მეორე ყვითელ ბარათს არ იმსახურებს, ნუ გააგდებო.

*„ცხადია, ეს ჯარიმა იყო, მაგრამ ბულარუზი მეორე ყვითელ ბარათს ნამდვილად არ იმსახურებდა. შესაბამისად, გული დამწყდა, მსაჯმა ჰოლანდიელს წითელი ბარათი რომ უჩვენა,"* - აცხადებს შვაინშტაიგერი.

*„ბასტიან შვაინშტაიგერი სამაგალითოდ მოიქცა. სწორედ ასე უნდა იქცეოდეს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი. მას ხალიდ ბულარუზი შეეცოდა და მსაჯს ეუბნებოდა, წითელი ბარათი გადაჭარბებულიაო. შვაინშტაიგერის საქციელი ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს. მე მისით ვამაყობ და ვფიქრობ, რომ შვაინშტაიგერით მთელმა გერმანიამ უნდა იამაყოს,"* - ეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, **თეო ცვანციგერის** სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მომენტი, როცა შვაინშტაიგერი მსაჯს ბულარუზის შეწყალებას სთხოვდა

დორტმუნდი

# ცორკი: ჰუმელსს ვერავინ წაგვართმევს!

## ბორუსიას შეფები მატსს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ



მატს ჰუმელსს ბაიერნსა და მილანის ინტერში ეპატიჟებიან

მიუხედავად იმისა, რომ პირველი წრე დასრულდა და საშობაო არდადეგები დაიწყო, გერმანიის შემოდგომის ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელებს საკმაოდ ბევრი საქმე აქვთ. BVB-ს შეფების უპირველესი მიზნები 22 წლის მარცხენა მცველ **მარსელ შმელცერისა** და 30 წლის მეკარე **რომან ვაიდენფელერისთვის** ახალი კონტრაქტების გაფორმებაა. სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** ახალი პირობები ორივე მოთამაშეს შესთავაზა, მათგან პასუხი კი ჯერ არ მიულია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, შმელცერისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება პრობლემა არ იქნება, რადგან უნიჭიერეს მცველს დორტმუნდში დარჩენა უნდა. „კიკერში" ვკითხულობთ, რომ შმელცერი აუცილებლად „მიბაძავს" 22 წლის **კევინ გროსკროიტცსა** და 18 წლის წლის **მარიო გიოტცეს**, რომლებმაც ცოტა ხნის წინ „ბორუსიასთან" კონტრაქტები 2014 წლამდე გააგრძელეს. აი, ვაიდენფელერი კი ჯერ კიდევ ფიქრობს და საყოველთაო აზრით, მასთან შეთანხმება იოლი არ იქნება.

ვაიდენფელერს „ასტონ ვილა" ეპატიჟება და როგორც გაირკვა, გაცილებით მაღალ ხელფასს სთავაზობს. „ბორუსიას" სახელფასო ბიუჯეტი წელიწადში 34.5 მილიონ ევროს შეადგენს და შეფებს არაფრისდიდებით არ სურთ ამ კვოტის გადაჭარბება. ვაიდენფელერი „დორტმუნდში" ისედაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა და ხელფასის მნიშვნელოვნად გაზრდას არც უნდა ელოდოს.

ამას წინათ გაცნობეთ, რომ გამჟღავნდა 22 წლის **მატს ჰუმელსის** კონტრაქტის დეტალი, რომლის თანახმად, გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს 2012 წელს „ბორუსიას" დატოვება სულ რაღაც 8 მილიონ ევროდ შეუძლია და იმასაც ვწერდით, რომ მიუნხენის „ბაიერნის" შეფებმა ხელები უკვე დაიკაპიწეს. შესაბამისად, ცორკისა და BVB-ს სხვა შეფების ამოცანაა, ჰუმელსს 2013 წლამდე გაფორმებული ხელშეკრულება ნაადრევად გაუხანგრძლივონ.

*„ჰუმელსს არავის დავუთმობთ, ეს ფეხბურთელი ჩვენი გეგმის უმთავრესი ნაწილია. „ბაიერნი" მატსს ვერ წაგვართმევს! გვინდა, რომ ჰუმელსს ახალი კონტრაქტი გავუფორმოთ. ჩემი აზრით, მატსის ახალ ხელშეკრულებას ვადა 2020 წლამდე უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამაზე ალბათ არ დაგვთანხმდება. ასე რომ, ხელშეკრულებას 2014 ან 2015 წლამდე გავუფორმებთ,"* - უთხრა ცორკმა „კიკერს".

მატს ჰუმელსს არაერთხელ უთქვამს, რომ „ბორუსიაში" თავს ძალიან კარგად გრძნობს, რომ დორტმუნდელებს მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება მაინც გაუჭირდებათ, რადგან მატსის გადაბირებისთვის არა მარტო „ბაიერნი", არამედ მილანის „ინტერიც" იბრძვის.

ყატარი-2022. სტადიონები, სტადიონები...

# არაბული ფანტასტიკა

## ყატარი ან დავლათ ყატარი



საამირო ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ყატარის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ხმელეთით მხოლოდ საუდის არაბეთს ესაზღვრება, სრუტის იქით კი კუნძული ბაჰრეინია. ბუნებრივი აირითა და ნავთობის ექსპორტით უზომოდ გამდიდრებული ერთ დროს ულარიბესი არაბული საამირო. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით (89 ათასი დოლარი წელიწადში) ყატარი მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანაა. ყატარში აბსოლუტური მონარქიაა, იქ ალტანის საგვარეულო მეფობს მე-19 საუკუნიდან.

**ამირა:** ჰამიდ ბინ ხალიფა
**ტერიტორია:** 11,437 კმ კვ
**მოსახლეობა:** 1 მლნ 696 ათასი ადამიანი
**ფულის ერთეული:** რიალი

დეკემბრის დასაწყისში ფიფას აღმასკომმა ორჯერ განაცვიფრა მსოფლიო - რამდენიმეწუთიანი ინტერვალით მომავალი მუნდიალების მასპინძელ ქვეყნებად ჯერ რუსეთი, შემდეგ კი ყატარი აირჩია. ორივე ეს გადაწყვეტილება საკამათო იყო, თავი გავანებოთ რუსეთს, დღეს ჩვენი თემა ყატარი იქნება - როგორ უნდა უმასპინძლოს ერთი ციცქნა არაბულმა ქვეყანამ მსოფლიოს უმსხვილეს სპორტულ მოვლენას ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რომელსაც საფეხბურთო ტრადიცია არ გააჩნია, სამაგიეროდ, უდიდესი პრობლემები აქვს კლიმატის, ადამიანის უფლებებისა და სხვა მრავალი მიმართულებით.

მაშინ, როცა ყატარში მსოფლიოს ჩემპიონატია ჩაფიქრებული - 2022 წლის 10 ივნისიდან 10 ივლისამდე - ამ ქვეყანაში სიცხე 40 გრადუსს ცელსიუსით იშვიათად თუ ჩამოცდება (ხანდახან კი 50-ია), როგორ გინდა ამ პირობებში ფეხბურთი ითამაშო? თან მაღალი კლასის ფეხბურთი. მიშელ პლატინი და საფეხბურთო ევროპა ცდილობენ ორგანიზატორები ტურნირის იანვარში გადატანაზე დაიყოლიონ, როცა ტემპერატურა ასე თუ ისე ასატანია - საშუალო მაჩვენებელი 30 გრადუსს უახლოვდება. თუმცა თავად ორგანიზატორები 2022 წლისთვის გასაოცარ სტადიონებს გვპირდებიან, კლიმატკონტროლით, რომელიც ყველა პრობლემას მოხსნის არენებზე.

ყატარი მუნდიალის მასპინძლობას 12 ეკო-მეგობრულ, კარბონულ სტადიონზე აპირებს. რომლებიც მზის მწველი სხივების ენერგიას... ფეხბურთელთა და გულშემატკივართა გასაგრილებლად გამოიყენებენ. როცა თამაშების დღე არ იქნება, მზის ენერგია, რომელსაც ეს სტადიონები გამოიმუშავებენ ქვეყნის ელექტრომომარაგებას შეეშველება. მოკლედ, 12 ბრწყინვალე (შეხედეთ ილუსტრაციებს) სტადიონი ამავდროულად ენერგიის წყარო იქნება ქვეყნისათვის!

მოგეხსენებათ, ყატარი პატარა ქვეყანაა და მას არაფერში სჭირდება 12 მსოფლიო კლასის სტადიონი, ეს უკვე გათვალისწინებული აქვთ ორგანიზატორებს და მსოფლიოს ჩემპიონატის სტადიონები ისეთი კონსტრუქციისა იქნება, რომ მათი დემონტაჟი ძალზე იოლი იქნება. ამიტომაც 12-დან 9 სტადიონს ნაწილობრივი დემონტაჟი ელის, ხელშეუხებელი დარჩება მხოლოდ სამი არენა, რომლებსაც მომავალშიც გამოიყენებენ ეროვნული თუ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისათვის. ცოტა კი გულდასაწყვეტია, რომ ხელოვნების ეს ნიმუშები 2022 წლის მერე ასეთი სახით აღარ იარსებებს, განსაკუთრებით კი დოჰას პორტის მომავალ სენსაციაზე გვწყდება გული, რომელსაც მთლიანი დემონტაჟი ელის.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ლუსაილ აიკონიკ სტედიუმი



„ლუსაილ აიკონიკ სტედიუმი“, რომელიც ლუსაილ სიტიში აშენდება 86 250 მაყურებელს დაიტევს. ის გახსნისა და ფინალურ მატჩს უმასპინძლებს მუნდიალზე. სტადიონი ფუნქციონირებას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც გააგრძელებს, მას დემონტაჟი არ ემუქრება. სტადიონი ტრადიციული არაბული ნავის, დჰოუს ესკიზის მიხედვით შეიქმნება და ის გარშემო წყლით იქნება დაფარული.

## სპორტს სიტი სტედიუმი



სტადიონის დიზაინს სული ტრადიციულმა არაბულმა კარავმა ჩაჰბერა. სტადიონი 47 560 ადამიანს დაიტევს. სტადიონის სახურავი, ტრიბუნები, მოედანი, ყველაფერი მოძრავი და მობილური იქნება, რაც „სპორტს სიტი სტედიუმს“ ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მოხერხებულ არენად აქცევს მსოფლიოში და მისი გამოყენება სხვადასხვა ღონისძიებისთვის იქნება შესაძლებელი, მათ შორის - არასპორტულისაც.

## ედუქეიშენ სიტი სტედიუმი



მას ალმასის ფორმები ექნება, დღისით და ღამით სულ სხვადასხვაგვარად იკაშკაშებს. სტადიონი 45 350 მაყურებელს დაიტევს. ეს არენა უნივერსიტეტების ქალაქში აშენდება და იოლად მისასვლელი იქნება მეზობელი ბაჰრეინელი ფანებისთვისაც. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სტადიონს ნაწილობრივი დემონტაჟი ჩაუტარდება, დარჩება 25-ათასიანი ტრიბუნები და საუნივერსიტეტო სპორტის უმთავრესი არენა გახდება.

## უმ სლალ სტედიუმი



ყატარის ისტორიული ციხესიმაგრის ახლოს აშენდება. ის 45 120 ადამიანს დაიტევს. მისი დიზაინი ტრადიციული არაბული ციხესიმაგრეების თანამედროვე გადაწყვეტას ეფუძნება. მუნდიალის შემდეგ ისიც სანახევრო დემონტაჟს ექვემდებარება, შემდეგ კი სტადიონს „ფკ უმ სლალი“ ჩაიბარებს.

## ყატარ უნივერსიტი სტედიუმი



ახლა მის ადგილზე მძლეოსნური კომპლექსია, ახალი სტადიონი 43 520 ადამიანს დაიტევს. სტადიონის დიზაინი არაბული გეომეტრიული ფორმებით იქნება დატვირთული. მუნდიალის შემდეგ სტადიონი 23 ათას ადამიანს დაიტევს.




## დოჰა პორტ სტადიუმი

თავიდან ბოლ... მოდულირებული სტადიონი 44 950 ...ურებლით. ის ყურის ხელოვნურ ნახევ...კუნძულზე გაშენდება. მის დიზაინში ...ალქვეშა სამყაროს ტონები ჭარბობ... გარე ფასადს ყურის წყალი გააგრილე... და ფანტასტიკურ სანახაობას შექმნი... ფანებს სტადიონამდე მიღწევა შეეძლე..., როგორც ხმელეთით, ასევე წყლ... ტაქსით ან ბორანით. სამწუხაროდ, რ...რც კი მუნდიალი მორჩება, ეს საო...ბა აღარ იარსებებს, დემონტაჟის შემ... დარჩენილ ტრიბუნებს კი არაბები ...უვითარებელ ქვეყნებს აჩუქებენ.

## ალ-ღარაფა სტედიუმი



უკვე არსებული „ალ-ღარაფა სტედიუმი“ სიმაღლეში გაიზრდება, დაემატება ახალი ტრიბუნები და 44 740 გულშემატკივარს დაიტევს. სტადიონი „შემონწნული“ იქნება გარედან. ტურნირი დასრულდება და „ალ-ღარაფა“ ისევ ჩვეულ ფორმებს დაუბრუნდება.

## ალ-ხორ სტედიუმი



ეს ძალიან ლამაზი არენა ზღვისპირა კურორტის მოტივზე იქნება აგებული. სტადიონი 45 330 ადამიანს დაიტევს. სტადიონიდან არაბეთის ყურის ფანტასტიკური ხედი იქნება გადაშლილი.

## ალ-რაიან სტედიუმი



ეს სტადიონი უკვე არსებობს, უბრალოდ მისი ტევადობა გაორმაგდება და 44 740 ადამიანს მიაღწევს. არენის გარე ფასადი იქნება... დიდი ეკრანი.

## ალ-ვაკრა სტედიუმი



ალ-ვაკრა ყატარის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც თევზით ვაჭრობით და ალმასების მოპოვებით იყო განთქმული. სტადიონი სანახევროდ წყალში იქნება, იმ წვლილის აღსანიშნავად, რაც ზღვამ ამ ქალაქის ისტორიაში შეიტანა. ტევადობა - 45 120 მაყურებელი.

## ალ-შამალ სტედიუმი



ტევადობა მუნდიალზე - 45 120, მუნდიალის მერე - 19 620. მის დიზაინშიც მეთევზეთა ნავის, დჰოუს ელემენტებია გამოყენებული. გულშემატკივარი დოჰადან ექსპრესმატარებლით ან მეტროთი მოაღწევს, ბაჰრეინიდან - წყლის ტაქსებით და ბაჰრეინ-ყატარის მეგობრობის ხიდის წყალობით.

## ხალიფა ინტერნეშნლ სტედიუმი



ეს სტადიონი 2006 წლის აზიის თამაშებისთვის შეალამაზეს. მისი ამჟამინდელი ტევადობა 50 ათასია, მაგრამ მუნდიალის დროს 68 ათასამდე გაიზრდება.

## ქართული სპორტი

ოლიმპიზმი

London 2012 · European Youth Olympic Festival TBILISI 2015

# ხიდი: ლონდონი 2012 – თბილისი 2015

### საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტები მემორანდუმს გაზაფხულზე თბილისში გააფორმებენ

თვალის დახამხამებაში გაირბენს წელიწად-ნახევარიც და ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიც კარს მოგვადგება. მომავალი წელიწადი ლიცენზიების მოსაპოვებლად ქართველი სპორტსმენებისთვის გარდამტეხი იქნება, მზადების პერიოდში კი ბევრი რამ გასათვალისწინებელია.

ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე დიდი ბრიტანეთის ეოკ-ის ლორდ კოლინ მოინიჰემისა და „ლონდონი 2012“-ის საორგანიზაციო კომიტეტის (LOGOG) მიწვევით ინგლისის დედაქალაქს სტუმრობდნენ. ქართული მხარე გულდასმით გაეცნო LOGOG-ის საქმიანობას და გაიზიარა ის გამოცდილება, რაც სამომავლოდ „თბილისი 2015“-ის მზადების პროცესში გამოგვადგება, დაათვალიერეს სპორტული ობიექტები, მოინახულეს ოლიმპიური სოფელი, სადაც ჯერ კიდევ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. ქართული მხარე შეხვდა „ლონდონი 2012“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებსა და თამაშების ყველა მიმართულების კოორდინატორს (ტრანსპორტირება, უსაფრთხოება, ბილეთების გავრცელება, საცხოვრებელი, კვება, ოლიმპიური სოფელი, სამედიცინო მომსახურება და ა.შ.).

გია ნაცვლიშვილმა და მისმა ბრიტანელმა კოლეგამ განიხილეს ორი ქვეყნის ეოკ-ებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხი და შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმს ხელი გაისად გაზაფხულზე თბილისში მოეწერება საქართველოს დედაქალაქში კოლინ მოინიჰემთან ერთად LOGOG-ის წარმომადგენლების სტუმრობისას. ლორდმა კიდევ ერთხელ აღუთქვა სეოკ-ს მხარდაჭერა და გულითადად მიულოცა 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების უფლების მოპოვება. მისი თქმით, ევროპაში ცოტას თუ სჯეროდა, რომ „თბილისი 2015“-ის პროექტი გაამართლებდა, მაგრამ დედაქალაქის მერიისა და სეოკ-ის საქმისადმი პროფესიულმა მიდგომამ და გულმოდგინე მუშაობამ ევროპის ქვეყნების უმეტესობას აზრი შეაცვლევინა და საქართველოს დედაქალაქსაც ეს პატივი დამსახურებულად ერგო. ლორდმა, როგორც ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ალმასკომის წევრმა, კიდევ ერთხელ გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა, რომ მომავალშიც სეოკ-ის გვერდით იქნება ოლიმპიური პრინციპებისა და იდეალების განმტკიცების საქმეში.

ბოლოს, მკითხველის ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც შევაჩერებთ. ქართულმა დელეგაციამ ლონდონის ცენტრში შეარჩია შენობა, სადაც ოლიმპიური თამაშების მსვლელობის პერიოდში იფუნქციონირებს „ქართული სახლი“ და ლონდონელებსა თუ ოლიმპიადის სტუმრებს, ტურისტებს საშუალება ექნებათ უფრო ახლოს გაეცნონ ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ისტორიას, სპორტს, სამზარეულოს, ღვინოს, ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს...

სეოკ-ის პრესსამსახური

ქართული ჭიდაობა

# ფალავანმა ტიტული შეინარჩუნა



გუშინ ნაძალადევში სპორტკომპლექს „მართვეში“ დიდი ორთაბრძოლები იყო საქართველოს 2010 წლის ფალავნობაზე. 16 რჩეული მოჭიდავე გამოვიდა სარბიელზე.

მოტივაციაც დიდი იყო: გამარჯვებული ფალავანი - 5000, ფინალისტი - 3000 და ბრინჯაოს პრიზიორი 2000 ლარს იღებდა ჯილდოდ.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როცა ფალავნობის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მოკლე ხანში ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარდა და ასპარეზობაც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

მონაწილეთა შორის იყვნენ საქართველოს სხვადასხვა წლის ფალავნები **ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი** და **ადამ ოქრუაშვილი**. ასეთი რამ იშვიათია ფალავნობის ისტორიაში.

სხვათა შორის, კიდევ ერთი ფალავანი, უფრო სწორად, ფალავნობის რეკორდსმენი, რვაგზის გამარჯვებული **ალექსი დავითაშვილი** ამჯერად შუამავალი მსაჯის როლში მოგვევლინა.

ეს ფალავნობა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ახლახან არჩეული ახალი პრეზიდენტის **თემურ გიორგაძისთვის** პირველი შეჯიბრება იყო.

თბილისელთა გარდა, სარბიელზე ვიხილეთ აჭარის, გორის, თელავის, ცაგერის, დედოფლისწყაროს, საჩხერის, მცხეთის და ქარელის წარმომადგენლები. უბრალოდ, ისმის კითხვა, რატომ არ ჩანდნენ სხვა რეგიონები?

ქებათა-ქება მოქმედ ფალავანს, ანუ 2009 წლის აბსოლუტურ ჩემპიონ **ადამ ოქრუაშვილს**, რომელიც შარშან დუშეთის, წლეულს კი მცხეთის სახელს იცავდა (ორივე რაიონი ხომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონია).

ადამ ოქრუაშვილმა ყველა შეხვედრა დამაჯერებლად წარმართა, თუმცა ფეხის ტკივილის გამო მისი გამოსვლა ფალავნობაზე ცოტა საეჭვოც კი იყო.

ფინალში გასასვლელ ორთაბრძოლაში ოქრუაშვილი 2007 წლის საქართველოს ფალავანს **ლაშა გუჯეჯიანს** (თბილისი) ხვდებოდა. ადამი იგებდა შეხვედრას, როცა მორიგი გდება შეასრულა და გუჯეჯიანმა მუხლის ტრავმის გამო ბრძოლის გაგრძელება ველარ შეძლო.

ფინალში გადასასვლელ მეორე შეხვედრაში ზვიად ხანჯალიაშვილი (თელავი) ქარელელ **სოსო მსხალაძეს** დაუპირისპირდა. ოქრუაშვილის მსგავსად მსხალაძე წინა ფალავნობებზე, რომლის სამგზის პრიზიორიცაა, გორის სახელს იცავდა. სხვათა შორის, ქართულ ჭიდაობაში ხშირად იცვლიან გუნდებს და რაიონებს, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეს მოჭიდავეები 2006 წელს ფალავნობის ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინაც და ახლაც 160-კილოგრამიანმა ხანჯალიაშვილმა 60 კილოგრამით მსუბუქ მსხალაძეს მოუგო.

მესამე ადგილისათვის აჭარის გუნდის წევრი ვახტანგ ზოიძე და თბილისელი **თევდორე აბელაშვილი** შეერკინენ, მართალია, აბელაშვილმა ტექნიკური ჭიდაობისათვის დიპლომი მიიღო, მაგრამ ვერაფერს გახდა ფიზიკურად ძალზე ძლიერ ზოიძესთან.

გადამწყვეტი ფინალური ორთაბრძოლა ერთობ თვალსასეირო და სანახაობრივად ეფექტური გამოდგა. ფინალი ხშირად დაძაბული და ილეთების კასკადით მცირეა, რასაც ვერ ვიტყოდით 2010 წლის ფინალურ ჭიდილზე. ოქრუაშვილმა ძალზე ლამაზი გდება შეასრულა და წმინდა გამარჯვებით შარშან პირველად მოპოვებული ფალავნობა წელს გააორა და ფალავნობა კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა.

საქართველოს ფალავნობა 2010 წელი.

1. **ადამ ოქრუაშვილი** (მცხეთა)
2. **ზვიად ხანჯალიაშვილი** (თელავი)
3. **ვახტანგ ზოიძე** (აჭარა).

**თემურ გიორგაძე** — ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

— ერთი კვირაა, რაც ქართულ ჭიდაობაში ფედერაციის პრეზიდენტად მოვედი. ამ ფალავნობის ორგანიზაციაში და მის შემჭიდროებულ დროში მოწყობაში შესაძლოა ხარვეზებიც იყო, მაგრამ შეცდომებს შემდეგში აუცილებლად გავითვალისწინებთ და გამოვასწორებთ. მოგეხსენებათ, წელიწადი იწურებოდა და ფალავნობა უსათუოდ უნდა ჩაგვეტარებინა.

16 მონაწილე შესაძლოა არ იყოს ბევრი, მაგრამ აქედან მოჭიდავეები იყვნენ ძლიერები და სანახაობაც შესანიშნავი გამოდგა.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი. სუპერლიგა

# მსაჯი ძლივს მოაბრუნეს

24.12.10, ქუთაისი

| | |
|---|---|
| ქუთაისი | 87 |
| ბათუმი | 98 |

22:24, 22:25, 20:21, 23:28

ქუთაისი: ცაგარეიშვილი (4ქ), ბაბუნაშვილი (4ქ), დიდია (13ქ), ბ. ბერიშვილი (10ქ), კვიმსაძე (19ქ), ბოლქვაძე (19ქ), ლომინაშვილი (3ქ), გ. ბარბაქაძე (9ქ), კოლუაშვილი, ქორიძე (6).
ბათუმი: მაისურაძე (17ქ), მიქელაძე (18ქ), ნინუა (9ქ), ჩხატარაშვილი (8ქ), კეშელავა (32ქ), ელიაშვილი (8ქ), ელიაძე (6ქ).
მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ქუთაისში, სადაც მასპინძელთა ამბიციური გუნდი ცხრილის ქვედა საფეხურზე მყოფ „ბათუმთან“ დამარცხდა. ქუთათურები ამ მატჩამდე სტაბილურად თამაშობდნენ და ქუთაისის სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივრები მათგან მორიგ გამარჯვებას ელოდნენ. „ბათუმს“ აქამდე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა და ზღვისპირელებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ქუთაისიდან გამარჯვებულები წასულიყვნენ. მონდომებამ შედეგი გამოიღო. საინტერესო და დაძაბულ შეხვედრაში ზღვისპირლებმა 11-ქულიანი სხვაობით (98:87) იმარჯვეს. თანაც, მათ მატჩის ოთხივე პერიოდი მოიგეს. შეხვედრა ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მასპინძლებიდან **ბუბა კვიმსაძე** და **მამუკა ბოლქვაძე** გამოირჩეოდნენ. **დავით უსტიაშვილის** გუნდის ლიდერობა კი გამოცდილმა **ლაშა კეშელავამ** ითავა და მისმა ბრწყინვალე თამაშმა სტუმართა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. კეშელავა მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო, მან 32 ქულასთან ერთად 17 მოხსნაც მიითვალა და შეხვედრის ერთადერთი ორმაგი დუბლი შეასრულა. კარგად გაისარჯა ბათუმელთა 17 წლის კალათბურთელი **ირაკლი მიქელაძე**, რომელმაც კეშელავასთან და **ვანო მაისურაძესთან** ერთად **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებს დიდი პრობლემები შეუქმნა. მასპინძლები მიქელაძის შორეულმა ტყორცნებმა გატეხა, 8 სროლიდან 4 სამქულიანი გამოიყენა და საკუთარ გუნდს ზუსტი საჯარიმოებითა და ორქულიანებითაც შეეწია.

სტუმრები დაცვაშიც ყურადღებით თამაშობდნენ, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ქუთაისელთა ერთ-ერთი ლიდერი **გიგი ბარბაქაძე**, რომელიც ყოველთვის შედეგიანობით გამოირჩეოდა, ამ მატჩში მხოლოდ 9 ქულას დასჯერდა.

მეორე პერიოდში ერთი არასასიამოვნო ეპიზოდი მოხდა. კვიმსაძემ სწრაფი გარღვევა განახორციელა და მცველებთან ჭიდილში ორი ქულა მოიპოვა. მასპინძელთა დამრიგებელი მალხაზ კოხრეიძე ამ მომენტში ჯარიმასაც ითხოვდა, თუმცა მსაჯმა, **გურამ მიქელაძემ** წესების დარღვევა არ დააფიქსირა, რამაც მწვრთნელის მწვავე რეაქცია გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ მატჩის არბიტრმა **მაკა კუპატაძემ** თამაში შეწყვიტა და მოედანი დატოვა. მდგომარეობის განმუხტვას და მსაჯის მატჩისკენ „შემობრუნებას“ 5-6 წუთი დასჭირდა, რის შემდეგაც თამაში იმავე სცენარით გაგრძელდა, რაც პირველ ორ პერიოდში იყო. ბათუმელები უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ ბოლო წუთებამდე ვერავინ იტყოდა, გამარჯვება რომელ გუნდს დარჩებოდა. ბოლოს კი ახალგაზრდა **არჩილ ჩხატარაშვილმა** ზედიზედ სამი შედეგიანი გარღვევა განახორციელა და ბათუმელებს ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

**დავით კოხრეიძე**

24.12.10, რუსთავი

| | |
|---|---|
| ენერჯი | 74 |
| აგრარული | 66 |

18:21, 13:17, 24:12, 19:16

ენერჯი: მაჭავარიანი (4ქ, 5ფ), ცეკვავა (10ქ, 7მ, 3ვ), წივწივაძე (23ქ, 5ვ), აბაიშვილი (3ქ), გუგავა (1ქ), ტუჯანი (18ქ, 13მ, 3ვ, 2დ), ლამუ (9ქ, 7მ, 2დ), სანაძე (6ქ, 3ჩ).
აგრარული: ტეტელაშვილი (2ქ, 4ვ), ნანიტაშვილი (11ქ), სიგუა (3ქ, 5ვ), ჩაჩანიძე (10ქ), ხანიაშვილი (18ქ, 3ვ), გემაზაშვილი (2ქ), ჯავახიშვილი (12ქ, 8მ, 4ჩ), მუმლაძე (8ქ).
მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე.
კომისარი: გ. სანაძე.

## გაუჭირდა

წინა ტურში შსს-ს მძლეველ „ენერჯის“ მერვეადგილოსან „აგრარულთან“ საშინაო მატჩში ძალიან გაუჭირდა. პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს (38:31), თუმცა მესამე პერიოდში რუსთაველებმა მობილიზება მოახერხეს და თამაშიც შემოატრიალეს.

„ენერჯის“ **ბექა წივწივაძე** გაუძლვა (23 ქულა), „აგრარულს“ - **დავით ხანიაშვილი** (18).

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძალოსნობა

# ყრილობამ შეაჯამა და წინ გაიხედა

GEOWF · GEORGIAN WEIGHTLIFTING FEDERATION

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საქტო დარბაზში საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ყრილობა გაიმართა. განვლილ ოთხ წელიწადში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის გენერალური მდივანი **რამაზ გურგენიძე**, რომელმაც დელეგატებს წარმატებებთან ერთად ხარვეზების გამოსწორების გზები და მომავალი ოთხწლიანი სამუშაო გეგმის კონტურებიც გააცნო. მძლეოსნობის ფედერაციის მუშაობაზე ილაპარაკეს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გიორგი ასანიძემ**, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **გია გალდავამ**, აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თემურ მიქელაძემ**, საქართველოს ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ვანო გრიქუროვმა**. დელეგატებმა ფედერაციის პრეზიდენტობა მომავალი ოთხწლიანი ვადით ისევ **დავით ბეჟუაშვილს** ანდეს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივანს ნაახალწლევს გამგეობის სხდომაზე აირჩევენ. ყრილობაზე სპორტსმენებსა და მწვრთნელებს (სულ 15 კაცს) ფულადი პრიზები გადაეცათ.

**გიორგი ასანიძე:** „საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ განვლილ საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერად იმუშავა. განსაკუთრებით საამაყოდ გვაქვს საქმე ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. საგულისხმოა ისიც, რომ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონის ოლიმპიადისთვის სამი საგზურისთვის საკმარისი ქულები მოვაგროვეთ, თუმცა გაისად მსგავს შეჯიბრებაზე მისი განმტკიცება მოგვიწევს. დავსახეთ სამომავლოდ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზები. კერძოდ, გაისად დამთავრდება ქუთაისისა და საჩხერის ძალოსნობის დარბაზების რეკონსტრუქცია. წყალტუბოში შენდება სპორტის სასახლე, სადაც საკმაოდ დიდი ფართობი გამოეყოფა ძალოსნობას. აჭარაშიც დაგეგმილია ახალი დარბაზის მშენებლობა. როგორც წინა წლებში, ამ საქმეშიც სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ჩვენი პრეზიდენტის დავით ბეჟუაშვილს დახმარებისა და თანადგომის იმედი გვაქვს. საგულისხმოა ისიც, რომ ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად გათვალისწინებულია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის არჩევა, ეროვნულ ნაკრებს კი 2011 წლიდან მთავარ მწვრთნელად ვანო გრიქუროვი დაუბრუნდება, რაც ჩვენი ნაკრების პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის“.

**ვაჟა დანელია**

ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00 საათამდე FM 107.9-ზე

რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა - გადაცემაში „სპორტ ონლაინი“ დონ ედოსთან ერთად.

ჭადრაკი

Women's World Chess Championship

# ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი

თურქულ ანტაკიაში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 64 ქალბატონი (მათ შორის - **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი**) ჩაება. ხუთი რაუნდის გავლის შემდეგ ფინალში ჩინელები - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (2591) და **რუან ლუფეი** (2480) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მათ შორის უძლიერესი ოთხმა კლასიკურმა პარტიამ ვერ გამოავლინა. ტაიბრეიკებში (4 ოცდახუთწუთიანი პარტია) 16 წლის ჰოუ იფანმა (დაიბადა 1994 წლის 27 თებერვალს) 3:1 აჯობა თანამემამულეს და ქალთა ჭადრაკის ისტორიაში მსოფლიოს მე-13, თანაც ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა.

**ვაჟა დანელია**

● სუპერლიგა. წრის ფინალი

# დაიტევს სპორტის სასახლე ქომაგს?

| ნინაისტორია | | |
|---|---|---|
| არმია | | შსს |
| 751 (93.9) | ქულა | 728 (91.0) |
| 454/218 (48.0%) | 2-ქულ. | 403/220 (54.6%) |
| 178/57 (32.0%) | 3-ქულ. | 198/54 (27.3%) |
| 215/144 (67.0) | საჯ. | 191/126 (66.0) |
| 194 (24.3) | მოხ. შეტ. | 152 (19.0) |
| 291 (36.4) | მოხ. დაც. | 262 (32.8) |
| 485 (60.7) | მოხ. სულ. | 414 (51.8) |
| 158 (19.8) | პასი | 150 (18.8) |
| 80 (10.0) | ჩაჭრა | 83 (10.2) |
| 32 (4.0) | დაფარება | 25 (3.1) |
| 155 (19.4) | ფოლი | 169 (21.1) |
| 146 (18.3) | შეცდომა | 135 (16.9) |

| ინდივიდუალური ლიდერები | | |
|---|---|---|
| ტულუში 146 (18.3) | ქულა | იმნაძე 96 (12.0) |
| უგრეხელიძე 70 (10.0) | მოხსნა | იმნაძე 82 (10.3) |
| ტულუში 46 (5.8) | პასი | დ. ბერიშვილი 30 (4.3) |
| ტულუში 16 (2.0) | ჩაჭრა | დ. ბერიშვილი 13 (1.9) |
| ბოისა 10 (1.3) | დაფარება | იმნაძე 14 (1.8) |
| უგრეხელიძე 23 (3.3) | ფოლი | დ. ბერიშვილი 23 (3.3) |
| ტულუში 26 (3.3) | შეცდომა | ლეჟავა 24 (3.4) |

დღეს, 14 საათზე, სპორტის სასახლე გაივსება! - ამის თქმა წინასწარ შეიძლება. ერთმანეთს ჩემპიონობის მაძიებელი ორი გუნდი „დაეჭიდება“ - „არმია“ და შსს, რომელთა მატჩებზე უამრავი ქომაგი დადის...

სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ „წრის ფინალი“ (როგორც ამ შეხვედრას არმიელმა კოტე ტულუშმა უწოდა) ბევრს გადაწყვეტს. დიდი შანსია, ამ შეხვედრის გამარჯვებულმა წრე სატურნირო ცხრილის სათავეში დაასრულოს, რაშიც შსს-სა და „არმიას“ თსუ, „ენერჯი“ და „ქუთაისი“ ეცილებიან...

შეიძლება, სატურნირო ცხრილში პირველ-მეორეობას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რაც ფსიქოლოგიურ ფაქტორს - შსს-საც და „არმიასაც“ პირველივე წრეში სურთ სხვებისთვის უპირატესობის დამტკიცება, რაც მეორე წრეში დადებით ფსიქოლოგიურ ფონს შექმნის.

წინასწარ იმის თქმა ძნელია, „არმია“ გაიმარჯვებს თუ - შსს. ქართული კალათბურთი კი ნამდვილად მოიგებს...

მეტს აღარ განვაგრძობთ. მატჩის მონაწილე მწვრთნელების მოსაზრებებს გავეცნოთ. „არმიის“ თავკაც ლევან მოსეშვილსა და შსს-ს მწვრთნელ არჩილ ჟღენტს ერთი და იგივე კითხვები დავუსვით. საინტერესოა, მწვრთნელები რა მნიშვნელობას ანიჭებენ კარსმომდგარ შეხვედრას.





**ლევან მოსეშვილი:**

- ამ შეხვედრას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მძიმე მატჩი იქნება, თუმცა მისთვის მზად ვართ როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად.

**არჩილ ჟღენტი:**

- ჩვენთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. „არმიასთანაც“ ისევე გავალთ საბრძოლველად, როგორც სხვა პაექრობებში. წინა ტურში გამარჯვება ხელიდან ბოლო წამებზე გავუშვით, თუმცა მას მერე „არმიასთან“ მატჩზე გადმოვერთეთ და ვფიქრობ, ფსიქოლოგიურადაც მომზადებულები შევხვდებით. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

■ **ამა თუ იმ მატჩის შედეგზე დიდ გავლენას ახდენს ტრავმები...**

**ლევან მოსეშვილი:**

- დავით უგრეხელიძე ტრავმირებული იყო და წინა ტურში, ბათუმში ამიტომაც არ წავიყვანეთ. მას მერე იგი თავს კარგად გრძნობს და შსს-სთანაც ითამაშებს.

**არჩილ ჟღენტი:**

- გამთამაშებელმა ირაკლი ბერიშვილმა მხარი დაიზიანა და მისი თამაში გამორიცხულია. სათუოა დავით იმნაძის მოედანზე გამოსვლაც, რადგან მას მთელი კვირა მაღალი სიცხე ჰქონდა და მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩაატარა. მიკროტრავმებს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენები მწყობრში არიან.

■ **მწვრთნელებს ერთურთის გუნდის დახასიათებაც ვთხოვეთ...**

**ლევან მოსეშვილი:**

- შსს-ს გამორჩეული უკანახაზელები ჰყავს, ინდივიდუალურად ყველა ძლიერია, სროლა კარგად შეუძლიათ და თითოეულ მათგანს დიდი ყურადღება სჭირდება. მეფარეებში მცირე უპირატესობა ჩვენს მხარესაა, თუმცა ვინ აჯობებს, უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

**არჩილ ჟღენტი:**

- მეტოქე ძლიერია. მასში საქართველოს ნაკრების ორი წევრი ირიცხება, არიან ეროვნული გუნდის კანდიდატებიც. ასე რომ, რთული ბრძოლა გველის.

■ **წინასამატჩო სიტყვა ლევან მოსეშვილის სიტყვებით დავასრულოთ:**

- დიდი ხანია, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე სპორტის სასახლე არ გავსებულა. სუპერლიგაში „არმიის“ გამოჩენამ გულშემატკივართა საგრძნობი მატება გამოიწვია. ვფიქრობ, შაბათს სპორტის სასახლე ბოლომდე გაივსება, რაც ქართული კალათბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი იქნება.




● ქართველები და ევროკალათბურთი

**ევროგასკეტი-1981**

**ჩეხეთი. I ეტაპი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სსრკ-პოლონეთი | 101:89 |
| დერიუგინი: 6 ქულა, 1 ფოლი. | |
| სსრკ-გფრ | 86:54 |
| დერიუგინი: 4ქ, 5ფ | |
| სსრკ-იტალია | 97:67 |
| დერიუგინი: 4ქ, 1ფ | |
| სსრკ-თურქეთი | 97:79 |
| დერიუგინი: 25ქ, 4ფ | |
| სსრკ-იუგოსლავია | 108:88 |
| დერიუგინი: 9ქ, 3ფ | |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 5 | 5 | 0 | 489/377 | 10 |
| 2. იუგოსლავია | 5 | 4 | 1 | 489/439 | 9 |
| 3. იტალია | 5 | 3 | 2 | 418/407 | 8 |
| 4. პოლონეთი | 5 | 2 | 3 | 429/429 | 7 |
| 5. გფრ | 5 | 1 | 4 | 334/395 | 6 |
| 6. თურქეთი | 5 | 0 | 5 | 346/458 | 5 |

**II ეტაპი**

| | |
|---|---|
| სსრკ-ჩეხოსლოვაკია | 110:84 |
| დერიუგინი: 7ქ, 1ფ | |
| სსრკ-ესპანეთი | 110:101 |
| დერიუგინი: 8ქ, 4ფ | |
| სსრკ-ისრაელი | 112:84 |
| დერიუგინი: 8ქ, 5ფ | |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 5 | 5 | 0 | 537/424 | 10 |
| 2. იუგოსლავია | 5 | 4 | 1 | 479/441 | 9 |
| 3. ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 421/441 | 8 |
| 4. ჩეხოსლოვაკია | 5 | 2 | 3 | 425/445 | 7 |
| 5. იტალია | 5 | 1 | 4 | 440/481 | 6 |
| 6. ისრაელი | 5 | 0 | 5 | 435/505 | 5 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| სსრკ-იუგოსლავია | 84:67 |
| დერიუგინი: 0ქ, 0ფ. | |



# თავდამსხმელად დაბადებული

**ნიკოლოზ დერიუგინი** თბილისის „დინამოს“ უკანასკნელი მოჰიკანი იყო სსრ კავშირის ნაკრებში. იგი საბჭოელთა გუნდის ღირსებას 1980-დან 1984 წლამდე იცავდა. დერიუგინის ყულაბაშია 1980 წლის ოლიმპიადის ბრინჯაო, 1981 წლის ევროპის ჩემპიონატის ოქრო და ასევე უმაღლესი სინჯის მედალი 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ისევე როგორც **ოთარ ქორქიასა** და **ამირან სხიერელის** შემთხვევაში, გაცილებით საინტერესოა საბჭოთა ნაკრების იმდროინდელი მწვრთნელის **ალექსანდრ გომელსკის** წიგნის „ცენტრების“ გადაფურცვლა. მასში ცალკე თავი დერიუგინს ეძღვნება.

„არის ზოგიერთი კალათბურთელი, რომელთა მაღალი კლასი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ნაკრებში აყვანაზე მწვრთნელი ყოყმანობს, ერთგვარ რისკად ეჩვენება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უჭირს. ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როცა ნიკოლოზ დერიუგინის სსრკ-ს ნაკრებში აყვანას ვაპირებდი. საბოლოოდ მაინც მივიწვიე, თუმცა დაგვიანებით.

კოლია ნაკრებში რომ მოხვდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში არაერთი სეზონი ჰქონდა ეფექტურად ჩატარებული. სხვათა შორის, ცსკა-საც ცუდ დღეში აგდებდა, ერთხელ არმიელთა კალათში სულაც 57 ქულა მოათავსა, რაც სარეკორდო მაჩვენებელი იყო.

დერიუგინი თავდამსხმელად იყო დაბადებული, გამოკვეთილი ბომბარდირი „თავისი“ 30 ქულის გარეშე მოედნიდან არ გადიოდა.

და მაინც, გავიმეორებ, საბჭოთა ნაკრებში მისთვის ადგილს ვერ ვპოულობდი. „დინამოს“ თითოეულ მატჩში კოლიას შეუცვლელად 40 წუთი უნდა ეთამაშა, რადგან თბილისელთა საყრდენი ბომბარდირი, მთავარი იმედი გახლდათ. დერიუგინისთვის აუცილებელი იყო ენერგია მატჩის ბოლომდე შემოენახა. ამიტომ „დინამოს“ მწვრთნელები მას დაცვაში მჭიდრო, კონტაქტური თამაშისგან ათავისუფლებდნენ, რათა რაც შეიძლება ნაკლები ჯარიმა მიელო. მწვრთნელები ამიტომაც უყვიროდნენ - კოლია, არ დაჯარიმდე, ნუ ჩქარობ, ყურადღებით იყავიო. იგი ყოველთვის ასეთი მანერით თამაშობდა.

სსრ კავშირის ნაკრებში კი არანაკლები კლასის ცენტრები გვყავდა - ჟიგილი, ტკაჩენკო, ბელოსტენი. ისინი კოლიაზე მაღლებიც იყვნენ და ფიზიკურად ძლიერებიც. ამიტომ მეოთხე ცენტრის მიწვევა ფუფუნება იყო. ნამდვილად ვერ ამოვაგდებდი შემადგენლობიდან ზემოთ ჩამოთვლილი სამეულიდან ერთ-ერთს, ვერც სათადარიგოთა სკამს მივაჯაჭვებდი... არც დერიუგინის საქმე იყო სკამზე ჯდომა.

დინამოელ ცენტრს შეკრებებზე ხშირად ვიძახებდი, ამხანაგურ მატჩებშიც ვათამაშებდი, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა.

...მხოლოდ სპორტული თვისებები როდი მაფერხებდა: ნაკრებში ანონიმურ გამოკითხვებს ვატარებდი. ასეთი ანკეტები საშუალებას მაძლევდა, გამერკვია, კალათბურთელებს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა ჰქონდათ, ვისთან სურდათ თამაში და ვის შეიძლება დაყრდნობოდნენ რთულ სიტუაციაში. ყველა კანდიდატი თავის შემადგენლობას ასახელებდა. უმეტეს შემთხვევაში კოლიას ძირითად შემადგენლობაში არავინ წერდა. ეს მაფიქრებდა, თუმცა ასეთ ანკეტებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი.

შეიძლება, კოლიას ამის წაკითხვა არ ესიამოვნოს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევი. ძალიან მაინტერესებდა, რით იყო გამოწვეული ზოგიერთის ნეგატიური რეაქცია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დერიუგინის სათამაშო სტილი უნდა ყოფილიყო - გამოკვეთილი ლიდერი გახლდათ, ჩაგდებაც უყვარდა, „სოლოს შესრულებას“ მიჩვეული იყო და კარგადაც გამოსდიოდა. ასეთი სტილის ახალგაზრდა ზოგიერთი გამოცდილი კალათბურთელისთვის მიუღებელია. კოლია ნაკრების წევრებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებშიც აბრაზებდა. მის წინააღმდეგ თამაში არავის სიამოვნებდა, რადგან დერიუგინი განზრახ თუ უნებლიეთ (ალბათ, განზრახ) მეტოქეების პროვოცირებას ახდენდა, შეტაკებისკენ უბიძგებდა, თვითონ კი უდანაშაულოდ გამოიყურებოდა, თითქოს ბოროტი ხალხი გზას არ აძლევდა. თბილისში ცხელი, მრავალრიცხოვანი პუბლიკა იყო და კოლიას „ფოკუსებზე“ მხურვალედ რეაგირებდა. შედეგად არბიტრები დერიუგინის არტისტული ხრიკების მაგიის ქვეშ ექცეოდნენ, ტრიბუნების ზეწოლას ვერ უძლებდნენ და ფოლებს ურიგებდნენ დამნაშავესა თუ უდანაშაულოს. ცხადია, ეს სსრ კავშირის ნაკრებში დერიუგინის კონკურენტებს ძალიან აღიზიანებდა. ამიტომ ბევრი მუშაობა მიწევდა, რათა ურთიერთობები დამელაგებინა. კოლიასა და მის პარტნიორებს ყოველთვის ვუმეორებდი, მოთმინება გამოეჩინათ და პირველ რიგში საერთო საქმე დაეყენებინათ. საბოლოოდ ასეც გამოდიოდა და დერიუგინმაც დიდი სამსახური გაუწია ნაკრებს.

იგი საბჭოთა გუნდში შედარებით ადრე რომ მიმეწვია, მეტს მიაღწევდა და უფრო გაიბრწყინებდა. რადგან 1979 წლის ევროპის ჩემპიონატი ტრიუმფალურად მოვიგეთ, გადავწყვიტე, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზეც ვეტერანებს დავყრდნობოდი - სერგეი ბელოვს, ედეშკოს, მილოსერდოვს, სალნიკოვს, ჟიგილის. გვეგონა, რომ ოლიმპიადაც იოლი გასეირნება გამოდგებოდა, რადგან აშშ არ ჩამოვიდა. თუმცა, ეს იყო თავდაჯერება, რაც არ უნდა დაგვეშვა. მხოლოდ ფინალზე ვფიქრობდით. ასეთმა სიმშვიდემ და ვეტერანებზე დაყრდნობამ ნახევარფინალში მარცხი განაპირობა. არადა, ვგრძნობდი, რომ არაერთი ახალგაზრდა კალათბურთელი სჯობდა ვეტერანებს, მაგრამ პოტენციური კანდიდატებიდან მხოლოდ დერიუგინი ავიყვანე, ისიც ბოლო მომენტში (ფესენკოს ნაცვლად). გუნდის ფორმირებისადმი ასეთი მიდგომა შეცდომა აღმოჩნდა. კოლიასთვის კი აკლიმატიზაცია იოლი არ იყო. მან ვერ მოასწრო ვეტერანებთან საერთო ენის გამონახვა (ბევრი ხვდებოდა, რომ მისთვის ბოლო ტურნირი იქნებოდა და ახალბედებს ეჭვით უყურებდა). ამის მიუხედავად, დერიუგინმა ოლიმპიადა დამაჯერებლად ჩაატარა, განსაკუთრებით ეფექტური ბრაზილიასთან მატჩში იყო. თამაშისას დებიუტანტს გამოცდილი კალათბურთელებიც მხარში ამოუდგნენ, პასებით „კვებავდნენ“ და ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ქართველის ბომბარდირული თვისებები...“

ალექსანდრე გომელსკი თავის წიგნში არაფერს ამბობს 1981 წლის ევროპის ჩემპიონატზე. თუმცა გადახედეთ სსრკ-ის მატჩების ანგარიშებს და თავადაც დარწმუნდებით, როგორი აღმაფრენით მოიგო ევრობასკეტი. დერიუგინის სანაკრებო რეკორდიც 1981 წელს დაფიქსირდა: თურქეთთან 25 ქულა ჩააგდო.

- თურქების წინააღმდეგ კარგად რომ ვითამაშე, მახსოვს, თუმცა ქულათა ზუსტი რაოდენობას ვერ გეტყვით. წინა წელს ოლიმპიადაზე წარუმატებელი თამაშის შემდეგ, ნაკრების წევრებმა ჩეხეთში გამართული ევროპის ჩემპიონატი მაქსიმალური მობილიზებით ჩავატარეთ და იმ დროისთვის ევროპის საუკეთესო გუნდები ერთმანეთის მიყოლებით დავამარცხეთ, - გვითხრა ნიკოლოზ დერიუგინმა...

*„ლელოს“ ამ წლის ბოლო ნომერი 31 დეკემბერს გამოვა. მომდევნო შაბათი 1 იანვარია. ამიტომ შაბათის რუბრიკას „ქართველები და ევრობასკეტი“ ორი კვირის შემდეგ შემოგთავაზებთ. განვაგრძობთ ალექსანდრე გომელსკის მონათხრობს ნიკოლოზ დერიუგინზე.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

იუბილე

ვლადიმერ რუბაშვილი 70

# უკვდავებაში, რუბაშვილო, უკვდავებაში!

ვინ არის უკვდავი?
რა არის უკვდავება?
მეც მიფიქრია ამაზე და, თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევ, მკითხველო, ჩემეულ განმარტებას შემოგთავაზებ — ჩემი აზრით, სადასა და უნივერსალურს:
"უკვდავი ისაა, ვისაც თავისი ქვეყანა გაუხარებია...
ხოლო რით გაუხარებია — სიმღერით, პლასტიკით, სიტყვით, საქმით - ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.
ვლადიმერ რუბაშვილს მრავალგზის გაუხარებია საქართველო.
აქედან გამომდინარე:
— უკვდავებაში, რუბაშვილო, უკვდავებაში!

**თამაზ კვაჭანტირაძე,**
26 ივლისი, 2010

დღე დღეს მისდევს და წლები წლებს ცვლიან. ჟამთა სრბოლაში იცვლება ყველაფერი. ყველა ეპოქას თავისი გმირი ჰყავს, თითოეულ ქომაგს - თავისი კერპი. აი, **ვლადიმერ რუბაშვილი** კი ყველა დროის ჩემპიონად რჩება.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე უკრაინის ნაკრებიც გვეწვია 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონის, რომის ოლიმპიური თამაშებისა და 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორის **ვლადიმირ სინიავსკის** ხელმძღვანელობით. ქართველი კოლეგებით აღფრთოვანებულს საათობით შეეძლო ჩვენს ფალავნებზე ელაპარაკა. 18 წლისას ჭიდაობაში ნათლობა მათი დახმარებით მიუღია.

— ქართველები ყოველთვის მიყვარდა, — მითხრა მან. — საბჭოთა ნაკრებში ყველაზე მეტად სწორედ მათთან ვმეგობრობდი. მათ შორის ვლადიმერ რუბაშვილი გამოირჩეოდა — ხალასი ტალანტი, უდიდესი ნიჭის პატრონი, უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლი. წელში გამართული ჭიდაობდა. მეტოქის ერთსა და იმავე ფანდს ყოველთვის განსხვავებული ილეთით პასუხობდა, რუბაშვილს ხალიჩაზე ყველაფერი შეეძლო! მასთან ერთად მიასპარეზია საბჭოთა კავშირის პირველობებზე, რომის ოლიმპიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიაში, ხშირად ისე გავრთულვარ მისი შერკინების ცქერით, რომ ხალიჩაზე გასვლის დროც დამვიწყებია. ერთი ცნობილი ეპიზოდი მინდა გავიხსენო რომის ოლიმპიური თამაშებიდან: ჰადემი ორჯერ ბეჭებით გააკრა ხალიჩას, მაგრამ შუამავალმა არბიტრმა ქულაც არ მისცა. გაბრაზებულმა ქართველმა ფალავანმა ზურგზე წამოიკიდა სპარსი და ჰაერში დააბზრიალა. ამ დროს უნებურად გამოჰკრა ფეხი შუამავალ მსაჯს და მეტოქე მასთან ერთად ხალიჩაზე გაშხლართა...

ვლადიმერ რუბაშვილის ნიჭიერებაზე, დახვეწილ ოსტატობასა და ვაჟკაცურ სულზე არაერთხელ უამბიათ ჩემთვის ქართველ მოჭიდავეებსაც. ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი ასეთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს: „1961 წელს ტალინში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატზე რუბაშვილმა ზედიზედ რამდენიმე მეტოქე დაამარცხა. ნახევარფინალში მასპინძელთა გუნდის წევრს, გამოცდილ კაშკინს შეხვდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ბალტისპირელი წაბორძიკდა და მუხლზე დაეცა. რუბაშვილს შეეძლო, თავს დასცხრომოდა და ბეჭებით გაეკრა მეტოქე ხალიჩაზე, მაგრამ არ იკადრა, აცალა მოწინაალმდეგეს ფეხზე წამოდგომა და წელში გამართვა. თავად ხომ წელგამართული უყვარდა ჭიდაობა მუდამ ღიმილიანს. ბოლო წუთებზე მაინც დაამარცხა კაშკინი, გადამწყვეტ პაექრობაში მახაჩყალელ გაჯიევსაც სძლია და პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი".

არადა, მცხეთის რაიონის სოფელ ნაოზაში დაბადებულ (1940 წლის 26 დეკემბერს) - გაზრდილმა ჭაბუკმა სპორტული კარიერა ფეხბურთით დაიწყო. 13 წლისამ „პროფილი" შეიცვალა და „პეტრეს დარბაზში" ცნობილი მწვრთნელის ვასილი ილურიძის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში. მალე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. შრომისმოყვარე ფალავანმა იმდენი მოახერხა, რომ 19 წლისა საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველ ნომრად დაასახელეს და 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზეც წაიყვანეს. ახალბედამ გაამართლა მწვრთნელთა იმედები: ზედიზედ სძლა ირანელ **ჰადემს**, შვეიცარიელ **მაინჰარდს.** ფინელ **პენტილას** და იაპონელ **ტამიჯი სატოს**, დამარცხდა პაკისტანელ **მუჰამედ ახტართან** და ბულგარელ **სტანჩო კოლევთან**. შვიდი საჯარიმო ქულით ბრინჯაოს პრიზიორი გახდა (ოლიმპიური ჩემპიონობა თურქმა **დალისტანლიმ** მოიპოვა, მეორეზე კოლევი გავიდა). ამ ორთაბრძოლების მნახველი „ჭიდაობის პროფესორი" **ვახტანგ ბალავაძე** ბრძანებს, რომ ახტართან მარცხი ვოვას გამოუცდელობის ბრალი იყოო. თუმცა მესამე ადგილითაც დაიმკვიდრა ადგილი საკავშირო ნაკრებში და მალევე დაამტკიცა, რომ თავის წონაში პლანეტაზე ტოლ-სწორი არ ჰყავდა.

— ოთხი თვის შეუღლებულები ვიყავით, ვოვა ვლადივოსტოკში რომ წაიყვანეს საკავშირო შეკრებაზე, — იხსენებს რუბაშვილის მეუღლე ქალბატონი ლეილა. — წასვლისას შემპირდა, იოკოჰამადან ოქროს მედალს ჩამოგიტანო. ტყუილი ქადილი არ უყვარდა. მოუთმენლად ველოდი ცნობებს ამომავალი მზის ქვეყნიდან. პირველი შეხვედრა სატოსთან რომ წააგო, გული არ გამტეხვია, მჯეროდა, პირობას მაინც შეასრულებდა. მეორე წრეში ინდოელი სინეხი დაამარცხა, მერე ამერიკელ ალენსა და ირანელ თავავქულის სძლია, ფინალში თურქ ფეხლევანს აჯობა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა...

„რუბაშვილმა ნამდვილად წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იაპონელებზე. საკმარისი იყო, სარბიელზე გამოჩენილიყო, რომ დარბაზს ოვაცია აზანზარებდა. მრავალფეროვნად იბრძოდა. ეს განსაკუთრებით ფინალზე ითქმის. ფეხლევთან შეხვედრის დროს, როცა ყველაფერი შუაკაურმა გადაწყვიტა, მაყურებელი ტაშის გრიალით შეხვდა ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ახალ ჩემპიონს. „შეუპოვარი", „სასახარაზე უფრო შედეგიანი", „ილეთების ფეიერვერკი", — ასე ახასიათებდნენ ქართველ მოჭიდავეს იაპონური გაზეთები", — წერს ვახტანგ ბალავაძე.

ხანმოკლე სპორტული კარიერის განმავლობაში ვლადიმერ რუბაშვილი ვის არ დასჭიდებია და ვინ არ დაუმარცხებია. მისი ელვისებური ფანდებით იხიბლებოდნენ გულშემატკივრები და სპეციალისტებიც. 1962 წელს საბჭოთა კავშირში იაპონელთა სტუმრობისას რუბაშვილი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ოსამუ ვატანაბეს შეხვედრია. ქართველ ფალავანს ფანდების ისეთი ორომტრიალი დაუყენებია, რომ თავისუფალ და „კლასიკურ" ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ ავგუსტ ენგლასს თავი ვერ შეუკავებია და წამოუძახია: „აი, ეს არის მოჭიდავე". ერთი წლით ადრე კი იმავე ენგლასმა, როცა ქართველი ფალავანი პირველად გახდა ტალინში სსრკ ჩემპიონი, კორესპონდენტებს უთხრა — „მე ისეთი მოჭიდავე, როგორიცაა რუბაშვილი, ჯერ არ მინახავს".

**რომან რურუა,** ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი: „ვისაც ვოვა ოდესმე საჭიდაო ხალიჩაზე უნახავს, მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩებოდა ამ, მართლაც, უბადლო სპორსტმენის ოსტატობა. ლაღი იყო, თავისუფალი, ღია ჭიდაობა უყვარდა... აი, ბატონო, ხელი გინდა?.. ფეხი?.. წაიღე, ოღონდ მოდი და მეჭიდავეო რაინდულად, ვაჟკაცურად... ამიტომ უყვარდა იგი მაყურებელს გამორჩეულად 60-იანელთა თაობიდან. როცა ვოვა ჭიდაობდა, ათიათასიანი დარბაზი მაყურებლით გადაჭედილი იყო. ეს იოლი არ გახლავთ, ათასობით ადამიანი შენი ჭიდაობის საყურებლად მოიყვანო და მერე ისე იჭიდაო, რომ სამუდამოდ დაამახსოვრო თავი.

ვოვა სიკეთე იყო, ამიტომ ბოროტება ყოველთვის ცდილობდა, გზაზე გადალობებოდა. მისი დიდი სპორტიდან ჩამოშორებაც სიკეთისა და ბოროტების ორთაბრძოლა მგონია... იაპონიაში მანდილოსნის მიმართ გამოთქმული ერთი ჩვეულებრივი კომპლიმენტი მისთვის სავალალო ბედისწერად იქცა".

დიახ, ერთი უბრალო იაპონელი ქალიშვილის წერილმა რუბაშვილი, ფაქტობრივად, აქტიურ სპორტს ჩამოაშორა. საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურმა „გაშიფრა" ამომავალი მზის ქვეყნიდან გამოგზავნილი ბარათი და მსოფლიოს ჩემპიონს უცხოეთში გამგზავრება აუკრძალა. ამით იაპონელ ოსამუ ვატანაბეს ძალაუნებურად გაუხსნეს გზა 1964 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1962-1963 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების უმაღლესი საფეხურისკენ. მაშინაც და ახლაც ბევრს სჯერა, რომ იაპონელთა ხრიკმა შედეგი გამოილო. ვატანაბეს მხოლოდ რუბაშვილი თუ მოერეოდა. ის კი საბჭოურმა „კაგებემ" პოლიტიკურად არასაიმედოდ მიიჩნია და, როგორც თამაზ კვაჭანტირაძე ბრძანებს, „არწივი საქათმეში გამოამწყვდიეს!" რუბაშვილის მებრძოლ სულს გალია ეცოტავა, ფრთების ლაღად გაშლა და ნავარდი მოინდომა. მანქანის საჭეს მიანდო ბედი. მცხეთის გზაზე მიმავალს როცა მორიგი მოსახვევისთვის უნდა აექცია გვერდი, იქ უწია ბედისწერამ — აწყვეტილად მომავალ მანქანას დაეჯახა და... საუკუნო სასუფეველში დაიდო ბინა.

ეს მოხდა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ — 1964 წლის 1 თებერვალს. მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ქართული სპორტის კაბადონზე მრავალი ვარსკვლავი აენთო, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ რუბაშვილს საკუთარი ოსტატობის საერთაშორისო სარბიელზე გამოვლენის შესაძლებლობა არ მიეცა, როგორც დიდი ფალავანი რომან რურუა ბრძანებს, „იგი მაინც პირველი დარჩა პირველხარისხოვან მოჭიდავეთა შორის. სპორტის მოყვარულ საზოგადოებას მისი სახელი დღემდე ახსოვს. ეს კი უკვე სიკეთის გამარჯვებაა."

**ვაჟა დანელია**






ლეგენდარულ ქართველ ფალავანს ვლადიმერ რუბაშვილს 26 დეკემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, იგი 23 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა. არადა, მცირე დროის განმავლობაში იმდენი მოასწრო, რასაც სხვები მთელი ცხოვრება ვერ ახერხებენ — მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში სამჯერ იყო პირველი. მისთვის რომ გზები არ გადაეხერგათ, ქომაგებს უფრო დიდი წარმატებებით გაახარებდა.

ვლადიმერ რუბაშვილის ხანმოკლე სიცოცხლესა და დაუვიწყარ გამარჯვებებს ეძღვნება წიგნი „და დარჩა ხსოვნა", რომელიც სწორუპოვარი ფალავნის შვიდი ათეული წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა. წიგნის იდეის ავტორია მზია ხეთაგური, რედაქტორი - თამაზ კვაჭანტირაძე, შემდგენლები - ლეილა აბუაშვილი-რუბაშვილისა და ლია რუბაშვილი. მკითხველი მასში გაეცნობა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებს, ნარკვევებს სახელოვანი ფალავნებისა და ვოვა რუბაშვილის მეგობართა მოგონებებს, ამონარიდებს ჟურნალ-გაზეთებიდან, იოსებ ნონეშვილისა და ლაშა გახარიას ლექსებს. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან.

# შანსი ყველას ექნება

## ახალგაზრდებმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ

**ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატით დასრულდა ქართველ მოჭიდავეთა წლევანდელი სეზონი. სამწუხაროდ, დასკვნითი შეჯიბრება ვერ გამოდგა მთლად უძლიერესი - მიზეზთა გამო, რამდენიმე ლიდერი დააკლდა. სამაგიეროდ, მათ არყოფნაში ახალგაზრდები გამოჩნდნენ, თუმცა იმათი მომზადება ჯერ კიდევ არაა სასურველ დონეზე.**

**რა ბედი ელით ნაკრების იმ ლიდერებს, რომლებიც ამჯერად ტურნირში ვერ თუ არ გამოვიდნენ - ექნებათ თუ არა მათ ჯერ მარტ-აპრილში, დორტმუნდში ევროპის პირველობაზე, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება; ვინ მოეწონა ამ ჩემპიონატში და რას ფიქრობს ახალგაზრდების გამოსვლაზე; როგორი გეგმით მოემზადება ნაკრები ევროპირველობისთვის და სად იასპარეზებს გაისად - ამ კითხვებზე საპასუხოდ ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც ბეგი დარჩიას ვეწვიეთ.**

**- როგორ შეაფასებთ განვლილ ჩემპიონატს, დაინახეთ თუ არა სიახლეები?**

- მთავარი სიახლე ის იყო, რომ გამოჩნდნენ კარგი ახალგაზრდები. მაგალითად, არჩილ თურმანიძე 66-ში, ზურაბ მაჭარაშვილი 55-ში, სანდრო დიხამინჯია 96-ში, რომელიც ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. ასევე კარგად იჭიდავა ვლადიმერ გეგეშიძემ 84-ში, ამავე წონაში დავით ჩაკვეტაძეც ძალიან მომეწონა... თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარგი თაობა მოდის.

ტურნირს რაც შეეხება, კარგად იყო ორგანიზებული. ჭიდაობის ხარისხსაც არა უშავდა - საშუალოზე მაღალი იყო. მთლიანობაში შარშანდელ ჩემპიონატს სჯობდა წლევანდელი.

**- ძველი ლიდერების გამოსვლაზე რას იტყვით?**

- სამწუხაროდ, ტრავმების სერია არ დამთავრდა. ამ მიზეზით რამდენიმემ საერთოდ ვერ იჭიდავა, ხოლო ვინც გამოვიდა, ნორმალურად იასპარეზა. მათ აჩვენეს მომზადების ის დონე, რასაც მათგან ველოდებოდით. გული მხოლოდ ქუთაისელ გიორგი ცირეკიძეზე დამწყდა 74-ში, რომელიც ამჯერად სამეულშიც ვერ მოხვდა. ის მშრომელი ბიჭია, ჭკვიანი სპორტსმენი, მაგრამ წონაში ბევრის დაკლებამ მოუწია და ამან არ მისცა წარმატებით გამოსვლის საშუალება.

**- ვინც ამჯერად არ გამოვიდა ჩემპიონატში, მათ ექნებათ ევროპაზე მოხვედრის შანსი?**

- ნუ გავასწრებთ მოვლენებს. საპატიო მიზეზებიც იყო - რეალურად აწუხებდათ ტრავმები. მაგალითად, სოსო ჯაბიძეს (96) ფეხი სტკივა, მანუჩარ კვირკველიას (74) - შინაგანი სნეულებები აწუხებდა. ამიტომ, ვფიქრობ, შანსი უნდა მივცეთ და ისინიც უნდა ჩაერთონ ოლიმპიადაზე მოსახვედრ კონკურენციაში. თუმცა ამაზე მწვრთნელთა საბჭო იმსჯელებს, ხოლო თუ ნებას არ დართავს, მაშინ მათ კარტოზიას ტურნირამდე მოუწევთ დაცდა. ის იქნება გადამწყვეტი შეჯიბრება მსოფლიოს პირველობისთვის, იქ კი ოლიმპიადის ლიცენზიები გაიცემა.

**- მოთხოვთ თუ არა მათ კატეგორიულად იგივე კარტოზიაზე ან სხვა შეჯიბრებებში თავიანთ წონებში ჭიდაობას?**

- თუ ლიდერს არ ჰყავს რეალური კონკურენტი და ბევრს იკლებს, მწვრთნელებს შეგვიძლია, არ დავაკლებინოთ და ზედა წონაში ვაჭიდაოთ. მაგრამ თუ დიდი კონკურენციაა, მაშინ ყველა თავის წონაში იასპარეზებს.

**- ამ ჩემპიონატში გამარჯვებულ ახალგაზრდა ფალავნებს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის რა შანსი აქვთ?**

- გარანტირებული ჯერ არაფერია. მათ უცხოურ შეჯიბრებებშიც უნდა დაგვანახონ, რომ საზღვარგარეთაც შეუძლიათ ჭიდაობა. ვისაც პირველი ან მეორე წრის იქით წასვლა არ შეუძლია, მას მსოფლიოზე ან ოლიმპიადაზე რა ესაქმება? ამიტომ უცხოეთშიც უნდა დაამტკიცონ თავისი.

**- მანუჩარ ცხადაიას 74-ში გადასვლას როგორ აფასებთ, მიესალმებით ამას? როგორი შანსი ექნება იქ?**

- ამ საკითხის გადაწყვეტას გარკვეულ შეჯიბრებებში მონაწილეობა სჭირდება, რათა დავინახოთ, როგორ იჭიდავებს აქ და შევაფასოთ მისი ეს ნაბიჯი. ზეპირად თქმა ძნელია, ყველაფერი შეჯიბრებებში გამოცდის შემდეგ გადაწყდება.

**- სად მიეცემა მას ამის შესაძლებლობამ ანუ ნაკრები რომელ ტურნირებში გეგმავს გამოასსვლას?**

- მომავალ სეზონს იანვრის ბოლოს დავიწყებთ, ნაკრები ორ ჯგუფად გამოვა თურქეთსა და საფრანგეთში. ორივე შეჯიბრება 29-30 იანვარს ტარდება. თურქეთში ვები ემრეს მემორიალია სტამბოლში, საფრანგეთში კი კრეტეიში ტარდება ტრადიციულად ძლიერი საერთაშორისო ტურნირები. ორივეგან სისტემატურად გამოვდივართ და კანდიდატთა შემოწმების ასეთ კარგ შანსს არც ახლა გავუშვებთ ხელიდან. მით უფრო, აშკარად იგრძნობა, რომ სპორტსმენებს აკლიათ სტარტები. მინსკში კი გვქონდა კარგი შეჯიბრება, მაგრამ იქ ყველას არ უჭიდავია, რადგან გუნდური ტურნირი იყო და დებულებიდან გამომდინარე რაოდენობაში შეზღუდული ვიყავით. ამიტომ თურქეთსა და საფრანგეთში წონაში ორ-ორ კაცს გამოვიყვანთ, თუმცა ზოგან შეიძლება სამიც წავიყვანოთ. ერთი სიტყვით, ყველას გამოვცდით.

გაისად არ ვიასპარეზებთ უნგრეთში, სადაც ბოლო წლებში სომბათჰეიში სისტემატურად ჩავდიოდით. წლეულს ის მარტში ტარდება და ვინაიდან ევროპის ჩემპიონატიც მარტის ბოლოსაა, მზადების გრაფიკიდან გამომდინარე, ხელს არ გვაძლევს, ამიტომ ვიუარეთ იქ წასვლა და მის ნაცვლად უფრო ადრე - 25-27 თებერვალს ბულგარეთში ნიკოლა პეტროვის მემორიალში ვიჭიდავებთ, რომელიც ევროპის პირველობისთვის დასკვნითი შეჯიბრება იქნება. იმ ტურნირისთვის მზადების გეგმაში შეკრებებიც გვაქვს. პირველს 17 იანვარს დავიწყებთ დუშეთში, თებერვლის ბოლოს კი სომხეთში, წახკაძორში ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გავივლით, ბულგარეთის შემდეგ კი მინსკშიც გვინდა ერთობლივ შეკრებაზე წასვლა.

**ირაკლი თავაძე**

● ინტერვიუ დავით ზირაქაშვილთან



# ქართულ რაგბის მსოფლიოში დიდი ავტორიტეტი აქვს

**2010 წლის სეზონი ქართული რაგბისთვის წარმატებული გამოდგა. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების შესანიშნავი გამოსვლის ლოგიკური დასასრული, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად „ბორჯღალოსანთა“ შერკინების ბურჯის დავით ზირაქაშვილის აღიარება იყო.**

**„ზირაქა“ მეექვსე სეზონია საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის „კლერმონში“ ასპარეზობს და წლეულს, გუნდთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ქართველი მორაგბე „ვულკანების“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. დასტურად მისი მსოფლიოს ნაკრებში მიწვევაც გამოდგება. ზირაქაშვილმა და კომპანიამ ჰონკონგში ახალი ზელანდიის ნაკრებთან ითამაშა.**

**დავით ზირაქაშვილი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, ლიდერია. ჩვენი ეროვნული გუნდის წარმატებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის და პირიქით, ზირაქაშვილი რომ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენია, ეს მთელი გუნდის დამსახურებაცაა.**

- საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელება ჩემთვის მოულოდნელი იყო – გვითხრა დავით ზირაქაშვილმა - ცხადია, ძალიან გამიხარდა. სასიამოვნოა, როცა შენი დამსახურებას ერთი ან ორი ადამიანი კი არა, მთლიანად ხალხი აფასებს.

**- თქვენ საფრანგეთის ჩემპიონი ხართ, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენადაც დაგასახელეს. რაღა დარჩა - მსოფლიოს ჩემპიონობა. ალბათ, ახლა ყველაზე კარგი მომენტია ის ადამიანები გაიხსენოთ, ვინც თქვენი, როგორც მორაგბის და პიროვნების ჩამოყალიბებაში წვლილი შეიტანა.**

- ასეთი ადამიანები ბევრნი არიან. არ მინდა ვინმე გამომრჩეს. გარწმუნებთ, ყველას, ვინც პირველად რაგბიში მიმიყვანა, მისი ანბანი მასწავლა, საფრანგეთში სათამაშოდ წამიყვანა, პირველად ეროვნულ ნაკრებში მიმიწვია და თავის გამოჩენის საშუალება მომცა, ყველას დიდ პატივს ვცემ, ვაფასებ. ყველას მინდა მადლობა გადავუხადო.

**- საყოველთაო აზრით, წლეულს ქართულ რაგბის წარმატებული, გამორჩეული სეზონი ჰქონდა...**

- დიახ, როგორც ეროვნულმა, ისე ასაკობრივმა ნაკრებებმა კარგად იასპარეზეს. ჩვენი ახალგაზრდული გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. ძალიან კარგი თაობა მოდის და ეს, ცხადია, სასიხარულოა.

ყველაზე მთავარი, იცით, რა არის? ათი წლის წინათ რომ გენახათ, ქართული რაგბი პროფესიონალიზმში მოიკოჭლებდა. ეს მარტო მორაგბეებს არ ეხება, არამედ მწვრთნელებსაც და რაგბის ხელმძღვანელებსაც. ამჟამად ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი. რაგბის კავშირში მაღალი დონის სპეციალისტები მუშაობენ, საქმეს უნარიანად უძღვებიან. ეს აბსოლუტურად ყველა მიმართულებით თვალში საცემია. აგერ, ეროვნულ ნაკრებშიც შესანიშნავი მწვრთნელთა შტაბი შექმნეს. ეს ყოველივე წინსვლის საწინდარია და, ვფიქრობ, ნელ-ნელა განვვითარდებით.

**- საქართველოს ნაკრებმა წლეულს 2011 წლის მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ფაქტს დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. რას შეიძლება ეს დავაბრალოთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო თასზე ჩვენს გასვლას რეზონანსი არ მოჰყოლია. ვფიქრობ, ხალხი მიეჩვია იმ აზრს, რომ საქართველოს ისეთი დონის რაგბის ნაკრები ჰყავს, რომელიც მსოფლიო თასზე აუცილებლად უნდა გავიდეს. თუმცა, ეს სულაც არ აკნინებს ამ ფაქტის მნიშვნელობას. პირიქით, ხალხს ძალიან უხარია და, როგორ უხარია, ეს ტრაბზონში რუსეთის ნაკრებთან მატჩისას კიდევ ერთხელ ვნახე. ცხადია, იმ დღეს საქართველოშიც დიდი ზეიმი იყო. ასე რომ, ახლა რაგბის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შედარებით ჯერ კიდევ ნორჩი სახეობაა, კიდევ მეტი ყურადღება, მხარდაჭერა სჭირდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, მსოფლიოს თასზე როგორ ვიასპარეზებთ.

**- ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბი ახსენეთ. ერთი შეხედვით, რაც შეიძლება დაინახო, ისაა, რომ მათ ნაკრებში დისციპლინა დაამყარეს...**

- ასეა. დისციპლინას და საქმისადმი პროფესიულ მიდგომას, ჩვენ ყველანი, საფრანგეთში მიჩვეულნი ვართ. მაგრამ ნაკრებში რომ ჩამოვდიოდით, ცოტა თავისუფლებას ვგრძნობდით. ახლა ნოემბრის ტესტებისას, ახალმა მწვრთნელებმა საქმისადმი მაქსიმალურად პროფესიული მიდგომა მოითხოვეს.

ამაში განსაკუთრებული არაფერია. რა არის პროფესიონალიზმი? ეს არის სწორი ვარჯიში, დროული და კარგი ძილი, სწორი კვება. ერთი სიტყვით, თუკი კლუბებში ასე ვცხოვრობთ, ნაკრებში რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე? რიჩი დიქსონი ამბობდა, 11 საათზე ყველა საწოლში უნდა იყოთო. ცოტა კი გამიკვირდა, მაგრამ, რატომაც არა?!

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალი დონის პროფესიონალები არიან თავად ნაკრების მწვრთნელები?**

- ის, რომ ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა შტაბი უმაღლესი დონის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, სადავო არ არის. სხვა საქმეა, რამდენად კარგად შეძლებენ თავისი ცოდნის ჩვენამდე მოტანას. მათთან ჯერ მხოლოდ ორი კვირა ვიმუშავეთ და გამიჭირდება, ამ მხრივ შეფასება გავაკეთო.

**- ქართულ რაგბიში საკმაოდ მნიშვნელოვანი ძვრებია. ახლახან თბილისს IRB-ის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე სტუმრობდა. გაიხსნა სარაგბო აკადემია, გადაწყდა მსოფლიო ალაფას თბილისში გამართვა...**

- ხაზგასმით მინდა ვისაუბრო მსოფლიო ალაფას თბილისში გამართვის შესახებ. ის რომ ამ ტურნირის საქართველოში ჩატარების უფლება მოგვცეს, თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რა დიდი ნდობა და ავტორიტეტი აქვს ქართულ რაგბის მსოფლიოში. ამ შეჯიბრების ჩატარება, დარწმუნებული ვარ, დიდ ბიძგს მისცემს ჩვენს ქვეყანაში რაგბის კიდევ უფრო განვითარებას.

მსოფლიო ალაფას სხვა სარგებლობის მოტანაც შეუძლია. მაგალითად, ტურიზმის კუთხით. სტუმარ გუნდებს ჩამოჰყვებიან გულშემატკივრები. ის ადამიანები, რომლებიც საქართველოში არასდროს ყოფილან, არაფერი სმენიათ და საქართველოზე არსად არაფერი ულაპარაკიათ. თბილისში სტუმრობის შემდეგ კი, თუ ყველაფერი კარგად იქნება ორგანიზებული, წარუშლელი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი წავლენ. ჩვენს ქვეყანას რეკლამას გაუკეთებენ და ტურისტების ნაკადიც მოიმატებს.

იმედი მაქვს, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები წარმატებით იასპარეზებს და მსოფლიოს ჩემპიონატზე ელიტარული ქვეყნების გვერდით დაიკავებს ადგილს.

● 2010 წელი ოვალურ პლანეტაზე

**2010 წელი ნელ-ნელა გვემშვიდობება და მალე ისტორიის საკუთრება გახდება. წლევანდელი სარაგბო სეზონიც უკვე დასრულდა. დასაჯილდოებელი დაჯილდოვდა და ახლა უკან მოხედვაც შეიძლება. მოდით, თვალი გადავავლოთ, რა ხდებოდა 2010 წელს „ოვალურ პლანეტაზე“.**

## ნარშავების დანაკლისი

წელიწადი ცუდად დაიწყო. 13 თებერვალს, უელსისა და შოტლანდიის ნაკრებების ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურის მატჩში, ლამის ტრაგედია დატრიალდა. „მილენიუმზე“ თამაშის სანახავად მისული მაყურებელი სამარისებურ სიჩუმეში, სულგანაბული ელოდა მოვლენების განვითარებას. ექიმების ჯგუფი თავს დასტრიალებდა „ნარშავების“ გარემარბ **ტომ ევანსს**, რომელიც მოედნიდან სასწრაფოა მანქანით წაიყვანეს.

ევანსმა კისერი დაიზიანა და მოგვიანებით ორი ოპერაცია გადაიტანა. ის იძულებული გახდა რაგბიდან წასულიყო. 25 წლის მორაგბისთვის ასეთი გადაწყვეტილების მიღება უაღრესად რთული იყო. შოტლანდიურმა რაგბიმ კი დასანანი დანაკარგი განიცადა. სხვა გზა უბრალოდ არ იყო, როგორც მკურნალმა ექიმმა **ჯეიმზ რობსონმა** თქვა:

*„ევანსს ძალიან გაუმართლა. რამდენიმე მილიმეტრიც და ის ან პარალიზებული იქნებოდა, ან კიდევ უფრო უარესი, დაიღუპებოდა.“*

## ვილკო №1 აღარ არის

20 მარტს ექვსი ერის გათამაშების ბოლო ტურში საფრანგეთის ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. „პომები“ კი მესამე ადგილს დასჯერდნენ. ეს ამბავი ყველაზე მწვავედ ინგლისელთა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** განიცადა. თორმეტი წლის განმავლობაში მესამედ მოხდა, რომ ის ძირითადში არ დააყენეს. მის ნაცვლად **ტობი ფლუდმა** ითამაშა.

ამ ამბავს, ვილკინსონსა და ნაკრების მთავარ მწვრთნელ **მარტინ ჯონსონს** შორის ფარული დაპირისპირება მოჰყვა. „ვილკომ“ თავისი შესაძლებლობები ვერც ივნისის ტესტებზე გამოავლინა. მან ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში მხოლოდ 37 წუთი ითამაშა. შემოდგომაზე კი, ნოემბრის ტესტებისას, ტრავმირებული იყო. ყოველივე ამის შემდეგ ჯონსონმა გადაწყვიტა, მსოფლიო თასისთვის მგეზავის პოზიციაზე ფლუდი მოამზადოს. ასე რომ, „ვილკო“ პირველი ნომერი აღარაა.

## იტალიელებმა კელტთა ლიგაში შეაღწიეს

კელტთა ლიგაში ორი იტალიური კლუბის დაშვების თაობაზე გადაწყვეტილება წლეულს, მარტის დასაწყისში მიიღეს. ეს ფაქტი ევროპული რაგბის განვითარებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.

გათამაშებაში იტალიური რაგბის ფლაგმანი ტრევიზოს „ბენეტონი“ და „ვიადანას“ ბაზაზე შექმნილი „აირონი“ ჩაება, ამ უკანასკნელს ნება დართეს, მორაგბეები სხვა იტალიური კლუბებიდანაც დაიმატოს. ასეა თუ ისე, დღესდღეობით „აირონი“ სატურნირო ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა, „ბენეტონი“ კი მეცხრეზე.

## ფრანგულ-ინგლისური სარაგბო ომი

საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ, პარიზულ „სტად ფრანსესა“ და ინგლისის რაგბის კავშირს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. პარიზელებს ფინანსური პრობლემები მიეძალა და ქვეყნის ჩემპიონატშიც საქმე ცუდად წაუვიდათ. ამიტომ, ვითარება კიდევ უფრო რომ არ გართულებულიყო, მესამეხაზელი **ჯეიმზ ჰესკელი** ინგლისის ნაკრებში არ გაუშვა.

ცხადია, ამას ინგლისური რაგბის მამების მხრიდან საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა. ისინი ჰესკელის დაბლოკვას აპირებდნენ, ანუ სრული უფლება ჰქონდათ IRB-ში ეჩივლათ. შედეგად ჰესკელი „სტად ფრანსეს“ შემადგენლობაშიც ვერ ითამაშებდა. საბოლოოდ საქმე კი ჩაიფარცხა, მაგრამ ინგლისის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, „პომების“ შემადგენლობაში მხოლოდ ინგლისურ კლუბებში მოთამაშე მორაგბეები მიიწვიონ.

## ენაჭარტალა დე ფილიერსი

სამხრეთ ნახევარსფეროში და არა მარტო იქ, 2010 წელი „ოლ ბლექსის“ ჰეგემონიით აღინიშნა. სეზონი ზე 14-ის გათამაშებით დაიწყო, რომელიც ზედიზედ მეორედ და ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ სამხრეთაფრიკულმა პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ მოიგო. წელსვე გადაწყდა, რომ ზე 14-ის გათამაშებას მომავალი წლიდან მე-15 გუნდი, „მელბურნ რებლზი“ დაემატება და ახალი ფორმატით ჩატარდება. შეიცვლება ტურნირის სახელწოდებაც. ამიერიდან ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო შეჯიბრებას ზე რაგბი ეწოდება.

ზე 14-ის გათამაშებისგან განსხვავებით, სამხრეთაფრიკელებმა წარუმატებლად იასპარეზეს სამ ერზე. „ბოკემ“ ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ბოლო ადგილზე გავიდა. სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ამაში მსაჯები, უფრო მეტიც, მსოფლიო რაგბის მმართველები დაადანაშაულა. აქაოდა, „ბოკეს“ შეთქმულება მოუწყვეს და ახალი ზელანდიის ნაკრებს „ქაჩავენო“.

დე ფილიერსის ამ განცხადებით გამოწვეული სკანდალი დიდხანს იყო სპორტული მედიის ყურადღების ცენტრში. ბოლოს, ესეც „მშვიდობიანად“ ჩაიფარცხა. დე ფილიერსი ისევ „ბოკეს“ მწვრთნელია და არც არავინ დაუსჯიათ.

სამი ერის გათამაშება კი ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიგო. „ოლ ბელქსმა“ ნოემბრის ტესტებზეც დაამტკიცა თავისი უძლეველობა და დიდი სლემი შეასრულა. ჰოდა, სავსებით ლოგიკური იყო, წლის საუკეთესო გუნდად ახალი ზელანდიის ნაკრები რომ დაასახელეს, საუკეთესო მოთამაშე კი ამავე ნაკრების კაპიტანი **რიჩი მაკქოუ** გახდა. საუკეთესო მწვრთნელი კი ვინლა უნდა ყოფილიყო, თუ არა „ოლ ბლექსის“ თავკაცი **გრემ ჰენრი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



პიტერ დე ფილიერსი (ბურთით)

msy.gov.ge

● კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ჰოვარდს ვერაფერი დააკლეს

# ორლანდომ გაიღვიძა

როგორც იქნა ათამაშდა „ორლანდო მეჯიქი"! გუშინ „ჯადოქრები" სერიოზულად იყვნენ განწყობილი საბრძოლველად და საკუთარ გულშემატკივრებს საშობაო საჩუქრად თვით რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდთან - „სან ანტონიო სპურსთან" გამარჯვება მიართვეს. სამი მატჩი დასჭირდათ „ორლანდოს" ახალწვეულებს - **ჯეისონ რიჩარდსონს, გილბერტ არენასსა** და **ჰედო თურქოგლუს** მიზნის გასასწორებლად და როგორც კი ეს მოახერხეს, წარმატება მაშინვე მოვიდა. „სან ანტონიომ" მეტოქის შეტევებს მხოლოდ პირველი მეოთხედი გაუძლო და დიდ შესვენებამდე ტეხასელები უკვე ვეღარ ასწრებდნენ „მეჯიქის" სნაიპერთა დანევას. სწორედ ამით იყო გამოწვეული დიდი ანგარიშით მარცხი.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი **დუაიტ ჰოვარდი** გახდა, რომელიც იმ დღეს შეუჩერებელი იყო - „სუპერმენმა" თამაშიდან 13-ჯერ ისროლა და 11 ბურთი მოათავსა კალათში. რა თქმა უნდა, ასეთი თამაში და „სპურსის" დამარცხება „მეჯიქის" გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს, ისიც ცხადი იყო, რომ „სან ანტონიო" სათანადოდ ვერ განეწყო ამ მატჩისთვის, თორემ როდის ყოფილა, რომ **გრეგ პოპოვიჩის**. გუნდი ყოველ მეორე ტყორცნას უშვებდა საკუთარ ფარში. ამიტომაც, „ორლანდოს" რეალურ შესაძლებლობებს საშობაო შეხვედრა გვიჩვენებს - „ჯადოქრები" აღმოსავლეთის ლიდერ „ბოსტონ სელტიქსს" შეხვდებიან, რომელსაც ზედიზედ 14 მოგება აქვს.

იმავეს თქმა შეიძლება „მაიამი ჰიტზე" - ეს გუნდი ორ დღეში კალიფორნიას ეწვევა და მოქმედ ჩემპიონ „ლეიკერსს" შეხვდება. მანამდე კი ფლორიდელებმა **დუეინ უეიდის** გარეშეც უპრობლემოდ დაამარცხეს სტუმრად „ფინიქს სანზი". ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა **ლებრონის** მორიგი შედეგიანი თამაში და **კრის ბოშის** ორმაგი დუბლი. შეხვედრის შუაში „მაიამის" გაქცევის შემდეგ, მეოთხე მეოთხედი ფორმალობად იქცა.

რაც შეეხება „ფინიქსს", „ორლანდოს" მსგავსად მასაც აქვს ახალბედების ადაპტაციის პრობლემა. ასეთი დაბალშედეგიანი „სანზი" კარგა ხანია არ გვინახავს. როგორც ჩანს, შეტევაში უფრო თამამი უნდა ყოფილიყო **სტივ ნეში**, რადგან „ფინიქსში" ბურთის ჩამგდები არ ჩანდა. გამონაკლისი მხოლოდ **ჯარედ დადლია**, რომელმაც 33 ქულა (თამაშიდან - 11/16, საჯარიმოდან - 4/6) დააგროვა.

რაც შეეხება დღის მესამე შეხვედრას, იქ კვლავ გააკვირვა საზოგადოება 165 სანტიმეტრი სიმაღლის მცველმა **ირლ ბოიკინსმა**. ტრავმირებული **ბრენდონ ჯენინგსის** არყოფნაში ვეტერანმა ისევ იტვირთა „მილუოკიში" ლიდერის როლი და თავის გუნდს გაამარჯვებინა, არადა, თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე „ირმები" 69:75-ს აგებდნენ. ბოიკინსმა თავისი 19 ქულიდან ცხრა ბოლო მეოთხედში დააგროვა. შეგახსენებთ, რომ ორი დღით ადრე მინიატურულმა მცველმა 22 ქულა ჩაუგდო მოქმედ ჩემპიონ „ლეიკერსს".

„მილუოკის" გამარჯვებას ხელი შეუწყო „საკრამენტოს" საშინელმა თამაშმა - ამ გუნდმა 25 შეცდომა დაუშვა და ტყორცნების მხოლოდ 36 პროცენტი გამოიყენა.

ახლა NBA ერთდღიან საშობაო არდადეგებს იღებს, რის შემდეგაც ნამდვილი შოუ გველოდება „ლეიკერსი"-"მაიამის" შეხვედრის სახით.

**ორლანდო-სან ანტონიო 123:101**

**28:26, 34:27, 35:23, 26:25**

ო: ჰოვარდი (29+14 მოხსნა), ბასი (17+6 მოხსნა), რედიკი (17), რიჩარდსონი (15), რენასი (14+9 პასი+6 მოხსნა), თურქოგლუ (11+6 პასი), ანდერსონი (10).

ს-ა: პარკერი (16), ნილი (16), დანკანი (12+6 მოხსნა), სპლიტერი (11+5 მოხსნა), ჯინობილი (10+6 პასი+5 მოხსნა), ჯეფერსონი (10+6 მოხსნა), ბონერი (10+6 მოხსნა), ბლეირი (10+5 მოხსნა).

**საკრამენტო-მილუოკი 79:84**

**25:24, 14:19, 25:19, 15:22**

ს: უდრიხი (17+7 მოხსნა+5 პასი), დალემბერი (13+12 მოხსნა), ლენდრი (9+12 მოხსნა).

მ: ბოიკინსი (19), ბოგუტი (15+13 მოხსნა), დულინგი (14+5 პასი), სალმონსი (12+6 პასი).

**ფინიქსი-მაიამი 83:95**

**22:19, 17:26, 20:27, 24:23**

ფ: დადლი (33+12 მოხსნა), ფრაი (14+6 მოხსნა), ლოპესი (12+5 მოხსნა), ნეში (4+18 პასი).

მ: ჯეიმსი (36+6 მოხსნა), ბოში (23+11 მოხსნა), აროიო (11), ჩალმერსი (11).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური

# თითქმის უინტრიგო ტური

A ჯგუფში ბოლო ტური მხოლოდ პირველ ოთხეულში ადგილების გადანაწილებაზე ახდენდა გავლენას. საბოლოოდ ასეც მოხდა: „კახა ლაბორალმა" „პარტიზანის" დამარცხებით „ჟალგირისს" და სერბულ კლუბს გაუსწრო და სავსებით მოულოდნელად და არალოგიკურად დაიკავა ჯგუფში მეორე ადგილი. „ჟალგირისმა" რუსეთში წააგო, არადა, თითქმის განაღდებული ჰქონდა გამარჯვება. მარცხის მიზეზი გახდა **კიტ ლენგფორდის** ბრწყინვალე თამაში - მან 35 ქულა დააგროვა და ჩააგდო ბურთი, რომელმაც თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. რაც შეეხება თელ-ავივის „მაქაბის", აქ თავიდანვე ყველაფერი გასაგები იყო. **ბლატმა** და კომპანიამ იოლად გაიმარჯვა პოლონეთში და აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით - 9 მოგებითა და 1 წაგებით დაასრულა ჯგუფური ეტაპი.

■ ■ ■

B ჯგუფში ინტრიგა პრაქტიკულად არ ყოფილა. სიტუაცია გამოაცოცხლა გერმანიის „ბამბერგმა", რომელმაც გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო „უნიკახასთან" პირველი წრის მატჩში - ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. მაშინ გერმანელები იგებდნენ თამაშს, მაგრამ ბოლო მომენტში გაფლანგეს უპირატესობა. ამჯერად საპირისპირო სიტუაცია მივიღეთ. თუმცა მალაგელებისთვის ეს წაგება კატასტროფული არ ყოფილა - მათ შეინარჩუნეს მესამე ადგილი და მეორე ეტაპზე ითამაშებენ.

პირველ წრეში „რეალმა" ბელგიაში 49 ქულა დააგროვა, ახლა „შარლერუამ" წაილო მადრიდიდან 45 ქულა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიჭიერი **ნიკოლა მიროტიჩი**, რომელმაც თავისი ასაკის შესაბამისად 19 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

C ჯგუფი ერთადერთი იყო, სადაც მართლა არსებობდა ინტრიგა. სხვებზე უკეთეს მდგომარეობაში „ლეტუვოს რიტასი" იყო, რომელიც უიმედო აუტსაიდერ „ციბონას" ხვდებოდა. ლიტველთა გრძელმა სათადარიგოთა სკამმა და სწორმა როტაციამ თავისი გააკეთა და „რიტასმა" დაგეგმილი მოგება ჩაიწერა აქტივში. გარდა ამისა, თითქმის არავის სჯეროდა, რომ „შოლე" ფენერბაჰჩეს" მოუგებდა. საბოლოოდ, ფრანგებმა 30 ქულა წააგეს და დაასრულეს ევროლიგაზე გამოსვლა. ყველაფერი ორი კვირის წინ გადაწყდა, როცა ლიტველებმა „შოლე" 12 ქულით დაამარცხეს და პირველ წრეში 8 ქულით წაგება გადაფარეს. ტურის ცენტრალურ მატჩში „ბარსელონა" და „მონტეპასკი" მოედანზე დადიოდნენ, თუმცა ესპანურმა კლუბმა უკეთესად ჩაატარა მატჩის დასკვნითი ნაწილი, ბოლოს კი ყველაფერი **რუბიოს** ფარქვეშ შესვლამ გადაწყვიტა. მან გადამწყვეტი სროლა ჩააგდო, „მონტეპასკიმ" კი ვერ შეძლო შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა.

■ ■ ■

D ჯგუფის მატჩები ოთხშაბათს გაიმართა და აქაც ფორმალურად ინტრიგა არსებობდა: რთული დასაჯერებელი იყო ათენში „მილანის" გამარჯვება. იტალიელებმა წააგეს, შესაბამისად, „ვალენსიას" შეეძლო თავი არ მოეკლა „ოლიმპიასთან" მატჩში, მაგრამ სერბმა **დუშკო სავანოვიჩმა** თავისი ყოფილი თანამემამულეების განზილების შანსი ხელიდან არ გაუშვა. 1.3 წამით ადრე მისმა ზუსტმა სამქულიანმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრას. მოულოდნელმა აუტსაიდერმა მოსკოვის ცსკა-მ კარი გაიჯახუნა - არამოტივირებული „ეფეს პილსენი" საკუთარ მოედანზე დაამარცხა.

### ტურის მოთამაშე

ევროლიგამ მეათე ტურის საუკეთესო მოთამაშედ რუსეთის „ხიმკის" მცველი კიტ ლენგფორდი დაასახელა. „ჟალგირისთან" მოგებულ მატჩში (93:89 ო) ამერიკელმა 35 ქულა, 8 მოხსნა, 4 შედეგიანი პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა. გარდა ამისა, მეტოქე კალათბურთელები ლენგფორდზე 15-ჯერ დაჯარიმდნენ. საბოლოოდ, კიტის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 35 ქულა შეადგინა.

მეათე ტურის საუკეთესო კალათბურთელებში მოხვდნენ: **სოფოკლის შორცანიდისი** („ოლიმპიაკოსი"), **ბოიან ბოგდანოვიჩი** („ციბონა"), **კევინ პინკნი** („ოლიმპია") და **ჰალიდ ელ ამინი** („ლეტუვოს რიტასი").

**A ჯგუფი**

**კ.ლაბორალი-პარტიზანი 87:71**

**21:16, 20:14, 28:19, 18:22**

კ-ლ: ტელეტოვიჩი (17+6 მოხსნა), სან ემეტერიო (14), ოლესონი (14+7 მოხსნა), სოუ (13+5 მოხსნა), ბარაცი (11).

პ: ვესელი (17), ჯავაი (13+4 დაფარება), გისტი (11+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ხიმკი-ჟალგირისი 93:89 (ო)**

**22:23, 20:25, 19:15, 20:18, 12:8**

ხ: ლენგფორდი (35+8 მოხსნა+4 პასი), ლოპესი (14), ლონჩარი (13+9 მოხსნა), მონია (10), პლანინჩიჩი (8+7 პასი+4 ჩაჭრა).

ჟ: კალნეიტისი (24), პოჩიუსი (13), იანკუნასი (9+11 მოხსნა).

**პროკომი-მაკაბი 72:83**

**11:25, 18:27, 28:15, 15:16**

პ: ვიდენოვი (20+6 მოხსნა), იაგლა (13+9 მოხსნა), შეტკა (11).

მ: შორცანიდისი (23+7 მოხსნა), ეიდსონი (13+6 პასი+4 ჩაჭრა), ბლუ (12+5 მოხსნა).

| | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 9 | 1 | 799-700 |
| 2. კახა ლაბორალი | 5 | 5 | 809-784 |
| 3. ჟალგირისი | 5 | 5 | 762-765 |
| 4. პარტიზანი | 5 | 5 | 658-717 |
| 5. ხიმკი | 4 | 6 | 764-753 |
| 6. პროკომი | 2 | 8 | 689-762 |

**B ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-რომა 89:82**

**22:22, 23:17, 19:14, 25:29**

ო: სპანულისი (18+4 პასი+3 ჩაჭრა), ბურუსისი (15+6 მოხსნა), ტეოდოშიჩი (16+4 პასი), ნესტეროვიჩი (14+6 მოხსნა).

რ: ტრაორე (22+6 მოხსნა), ჯედოვიჩი (16), ვაშინგტონი (16), დატომე (14).

**რეალი-შარლერუა 94:45**

**29:16, 17:13, 22:12, 26:4**

რ: მიროტიჩი (19+6 მოხსნა), ფიშერი (12+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), როდრიგესი (12+5 პასი).

შ: ბროილსი (12+3 ჩაჭრა).

**უნიკახა-ბამბერგი 70:72**

**26:16, 14:16, 13:11, 17:29**

უ: არჩიბალდი (15+6 მოხსნა), ფრილენდი (10).

ბ: პაველი (13), რობერტსი (12+7 პასი), სუპუტი (12).

| | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 7 | 3 | 805-730 |
| 2. რეალი | 6 | 4 | 734-664 |
| 3. უნიკახა | 5 | 5 | 749-759 |
| 4. რომა | 5 | 5 | 735-770 |
| 5. ბამბერგი | 4 | 6 | 714-739 |
| 6. შარლერუა | 3 | 7 | 691-766 |

**C ჯგუფი**

**ბარსელონა-მონტეპასკი 73:72**

**13:17, 18:20, 25:18, 17:17**

ბ: ვასკესი (13+7 მოხსნა), გრიმაუ (12+5 მოხსნა).

მ: მაკალები (20), რაკოვიჩი (10+7 მოხსნა).

**ფენერბაჰჩე-შოლე 93:61**

**16:16, 22:14, 21:13, 34:18**

ფ: ლავრინოვიჩი (18), ფექერი (13), პრელძიჩი (11+11 პასი), თურქანი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

შ: მეჰია (17+5 მოხსნა).

**ციბონა-ლ. რიტასი 77:94**

**20:21, 17:23, 27:23, 13:27**

ც: ბოგდანოვიჩი (28+4 ჩაჭრა), ზუბჩიჩი (17+8 მოხსნა), სტიპჩევიჩი (12+4 პასი), ლალიჩი (10).

ლ-რ: ბაირამოვიჩი (22+9 მოხსნა), ელ ამინი (20+6 მოხსნა+5 პასი), იასიკიავიჩუსი (13), ბაბრაუსკასი (11), გეჩევიჩუსი (10+5 მოხსნა).

| | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 8 | 2 | 787-661 |
| 2. ფენერბაჰჩე | 7 | 3 | 795-723 |
| 3. ბარსელონა | 7 | 3 | 766-709 |
| 4. ლ. რიტასი | 4 | 6 | 779-784 |
| 5. შოლე | 4 | 6 | 705-774 |
| 6. ციბონა | 0 | 10 | 677-858 |

**D ჯგუფი**

**ვალენსია-ოლიმპია 78:77**

**29:17, 7:21, 18:16, 24:23**

ვ: კუკი (14+4 პასი), მარტინესი (14), სავანოვიჩი (14), იავტოკასი (10+5 მოხსნა).

ო: პინკნი (27+9 მოხსნა), გრეგორი (21+7 მოხსნა+6 პასი), ილიევსკი (10+4 პასი).

**ცსკა-ეფესი 78:69**

**22:17, 15:8, 21:22, 20:22**

ც: გორდონი (18+7 მოხსნა), ვორონცევიჩი (17+7 მოხსნა), სოკოლოვი (11).

ე: რაკოჩევიჩი (15), ტორნტონი (14+8 მოხსნა), დადლი (10+6 მოხსნა).

**პანათინაიკოსი-მილანი 93:62**

**24:15, 22:17, 21:14, 26:16**

პ: პერპეროგლუ (14), კაიმაკოგლუ (12+10 მოხსნა), ფოცისი (11), ვუგიაკისი (11), სატო (10+5 მოხსნა).

მ: ფინლი (13), ჰოუკინსი (12+5 პასი), ჯააბერი (11+5 პასი).

| | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 7 | 3 | 802-703 |
| 2. ოლიმპია | 6 | 4 | 789-783 |
| 3. ეფესი | 5 | 5 | 756-768 |
| 4. ვალენსია | 5 | 5 | 689-695 |
| 5. მილანი | 4 | 6 | 737-766 |
| 6. ცსკა | 3 | 7 | 683-741 |

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი. იანვრის კალენდარი

**1 იანვარი**
ჩიკაგო-კლივლენდი
ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი
მაიამი-გ. სტეიტი
მინესოტა-ნიუ ჯერსი
სან ანტონიო-ოკლაჰომა
დენვერი-საკრამენტო
მილუოკი-დალასი
იუტა-მემფისი

**2 იანვარი**
ნიუ იორკი-ინდიანა
კლიპერსი-ატლანტა
ტორონტო-ბოსტონი
კლივლენდი-დალასი
პორტლენდი-ჰიუსტონი
საკრამენტო-ფინიქსი
ლეიკერსი-მემფისი

**3 იანვარი**
ორლანდო-გ. სტეიტი
შარლოტი-მაიამი
ბოსტონი-მინესოტა
ნიუ ორლეანი-ფილადელფია
დენვერი-ჰიუსტონი
იუტა-დეტროიტი

**4 იანვარი**
მაიამი-მილუოკი
ნიუ იორკი-სან ანტონიო
ჩიკაგო-ტორონტო
მემფისი-ოკლაჰომა
დალასი-პორტლენდი
საკრამენტო-ატლანტა
ლეიკერსი-დეტროიტი

**5 იანვარი**
კლივლენდი-ტორონტო
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
ორლანდო-მილუოკი
ფილადელფია-ვაშინგტონი
ბოსტონი-სან ანტონიო
ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი
მინესოტა-შარლოტი
ჰიუსტონი-პორტლენდი
იუტა-ატლანტა
კლიპერსი-დენვერი
ფინიქსი-ლეიკერსი

**6 იანვარი**
დალასი-ოკლაჰომა
საკრამენტო-დენვერი

**7 იანვარი**
ინდიანა-სან ანტონიო
ფილადელფია-ჩიკაგო
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
ბოსტონი-ტორონტო
მინესოტა-პორტლენდი
ორლანდო-ჰიუსტონი
მემფისი-იუტა
მილუოკი-მაიამი
გ. სტეიტი-კლივლენდი
ლეიკერსი-ნიუ ორლეანი
ფინიქსი-ნიუ იორკი

**8 იანვარი**
ატლანტა-ინდიანა
ნიუ ჯერსი-მილუოკი
შარლოტი-ვაშინგტონი
დეტროიტი-ფილადელფია
ჩიკაგო-ბოსტონი
ოკლაჰომა-მემფისი
დალასი-ორლანდო
ჰიუსტონი-იუტა

**9 იანვარი**
ტორონტო-საკრამენტო
კლიპერსი-გ. სტეიტი
სან ანტონიო-მინესოტა
ფინიქსი-კლივლენდი
დენვერი-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-მაიამი
ლეიკერსი-ნიუ იორკი

**10 იანვარი**
შარლოტი-მემფისი
ბოსტონი-ჰიუსტონი
ჩიკაგო-დეტროიტი

**11 იანვარი**
ატლანტა-მილუოკი
ფილადელფია-ინდიანა
ვაშინგტონი-საკრამენტო
მინესოტა-სან ანტონიო
დენვერი-ფინიქსი
პორტლენდი-ნიუ იორკი
ლეიკერსი-კლივლენდი

**12 იანვარი**
ინდიანა-დალასი
ტორონტო-ატლანტა
შარლოტი-ჩიკაგო
ბოსტონი-საკრამენტო
დეტროიტი-მემფისი
ნიუ ორლეანი-ორლანდო
მილუოკი-სან ანტონიო
ჰიუსტონი-ოკლაჰომა
ფინიქსი-ნიუ ჯერსი
იუტა-ნიუ იორკი
გ. სტეიტი-ლეიკერსი
კლიპერსი-მაიამი

**13 იანვარი**
მინესოტა-ვაშინგტონი
ოკლაჰომა-ორლანდო
დენვერი-მაიამი

**14 იანვარი**
ინდიანა-ჩიკაგო
ფილადელფია-მილუოკი
ტორონტო-დეტროიტი
ბოსტონი-შარლოტი
ნიუ იორკი-საკრამენტო
სან ანტონიო-დალასი
ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი
იუტა-კლივლენდი
გ. სტეიტი-კლიპერსი
ლეიკერსი-ნიუ ჯერსი
ფინიქსი-პორტლენდი

**15 იანვარი**
ატლანტა-ჰიუსტონი
ვაშინგტონი-ტორონტო
შარლოტი-ნიუ ორლეანი
დეტროიტი-საკრამენტო
ჩიკაგო-მაიამი
მინესოტა-ორლანდო
მემფისი-დალასი
დენვერი-კლივლენდი
პორტლენდი-ნიუ ჯერსი

**16 იანვარი**
კლიპერსი-ლეიკერსი
სან ანტონიო-დენვერი

**17 იანვარი**
ნიუ იორკი-ფინიქსი
ვაშინგტონი-იუტა
მემფისი-ჩიკაგო
ფილადელფია-შარლოტი
ნიუ ორლეანი-ტორონტო
ჰიუსტონი-მილუოკი
დეტროიტი-დალასი
კლიპერსი-ინდიანა
ატლანტა-საკრამენტო
გ. სტეიტი-ნიუ ჯერსი
ბოსტონი-ორლანდო
პორტლენდი-მინესოტა
ლეიკერსი-ოკლაჰომა

**18 იანვარი**
მაიამი-ატლანტა
ჩიკაგო-შარლოტი

**19 იანვარი**
კლივლენდი-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-იუტა
ორლანდო-ფილადელფია
ბოსტონი-დეტროიტი
ნიუ ორლეანი-მემფისი
მილუოკი-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-ნიუ იორკი
სან ანტონიო-პორტლენდი
დალასი-ლეიკერსი
დენვერი-ოკლაჰომა
საკრამენტო-პორტლენდი
გ. სტეიტი-ინდიანა
კლიპერსი-მინესოტა

**20 იანვარი**
შარლოტი-ფილადელფია
ჩიკაგო-დალასი
პორტლენდი-კლიპერსი

**21 იანვარი**
ნიუ ჯერსი-დეტროიტი
ორლანდო-ტორონტო
ატლანტა-ნიუ ორლეანი
ბოსტონი-იუტა
კლივლენდი-მილუოკი
ვაშინგტონი-ფინიქსი
მემფისი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-ნიუ იორკი
დენვერი-ლეიკერსი
გ. სტეიტი-საკრამენტო

**22 იანვარი**
ნიუ ჯერსი-დალასი
ვაშინგტონი-ბოსტონი
შარლოტი-ატლანტა
დეტროიტი-ფინიქსი
მაიამი-ტორონტო
ფილადელფია-იუტა
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო
ჩიკაგო-კლივლენდი
ოკლაჰომა-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-ორლანდო
მილუოკი-მემფისი
პორტლენდი-ინდიანა
კლიპერსი-გ. სტეიტი

**23 იანვარი**
დენვერი-ინდიანა

**24 იანვარი**
ნიუ ჯერსი-კლივლენდი
ორლანდო-დეტროიტი
ფილადელფია-ფინიქსი
ტორონტო-მემფისი
ნიუ იორკი-ვაშინგტონი
ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა
ჩიკაგო-მილუოკი
მინესოტა-ჰიუსტონი
პორტლენდი-საკრამენტო
გ. სტეიტი-სან ანტონიო

**25 იანვარი**
ვაშინგტონი-დენვერი
ბოსტონი-კლივლენდი
დალასი-კლიპერსი
საკრამენტო-შარლოტი
ლეიკერსი-იუტა

**26 იანვარი**
ინდიანა-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-მემფისი
ტორონტო-მილუოკი
ატლანტა-ნიუ იორკი
კლივლენდი-დენვერი
მაიამი-დეტროიტი
ჩიკაგო-ორლანდო
ოკლაჰომა-ვაშინგტონი
იუტა-მინესოტა
გ. სტეიტი-შარლოტი
ლეიკერსი-საკრამენტო
ფინიქსი-ბოსტონი

**27 იანვარი**
ნიუ იორკი-მაიამი
დალასი-ჰიუსტონი
პორტლენდი-ბოსტონი

**28 იანვარი**
ინდიანა-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-მემფისი
ტორონტო-მილუოკი
ატლანტა-ნიუ იორკი
კლივლენდი-დენვერი
მაიამი-დეტროიტი
ჩიკაგო-ორლანდო
ოკლაჰომა-ვაშინგტონი
იუტა-მინესოტა
გ. სტეიტი-შარლოტი
ლეიკერსი-საკრამენტო
ფინიქსი-ბოსტონი

**29 იანვარი**
ჩიკაგო-ინდიანა
მინესოტა-ტორონტო
მემფისი-ვაშინგტონი
დალასი-ატლანტა
მილუოკი-ნიუ ჯერსი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
საკრამენტო-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-შარლოტი

**30 იანვარი**
ოკლაჰომა-მაიამი
ლეიკერსი-ბოსტონი
ორლანდო-კლივლენდი
ფილადელფია-დენვერი
ნიუ იორკი-დეტროიტი
ფინიქსი-ნიუ ორლეანი
გ. სტეიტი-იუტა

**31 იანვარი**
ინდიანა-ტორონტო
ნიუ ჯერსი-დენვერი
მაიამი-კლივლენდი
მემფისი-ორლანდო
დალასი-ვაშინგტონი
იუტა-შარლოტი
კლიპერსი-მილუოკი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კროსბიმ ოვეჩკინს მოუგო



პიტსბურგმა კლასიკა მოიგო

რეგულარული ჩემპიონატის გუშინდელ მატჩში ბოლო წლების კლასიკური დაპირისპირება შედგა - „ვაშინგტონი“ „პიტსბურგის“ წინააღმდეგ, უფრო სწორად, **ალექსანდრ ოვეჩკინი სიდნი კროსბის** წინააღმდეგ.

იანვრის პირველ დღეს გაიმართება ტრადიციული - Winter Classic (თამაში ღია ცის ქვეშ), რომელშიც სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს, მანამდე კი საშობაო დღესასწაულის წინ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის რეპეტიცია გაიმართა.

გუშინდელ მატჩს გუნდები სხვადასხვა განწყობითა და სტატისტიკით შეხვდნენ. ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში „პიტსბურგმა“ ლიგაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, „კეპიტალზმა“ კი სულ ცოტა ხნის წინ შეწყვიტა 7-მატჩიანი წაგებათა სერია.

ცალკე ისტორიაა „ვაშინგტონის“ ლიდერი და კაპიტანი ალექსანდრ ოვეჩკინი. ეს სეზონი რუს ვარსკვლავს აშკარად არ გამოსდის. NHL-ში მისი მთავარი კონკურენტი სიდნი კროსბი კი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ბომბარდირთა დავაში ოვეჩკინი მას 20 ქულით ჩამორჩება. ამასთან, „პიტსბურგის“ კაპიტანი უკვე 23 მატჩია უქულოდ არ ტოვებს მოედანს (გუშინ მან გოლი და შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში) და ამ დროის განმავლობაში 23 გოლი და 22 პასი მიითვალა.

ამ სტატისტიკასთან ოვეჩკინი ახლოსაც ვერ მივა. რუსს ბოლო 17 მატჩში მხოლოდ 2 (!) შაიბა აქვს გატანილი, ხოლო მისი „მშრალი“ სერია უკვე შვიდ მატჩამდე ავიდა. თუმცა ვაშინგტონელი „პიტსბურგის“ წინააღმდეგ ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაციით თამაშობდა - ამ გუნდის წინააღმდეგ 15 მატჩში მან 19 გოლი შეაგდო და 11 შედეგიანი პასი შეასრულა.

„პინგვინებთან“ მორიგი შეხვედრაც ოვეჩკინმა ისე დაიწყო, რომ წესით „მტრის“ კარში საიუბილეო მე-20 შაიბა გარდაუვალი იქნებოდა. რუსმა ფორვარდმა პირველ პერიოდში იმდენჯერ დაარტყა **მარკ-ანდრე ფლერის** კარში, რამდენჯერაც „პიტსბურგის“ ერთად აღებულმა ყველა მოთამაშემ.

თუმცა ამ გასროლებიდან სარგებლობა ნულის ტოლი იყო, ფლერისთვის კი კარგი ვარჯიში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, სტუმრების მარგი ქმედების კოეფიციენტი აღმოჩნდა მაღალი - „პინგვინებმა“ სულ ექვსჯერ დაარტყეს ზუსტად და ერთი გოლი გაიტანეს. ოვეჩკინის გულის გასახეთქად, პირველი შაიბის ავტორი კროსბი გახდა.

ამ გოლმა „ვაშინგტონი“ ძალიან გააბრაზა და მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს ფლერის კართან, თუმცა მხოლოდ მეორე პერიოდის შუაში გაათანაბრეს ანგარიში. რიცხობრივ უპირატესობაში **მაიკ გრინმა** გამოიჩინა თავი. რაც შეეხება ოვეჩკინს, მეორე 20-წუთეულში ის პასიური იყო - არც ერთი ზუსტი დარტყმა არ ჰქონია.

მესამე პერიოდი წინა ორს არ ჰგავდა. ყინულზე უკვე „პიტსბურგი“ დომინირებდა და სტუმრებმა მე-17 წამზე ისევ მოახერხეს წინ გასვლა. ამჯერად კროსბიმ ვერ გაიტანა, მაგრამ ასისტენტის როლში მოგვევლინა (ამის წყალობით სიდნის ბომბარდირთა სიაში 60 ქულა გაუხდა და უკონკურენციოდაა). თითქოს „პინგვინებს“ იოლად უნდა მიეყვანათ საქმე გამარჯვებამდე, რადგან მათი უპირატესობა ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე 5 წუთით ადრე „პიტსბურგი“ რიცხობრივ უპირატესობაში თამაშისას შეცდა და **ნუბლმა** ანგარიში გაათანაბრა.

ოვერტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და ყველაფერი ბულიტების სერიაში გადაწყდა. აქ ოვეჩკინმა, როგორც იქნა, გამოიჩინა თავი, მაგრამ მის ზუსტ პენალტს **ლეტანგმა** უპასუხა, ბოლოს კი სტუმრებს გამარჯვება **დუპუიმ** მოუტანა.

### ბოსტონი-ატლანტა 4:1

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-7, 2:0 რაიდერი-10 (პ. ბერჟერონი-14, საიდენბერგი-10), 3:0 შ. ტორნტონი-6 (მაკკუაიდი-3, პეი-2), 3:1 ბიფულინი-13 (ე. კეინი-12, ლიტლი-9), 4:1 შ. ტორნტონი-7 (პეი-3, გ. კემპბელი-5).

### ბაფალო-ფლორიდა 3:4

0:3, 3:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰიგინსი-4 (დადონოვი-5), 0:2 ვეისი-10 (ფროლიკი-13, მაკეიბი-14), 0:3 ჰიგინსი-5 (ვეისი-12, დადონოვი-6), 1:3 ლეოპოლდი-8 (პომინვილი-7, ჰეხტი-7), 2:3 პომინვილი-6 (მიერსი-9, სეკერა-9), 3:3 ლეოპოლდი-9 (მიერსი-10), 3:4 გარისონი-2.

### კაროლინა-მონრეალი 2:3

0:0, 2:3, 0:0

**გოლები:** 1:0 ლაროუზი-7 (რ. კარტერი-5, გლისონი-5), 1:1 გომესი-5 (ჰამრლიკი-13, შპაჩეკი-10), 2:1 კოული-7 (ე. სტაალი-18), 2:2 ა. კოსტიცინი-10 (პლეკანეცი-19, კამალერი-14), 2:3 პიკარი-3 (გომესი-12, შპაჩეკი-11).

### კოლამბუსი-ვანკუვერი 3:7

0:3, 1:3, 2:1

**გოლები:** 0:1 ბაროუზი-7 (ჰ. სედინი-33, დ. სედინი-24), 0:2 ერჰოფი-6 (ჰ. სედინი-34, ბაროუზი-7), 0:3 ტორესი-9 (ალბერტსი-5), 0:4 დ. სედინი-18 (ედლერი-19, ჰ. სედინი-35), 0:5 კესლერი-17 (ჰანსენი-7, ტამბელინი-6), 0:6 ჰ. სედინი-8 (დ. სედინი-25, ბაროუზი-8), 1:6 უმბერგერი-9 (ვერმეტი-10), 1:7 ტორესი-10 (ჰამჰუისი-6, სამუელსონი-16), 2:7 უმბერგერი-10 (ვორაჩეკი-14), 3:7 სესტიტო-2 (რასელი-5, კ. უილსონი-7).

### ნიუ ჯერსი-აილენდერსი 1:5

0:3, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ბეილი-4, 0:2 ბეილი-5 (ენდრიუ მაკდონალდი-5, კომო-12), 0:3 ტავარესი-10 (ჰმონიკი-3, პარენტო-12), 1:3 ზაიაცი-4 (ელიაში-17, ლანგენბრუნერი-10), 1:4 ნილსენი-5 (ბეილი-4), 1:5 კომო-7 (შრემპი-6, ვიშნიევსკი-17).

### რეინჯერსი-ტამპა ბეი 3:4 (ბ)

2:2, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სენტ ლუისი-14, 1:1 ფედოტენკო-6 (ბ. ბოილი-6), 2:1 ფროლოვი-7 (ანისიმოვი-10, დრური-2), 2:2 სტემკოსი-27 (სენტ ლუისი-31), 2:3 ლეკავალიე-4 (კუბინა-9, ბ. კლარკი-9), 3:3 სტეპანი-10 (დუბინსკი-14, გილროი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** კრისტენსენი (რეინჯერსი), ჰედმანი (ტამპა ბეი), ა. ჰოლი (ტამპა ბეი), ცუკარელო (რეინჯერსი), მელოუნი (ტამპა ბეი).

### ვაშინგტონი-პიტსბურგი 2:3 (ბ)

0:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 კროსბი-29 (ლეტანგი-25, მალკინი-19), 1:1 მ. გრინი-6 (სიომინი-16, ბექსტრიომი-24), 1:2 კუნიტცი-9 (კროსბი-31, მარტინი-12), 2:2 ნუბლი-8 (ლეიჩი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ლეტანგი (პიტსბურგი), დუპუი (პიტსბურგი).

### ნეშვილი-ოტავა 1:2

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კოვალიოვი-8 (რეგინი-10), 0:2 ფოლინო-4 (მ. მიხალეკი-6, კუბა-4), 1:2 გოკი-7 (ფრანსონი-9).

### სენტ ლუისი-დეტროიტი 4:3

3:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ე. ჯონსონი-2 (სობოტკა-10, ბოიესი-10), 1:1 ფრანცენი-15 (ზეტერბერგი-25, რაფალსკი-22), 2:1 ბერგლუნდი-7 (სტინი-12, კრომბინი-5), 3:1 ბერგლუნდი-8 (კოლაიაკოვო-11, ბეკსი-18), 4:1 დ'აგოსტინი-8 (ბეკსი-19, ბრიუერი-3), 4:2 ლიდსტრიომი-9 (ზეტერბერგი-26, რაფალსკი-23), 4:3 ივსი-8 (ჰელმი-7, დრეიპერი-1).

### დალასი-კალგარი 2:3 (ბ)

1:1, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბაბჩუკი-5 (ბოუმისტერი-9, ბ. მორისონი-15), 1:1 რიბეირო-6 (ლ. ერიქსონი-22, ბ. რიჩარდსი-24), 2:1 მოროუ-13 (რიბეირო-23, ბენი-12), 2:2 ტანგეი-10 (იგინლა-19, ბურკი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ტანგეი (კალგარი).

### კოლორადო-მინესოტა 1:3

1:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კულენი-7 (კლატერბეკი-5), 1:1 დ. ჯონსი-12 (იიპი-7, ჰანვიკი-4), 1:2 კულენი-8 (ზიდლიცკი-14), 1:3 ბრუნეტი-7 (კულენი-14, მიეტინენი-9).

### ლოს ანჯელესი-ედმონტონი 3:2 (ბ)

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ტ. ჰოლი-11 (სემ განიე-14, რაიან უიტნი-25), 1:1 ჯასტინ უილიამსი-13 (ჰანძუში-8, ჯ. ჯონსონი-19), 1:2 ჟაკი-1 (პეკჰემი-5, სტორტინი-3), 2:2 ჯ. ჯონსონი-3 (სიმონდსი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ებერლე (ედმონტონი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), სტოლი (ლოს ანჯელესი).

### სან ხოსე-ფინიქსი 4:1

0:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-5 (იენდლი-17, დოუნი-12), 1:1 დ. ბოილი-5 (მარლო-15, პაველსკი-17), 2:1 ჯ. ტორნტონი-8 (ჰიტლი-18, პაველსკი-18), 3:1 მარლო-12 (ჯ. ტორნტონი-23, დ. მიურეი-5), 4:1 მარლო-13 (ჯ. ტორნტონი-24, დემერსი-9).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **თურქეთი** | |
| ოიაქი-გალათასარაი | 72:90 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სიბირი-ამური | 1:0 |
| დინამო (რ)-ბარისი | 0:4 |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილ. | 6:3 |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 4:2 |
| ტრაქტორი-ნეფტიხიმიკი | 4:2 |
| ცსკა-ავანგარდი | 5:4 (ბ) |
| დინამო (მნ)-იუგრა | 2:3 (ბ) |
| **ბელარუსი** | |
| შახტარი-იუნოსტი | 3:4 (ო) |
| ხიმვოლოკნო-ლიეპაიასი | 1:2 |
| ნემანი-გომელი | 4:2 |
| ბრესტი-სოკილი | 2:1 (ბ) |
| მეტალურგი-ვიტებსკი | 2:1 |
| შინიკი-ხიმიკი | 4:1 |

## ამბები

**კალათბურთი**

### მაიოს ხულიგანი მამა

„მემფის გრიზლისის“ კალათბურთელის **ო ჯეი მაიოს** მამა მკვლელობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. ხუთშაბათს დილით, **კენეტ მორის ციგლერ ოფ ჰარინგტონმა** საკუთარი მანქანის მართვისას ყურადღება არ მიაქცია პოლიციის ბრძანებას და მოძრაობა გააგრძელა. გამოდევნების დროს ო ჯეის მამა პოლიციელს დაეჯახა, რომელმაც რამდენიმე მეტრი იფრინა.

ციგლერ ოფ ჰარინგტონის მანქანის შეჩერება მხოლოდ გზაზე სპეციალურად გადებული ბარიერების მეშვეობით მოხერხდა. მაიოს მამას უკვე წაუყენეს რამდენიმე ბრალდება: მკვლელობის მცდელობა, ნარკოტიკის შენახვა (მანქანაში მას მარიხუანა და კოკაინი აღმოუჩინეს), გაქცევის მცდელობა და სხვა დარღვევები.

**ველოსპორტი**

### ამერიკელები გაძლიერდნენ

ამერიკულმა საჯინიბო RadioShack-მა ორი მრბოლელით გააძლიერა შემადგენლობა. ამ გუნდის რიგებში 2011 წელს ავსტრალიელი **რობი მაკიუენი** და სამხრეთაფრიკელი **როი ჰანტერი** გამოვლენ.

ორივენი Pegasus-ის წევრები იყვნენ, რომელსაც ორი დღის წინ ველომრბოლთა საერთაშორისო ასოციაციამ ლიცენზია არ გაუგრძელა. ამის გამო, 38 წლის მაკიუენი კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ ახლა მოხარულია, რომ პროფესიული ტურის ერთ-ერთ უძლიერეს და ამბიციურ გუნდს შეუერთდა.

**მძლეოსნობა**

### ჩემპიონი ბრალდებას არ ეთანხმება

ცნობილი ესპანელი მძლეოსანი, 3000 მეტრზე სტიპლჩეზში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **მარტა დომინგესი** უარყოფს დოპინგის გამოყენებას. მან ეს განცხადება სასამართლო სხდომაზე გააკეთა.

*„უდანაშაულო ვარ და ტურნირებს მაშინ დავუბრუნდები, როცა ბავშვის დაბადების შემდეგ ოპტიმალურ კონდიციებს დავიბრუნებ“*, - განაცხადა 35 წლის სპორტსმენმა.

ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, თუ დომინგესს ბრალი დაუმტკიცდა, მაშინ მას ბოლო წლებში მოპოვებულ ყველა მედალსა და ტიტულს ჩამოართმევენ და ჰონორარებსაც უკან დააბრუნებინებენ.

**კრივი**

### არუმმა და კინგმა მოილაპარაკეს

ცნობილმა საკრივო პრომოუტერებმა - **ბობ არუმმა** და **დონ კინგმა** თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 12 მარტს ლას ვეგასში საინტერესო საკრივო ორთაბრძოლა ჩატარდება - ნახევრად საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდებიან **რიკარდო მაიორგა** და **მიგელ კოტო**.

37 წლის მაიორგამ დიდ რინგზე დაბრუნების შემდეგ პირველი ბრძოლა 17 დეკემბერს ჩაატარა და მეცხრე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა **მაიკ უოკერი**. კოტოს ივლისის შემდეგ არ უჩხუბია - მაშინ მან **იური ფორმანს** მოუგო.

**ჩოგბურთი**

### ბონდარენკო ავსტრალიაში ვერ მიდის

უკრაინის პირველი ნომერი **ალიონა ბონდარენკო** მონაწილეობას ვერ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობაზე. რამდენიმე დღის წინ ჩოგბურთელმა ტრავმირებულ მუხლზე მეორე ოპერაცია გაიკეთა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი გასტანს აღდგენითი კურსი.

ასე რომ, ბონდარენკო 2011 წლის დასაწყისში მნიშვნელოვნად დაქვეითდება რეიტინგში, რადგან ვერ დაიცავს 2010 წელს ჰობარტის ტურნირში მოგებისთვის და ავსტრალიის ღია პირველობაზე მერვედფინალში გასვლისთვის მოპოვებულ ქულებს.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. იანვრის კალენდარი

**1 იანვარი**
პიტსბურგი-ვაშინგტონი
ბაფალო-ბოსტონი
კაროლინა-ნიუ ჯერსი
ოტავა-ტორონტო
ტამპა ბეი-რეინჯერსი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე
ედმონტონი-კალგარი

**2 იანვარი**
მონრეალი-ატლანტა
დეტროიტი-ფილადელფია
ფლორიდა-რეინჯერსი
მინესოტა-ფინიქსი
ნეშვილი-კოლამბუსი
სენტ ლუისი-დალასი
ანაჰაიმი-ჩიკაგო
კოლორადო-ვანკუვერი

**3 იანვარი**
კაროლინა-ფლორიდა
ტორონტო-ბოსტონი
კალგარი-აილენდერსი
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
სან ხოსე-ვანკუვერი

**4 იანვარი**
ნიუ ჯერსი-მინესოტა
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
კოლორადო-ბაფალო
ედმონტონი-დეტროიტი
ფინიქსი-კოლამბუსი

**5 იანვარი**
რეინჯერსი-კაროლინა
პიტსბურგი-ტამპა ბეი
ფლორიდა-ატლანტა
ჩიკაგო-დალასი
ანაჰაიმი-ნეშვილი
ვანკუვერი-კალგარი

**6 იანვარი**
ბოსტონი-მინესოტა
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ტორონტო-სენტ ლუისი
მონრეალი-პიტსბურგი
კოლორადო-ფინიქსი
ედმონტონი-აილენდერსი
ლოს ანჯელესი-ნეშვილი
სან ხოსე-ბაფალო

**7 იანვარი**
ატლანტა-ტორონტო
ფლორიდა-კაროლინა
ჩიკაგო-ოტავა
დალასი-რეინჯერსი
კალგარი-დეტროიტი
ანაჰაიმი-კოლამბუსი
ვანკუვერი-ედმონტონი

**8 იანვარი**
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
კოლორადო-აილენდერსი
მონრეალი-ბოსტონი
ოტავა-ტამპა ბეი
პიტსბურგი-მინესოტა
ვაშინგტონი-ფლორიდა
ფინიქსი-ბაფალო
სან ხოსე-ნეშვილი
სენტ ლუისი-რეინჯერსი
ვანკუვერი-დეტროიტი
ლოს ანჯელესი-კოლამბუსი

**9 იანვარი**
კაროლინა-ატლანტა
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
მინესოტა-დალასი
ჩიკაგო-აილენდერსი
ანაჰაიმი-სან ხოსე

**10 იანვარი**
პიტსბურგი-ბოსტონი
სენტ ლუისი-ფინიქსი
კოლორადო-დეტროიტი
ლოს ანჯელესი-ტორონტო

**11 იანვარი**
ბოსტონი-ოტავა
ბაფალო-ფილადელფია
კაროლინა-კალგარი
კოლამბუსი-ფინიქსი
აილენდერსი-ვანკუვერი
რეინჯერსი-მონრეალი
ფლორიდა-ვაშინგტონი
ნეშვილი-მინესოტა
დალასი-ედმონტონი
სან ხოსე-ტორონტო

**12 იანვარი**
მონრეალი-პიტსბურგი
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-კოლორადო
ანაჰაიმი-სენტ ლუისი

**13 იანვარი**
ბოსტონი-ფილადელფია
ბაფალო-კაროლინა
აილენდერსი-ოტავა
რეინჯერსი-ვანკუვერი
ფლორიდა-ნეშვილი
ფინიქსი-ტორონტო
ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი
სან ხოსე-ედმონტონი

**14 იანვარი**
კოლამბუსი-დეტროიტი
ვაშინგტონი-ვანკუვერი
ატლანტა-ფილადელფია
ოტავა-კალგარი
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-კოლორადო

**15 იანვარი**
ბოსტონი-პიტსბურგი
კაროლინა-ტამპა ბეი
დეტროიტი-კოლამბუსი
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
მონრეალი-რეინჯერსი
აილენდერსი-ბაფალო
ტორონტო-კალგარი
დალასი-ატლანტა
ნეშვილი-ჩიკაგო
ფინიქსი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-ედმონტონი
სან ხოსე-სენტ ლუისი

**16 იანვარი**
ვაშინგტონი-ოტავა
მინესოტა-ვანკუვერი
ჩიკაგო-ნეშვილი
რეინჯერსი-ფილადელფია
ანაჰაიმი-ედმონტონი

**17 იანვარი**
ბოსტონი-კაროლინა
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ფინიქსი-სან ხოსე
ფლორიდა-ატლანტა
მონრეალი-კალგარი
დალასი-ლოს ანჯელესი

**18 იანვარი**
ბაფალო-მონრეალი
კაროლინა-ბოსტონი
ფილადელფია-ვაშინგტონი
პიტსბურგი-დეტროიტი
ოტავა-ანაჰაიმი
ტამპა ბეი-კოლამბუსი
სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი
კოლორადო-ვანკუვერი
ედმონტონი-მინესოტა
ფინიქსი-ნეშვილი

**19 იანვარი**
რეინჯერსი-ტორონტო
ფლორიდა-კოლამბუსი
კალგარი-მინესოტა

**20 იანვარი**
ატლანტა-ტამპა ბეი
ბოსტონი-ბაფალო
კაროლინა-რეინჯერსი
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
აილენდერსი-ვაშინგტონი
ფილადელფია-ოტავა
ტორონტო-ანაჰაიმი
სენტ ლუისი-დეტროიტი
კოლორადო-ნეშვილი
ედმონტონი-დალასი
ვანკუვერი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**21 იანვარი**
ბაფალო-აილენდერსი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ოტავა-მონრეალი
კალგარი-დალასი

**22 იანვარი**
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
დეტროიტი-ჩიკაგო
კოლორადო-ბოსტონი
ატლანტა-რეინჯერსი
მონრეალი-ანაჰაიმი
პიტსბურგი-კაროლინა
ტორონტო-ვაშინგტონი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი
სენტ ლუისი-კოლამბუსი
ვანკუვერი-კალგარი
სან ხოსე-მინესოტა

**23 იანვარი**
ნიუ ჯერსი-ფლორიდა
აილენდერსი-ბაფალო
ჩიკაგო-ფილადელფია
ტამპა ბეი-ატლანტა
ედმონტონი-ნეშვილი

**24 იანვარი**
კაროლინა-ტორონტო
ვაშინგტონი-რეინჯერსი
კალგარი-ნეშვილი
კოლორადო-სენტ ლუისი
ვანკუვერი-დალასი
ლოს ანჯელესი-ბოსტონი

**25 იანვარი**
კოლამბუსი-ანაჰაიმი
რეინჯერსი-ფლორიდა
ფილადელფია-მონრეალი
პიტსბურგი-აილენდერსი
ოტავა-ბაფალო
ტამპა ბეი-ტორონტო
ჩიკაგო-მინესოტა
ფინიქსი-ედმონტონი

**26 იანვარი**
ატლანტა-ვაშინგტონი
ბოსტონი-ფლორიდა
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
აილენდერსი-კაროლინა
დალასი-ედმონტონი
კოლორადო-ფინიქსი
კალგარი-სენტ ლუისი
ვანკუვერი-ნეშვილი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

16 ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



კლიჩკო და მომავალი თაობა

# ვიტალი კლიჩკო: სოლისს მარტში შევხვდები

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში კომენტარი გაუკეთა კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** მომავალ შეხვედრას.

*„მე ვნახე სოლისისა და ოსტინის ბრძოლა და უნდა ვაღიარო, რომ სერიოზულ მეტოქესთან მომიწევს ჩხუბი, - ამბობს უკრაინელი ჩემპიონი. - ის 2004 წლის ოლიმპიადისა და მსოფლიოს სამი ჩემპიონატის გამარჯვებულია სამოყვარულო კრივში. მომავალ ბრძოლაში მომიწევს იმის დამტკიცება, რომ სამოყვარულო და პროფესიული კრივი - სპორტის ორი განსხვავებული სახეობაა. რა თქმა უნდა, პარალელებიც არის - ტრუსები და ხელთათმანები, მაგრამ განსხვავება უფრო დიდია. რინგზე დავამტკიცებ, რომ პროფესიონალებს შორის მსოფლიოს ჩემპიონობა უფრო წონადია, ვიდრე მოყვარულებში“.*

ვიტალი მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სოლისმა ოსტინის წინააღმდეგ მეტოქის დისკვალიფიკაციის ხარჯზე გაიმარჯვა: *„ის ქულებით მაინც წინ იყო. ოსტინისთვის დისკვალიფიკაცია რომც არ მიეცათ, შედეგი იგივე იქნებოდა - სოლისი მოიგებდა. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არა მხოლოდ კუბელთან, არამედ მის პრომოუტერთან, ცნობილ „მოძალადე“ დონ კინგთანაც მოგვიწევს ბრძოლა. მას ერთი სული აქვს, ძმები კლიჩკოებიდან რომელიმე დამარცხებული იხილოს. მაგრამ ჩვენ მისთვის არაერთხელ მიგვიჩენია კუთვნილი ადგილი“.*

ასევე უფროსმა კლიჩკომ კომენტარი გაუკეთა სოლისის მოთხოვნას - კუბელს საჩემპიონო ჩხუბში მონაწილეობისთვის 1.5 მილიონი დოლარი უნდა: *„ეს მოლაპარაკების საკითხია. სოლისი - ჩემპიონობის ოფიციალური პრეტენდენტია. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ. მოლაპარაკების პროცესში გამოვნახავთ საშუალედო თანხას, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს. შეგახსენებთ, რომ რუს მძიმეწონოსან ნიკოლაი ვალუევს ჩემთან ბრძოლისთვის 2.5 მილიონს სთავაზობდნენ, მაგრამ მან ამ თანხას სასაცილო უწოდა და ჩხუბზე უარი განაცხადა“.*

*„ვფიქრობ, სოლისთან ბრძოლა მარტში გაიმართება, - ვარაუდობს ვიტალი კლიჩკო. - ჩატარების ადგილს კი ახალი წლის შემდეგ შევარჩევთ“.*

# ჰოლივუდშიც ჩხუბობენ

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ჰოლივუდში არსებობს საკრივო ფედერაცია, რომელიც მსახიობებსა და შოუბიზნესის ვარსკვლავებს შორის ბრძოლების ორგანიზებით არის დაკავებული. სწორედ ამ ორგანიზაციამ შესთავაზა მსახიობებს - **უილ სმიტსა და მარკ უოლბერგს** რინგზე შეხვედრა. ამ ბრძოლამ უნდა გაარკვიოს - ვინ უკეთ მოემზადა ცნობილი მოკრივეების როლების შესასრულებლად. ბრძოლის სავარაუდო თარიღია 26 თებერვალი და მას ლას ვეგასის რინგი უმასპინძლებს.

*„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მსახიობები ერთმანეთს მძიმე ტრავმებს მიაყენებენ. იმედი გვაქვს, რომ ისინი რინგზე გავლენ და საკუთარ თავსა და მაყურებელს გაართობენ“*, - წერია ფედერაციის განცხადებაში.

თითო მსახიობმა ამ ბრძოლისთვის, შესაძლოა, მილიონი დოლარი მიიღოს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია სმიტისა და უოლბერგის რეაქცია ამ იდეაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობები სხვადასხვა წონით კატეგორიას განეკუთვნებიან: უილ სმიტის სიმაღლე 188 სანტიმეტრია, მარკ უოლბერგისა - 175. ასევე შეგახსენებთ, რომ სმიტს **მუჰამედ ალის** როლი აქვს შესრულებული ფილმში - „ალი“, ხოლო უოლბერგმა **მიკი უორდი** განასახიერა „მებრძოლში“.



ალი და სმიტი

გამოკითხვა

# სექსმა სპორტს აჯობა

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, „ბარსელონას“ ვარსკვლავმა **ლიონელ მესიმ** ზედიზედ მეორედ წააგო სამშობლოში საუკეთესო სპორტსმენის გამოკითხვა. 2010 წლის სპორტული შედეგების მიხედვით არგენტინის საუკეთესო სპორტსმენი გახდა ბალახის ჰოკეიში ქალთა ნაკრების ლიდერი **ლუსიანა აიმარი**.



■ ■ ■

როგორც კი ესპანურმა „მარკამ“ მესის მეორე ადგილის შესახებ დაწერა, მაშინვე გაჩნდა კითხვა: პირველი ვინ არის? ქვეყნის საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მეოთხედფინალზე შორს ვერ გააღწია, „სან ანტონიო სპურსის“ კალათბურთელ **მანუ ჯინობილის** განსაკუთრებით არაფრით გამოუჩენია თავი, ქვეყნის წამყვან ჩოგბურთელებს - **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **დავიდ ნალბანდიანს** სეზონი ჩაუვარდათ... მაგრამ 2010 წლის ბოლოს გაიმართა ქალებს შორის ბალახის ჰოკეიში მსოფლიოს თასი, რომელიც არგენტინის ნაკრებმა მოიგო. ფინალში სამხრეთამერიკელებმა ჰოლანდია 3:1 დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ 33 წლის ლუსიანა პაულა აიმარი (ან უბრალოდ ლუჩა) დაასახელეს, რომელიც ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს.

არგენტინული სპორტის სექსსიმბოლომ კარიერის განმავლობაში ორჯერ მოიგო მსოფლიოს თასი, ერთხელ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, აგრეთვე ოთხჯერ გახდა ჩემპიონტროფის (ეს კიდევ ერთი პრესტიჟული გუნდური ტურნირია სპორტის ამ სახეობაში) მფლობელი. ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ არგენტინელი ლამაზმანი შვიდჯერ დაასახელა წლის საუკეთესო მოთამაშედ, რაც ამ სახეობაში რეკორდი გახლავთ.

■ ■ ■

ყოველ წელს არგენტინის საუკეთესო სპორტსმენს ადგილობრივი ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ასახელებენ. გასულ დეკემბერში ლეონელ მესიმ ჩოგბურთელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** წააგო. ამ უკანასკნელმა 2009 წელს აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, ფინალში კი თვით დიადი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა. დელ პოტროს ამ გამოსვლამ დაჩრდილა მესის გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში. ლეოს ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში თავით გატანილმა ულამაზესმა გოლმაც ვერ უშველა.

ერთი წლის წინ დელ პოტრომ მარტო მესის არ გაუსწრო. არგენტინის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულზე პრეტენზიას ლუსიანა აიმარი, ლიბერტადორესის თასის მომგები ვეტერანი ფეხბურთელი **ხუან სებასტიან ვერონი**, „ჰიუსტონ როკეტსის“ კალათბურთელი **ლუის სკოლა** და გოლფისტი **ანხელ კაბრერა** აცხადებდნენ.

2010 წელი სპორტული ტიტულების მხრივ ნაკლებად შემოსავლიანი იყო არგენტინისთვის. საფეხბურთო ნაკრებმა ჩააგდო სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი და „ბარსელონაში“ მესის წარმატებების მიუხედავად, არგენტინელი გულშემატკივრები არც ლეოს და არც სხვა ფეხბურთელებს არ პატიობენ მეოთხედფინალში გერმანიასთან განადგურებას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ვთქვით, არგენტინამ წარმატებებს ვერ მიაღწია სპორტის სხვა სათამაშო სახეობებში. ასე რომ, ტიტულებით არამდიდარ 2010 წელს არგენტინაში სექსმა სპორტი დაამარცხა.



■ ■ ■

არგენტინაში ბევრ საფეხბურთო ექსპერტს მიაჩნია, რომ ლუსიანა აიმარის ეს გამარჯვება დიდწილად იმასთან არის დაკავშირებული, რომ უკვე სამი წელია ქვეყნის პრეზიდენტი ქალი გახლავთ - **კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი**. ამიტომაც, თუნდაც ერთხელ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული ქალ სპორტსმენს უნდა ერგოს. არგენტინული პრესის შეფასებით, ლუსიანა აიმარი სილამაზის, სექსუალურობისა და სპორტული წარმატებების იდეალური ნაზავია.

33 წლის აიმარი პრესტიჟული ჟურნალებისთვის (მათ შორისაა - „პლეიბოი“) ფოტოებს უფრო ხშირად იღებს, ვიდრე ჰოკეის თამაშობს. მუდმივად „იკარგება“ ამერიკასა და ევროპაში ფოტოსესიებში მონაწილეობის მისაღებად და ბოლო წლებში ნაკრებში თავის თანაგუნდელებზე გაცილებით ნაკლებს ვარჯიშობს. თუმცა ეს ხელს არ უშლის საერთაშორისო არენაზე წარმატებულ გამოსვლაში. ლუსიანა ლეო მესის პოპულარობით უსწრებს იმ ქვეყნებში, სადაც ესპანურად ლაპარაკობენ, რადგან მას არა მხოლოდ სპორტის მოყვარული, არამედ ნებისმიერი ადამიანი იცნობს, ვინც ტელევიზორს უყურებს. არგენტინაში არსებობს მხოლოდ ორი სპორტსმენი, რომელიც დიად მარადონას შეადარეს - ესენი არიან: ლუჩა აიმარი და ლიონელ მესი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ლუსიანა აიმარი